პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარ კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან, დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—30 ექსპედ. 5—43.

დღიური

— აჯანყება ოპორტოში ჩააქრეს მთავრობის ჯარებმა.
— სნოუდენის გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.
— უმუშევართა დემონსტრაციის დახვრეტა პოლონეთში.
— იხსნება მეორე ინტერნაციონალის სესია.

სამშაბათი, 8 თებერვალი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 30 (1785)

„კომუნისტი"
გრძელდება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯარები გაგზავნეს შანხაიში
ინგლისის კონსერვატორები განაგრძობენ კამპანიას საბჭ. კავშირის წინააღმდეგ
მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" ილაშქრებს კონსერვატორების წინააღმდეგ
ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მტკიცდება

ბრძოლა კერძო კაპიტალის ტინებთან

სახალხო მეურნეობის განზოგადოებული სექტორი სულ უფრო ძლიერდება და თანდათან ამცირებს კერძო კაპიტალის როლს ქვეყნის ეკონომიკაში. ჩვენ გაშლილი ფრონტით ვაწარმოებთ შეტევას მის წინააღმდეგ და პოზიციებს პოზიციებზე ვართმევთ მას. კერძო კაპიტალი, რომელიც, აქვე უნდა აღინიშნოს, უმთავრესად ვაჭრობის დარგში მუშაობს, ყოველნაირ ხრიკებს მიმართავს ამ შეტევის ასაცილებლად და თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კერძო კაპიტალი ცდილობს საგადასახადო პოლიტიკის სიმძიმიდან თავის დაძვრენას, ან, ყოველ შემთხვევაში, მის შემსუბუქებას. ამ მიზნით კერძო მწარმოებლები და ვაჭრები მალავენ თავის ოპერაციების ოდენობას, ყალბ, სინამდვილეზე მცირე ცნობებს აჩვენებენ დავთრებში თავიანთ შემოსავლის შესახებ, რომ ამ გზით შეცდომაში შეიყვანონ ჩვენი საგადასახადო აპარატი და რაც შეიძლება მსუბუქად დააბეგვრინონ თავი.

ეს ცოტაა. როგორც ვიცით, კერძო კაპიტალისტური მრეწველობა და ვაჭრობა გაცილებით უფრო მძიმედ იბეგრება სახელმწიფოს მიერ, ვინემ სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი წამოწყებები. და აი, კერძო კაპიტალი ლამობს უკანასკნელთათვის მინიჭებულ საგადასახადო შეღავათების გამოყენებას. ამისათვის კერძო მწარმოებელნი თუ ვაჭრები აქა-იქ აწყობენ ცრუ კოოპერატივებს, საინვალიდო გაერთიანებებს, შინა-მრეწველობის წვრილ სახელოსნოებს და მათ ფირმების ქვეშ ეწევიან სპეკულიაციას და ბანკებიდანაც ახერხებენ კრედიტების გამოტანას.

კერძო კაპიტალის „მოღვაწეობა" ამითაც არ განისაზღვრება. ის ცდილობს არსებულ კოოპერატიულ, სახელმწიფოებრივ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების გადაქცევას თავის სათარეშო ასპარეზად. და ყველაზე უფრო ხაზგასასმელი ის არის, რომ არის შემთხვევები, როცა ისინი ეგებიან სპეკულიანტების ანკესზე და მათი გამდიდრების იარაღად ხდებიან. ინსპექციის გამოკვლევათა მასალები, რომლებიც ამას წინედ გვქონდა გამოქვეყნებული, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია. ჩვენი ქვეყნის მევენახეთა კოოპერატიულ გაერთიანებას „საქართველოს ღვინო"-ს, იმის მაგივრად, რომ მას ეწარმოებია ღვინოს კოოპერატიულ ნიადაგზე გასაღება, ღვინის ბაზრიდან კერძო ვაჭრები გაედევნებია და ხელი შეეწყო მწარმოებელ გლეხობაში კოოპერაციის პრინციპების გავრცელებისათვის, სხვა უკეთესი ვერაფერი მოუხერხებია, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის ნაწარმოები—ღვინო, სპეკულიანტებისათვის ჩაუგდია ხელთ და ისინი გაუხდია ღვინის ბაზრის სრულ მონოპოლისტებათ, და ესეც ხსენებული გაერთიანებისათვის კომერციული თვალსაზრისით მეტად საზარალო პირობებში, რო არ ვილაპარაკოთ კოოპერატიული იდეის ფეხქვეშ გათელვაზე. ასევე გამოუყენებიათ თავის ჯიბის სასარგებლოდ კერძო პირებს კოოპერატიული ამხანაგობა „ბაღდადი", რომლის საშუალებით სპეკულიანტებს ფარულად მნიშვნელოვანი კრედიტი გაეხსნათ. არა ნაკლებ საყურადღებოა აგრეთვე ბოროტმოქმედებანი რესპუბლიკის მეაბრეშუმეობის ინსპექტორისა, რომელიც ბოროტად იყენებდა სახელმწიფოებრივ სამსახურს თავისი პირადი და მასთან ჩუმად დაკავშირებულ კერძო პირთა ინტერესებისათვის.

ბოლოს, ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ კერძო შუამავლების სისტემა საერთოდ ძალიან გავრცელებულია ჩვენში და მას ერთნაირად მიმართავენ როგორც სახელმწიფოებრივი, ისე კოოპერატიული დაწესებულებები. თუ მათ რაიმეს შეძენა უნდათ, ან გასაღება, ისინი ხშირად კერძო აგენტებს თუ მოიჯარადრეებს იყვანენ, რომელთა „მუშაობა", აშკარაა, იაფად არ ჯდება.

ზემო თქმულიდან ცხადია, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ კერძო კაპიტალის ტინებს. რომ მის მიმართ მტკიცედ გატარდეს საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის კლასობრივი პრინციპი, უნდა გამომუშავდეს დაბეგვრის ისეთი წესები, რომლებიც შეუძლებელს გახდიან მათი მხრით ოპერაციების და მოგების გადამალვას. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგადასახადო აპარატისათვის მომზადებულ, გამოცდილ და პატიოსან მუშაკების შერჩევას, რომლებიც გზა-კვალს გაუგნებენ კერძო ვაჭართა მუშაობას და რომელნიც ამასთან მათ გავლენაში არ მოექცევიან.

ფხიზელი კონტროლი უნდა დაწესდეს, რათა სპეკულიანტებს აღეკვეთოთ ცრუ-კოოპერატივების თუ სხვა ყალბი საზოველგვარი შესაძლებლობა. ასეთივე კონ ველგვარი შესაძლებლობა. ასეთივე კონტროლი უნდა განვახორციელოთ ჩვენ კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და სამეურნეო დაწესებულებებზე, რათა ისინი არ გახდენ სპეკულიანტების და კერძო შუამავლების საწველ ფურად, რათა ეს უკანასკნელნი ახლოს არ გაეკარონ მათ.

ცხადია, როცა კერძო პირებთან სდებენ რაიმე ხელშეკრულებას და მათ აკისრებენ მნიშვნელოვან ოპერაციების შესრულებას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ან ბოროტმოქმედებასთან აქა-იქ ჩვენს სამეურნეო-სავაჭრო ორგანოებში ჯერ კიდევ დარჩენილ ბნელ, არა მტკიცე მუშაკების მხრივ, ან ეს მოწმობს ჩვენი სამეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უუნარიანობას და უნდობლობას თავისი ძალებისადმი. როგორადაც არ უნდა იყოს, ჩვენ ამ მოვლენას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. კერძო შუამავალი აშკარად თუ ფარულად ნივთიერ ზარალს გვაყენებს და ამასთან ჩვენს დაწესებულებებს სახელს უტეხს მოსახლეობის თვალში, რომელთანაც მათ ამ დაწესებულებების დავალებით ხშირად აქვთ საქმე.

თავის თავად ცხადია, რომ კერძო კაპიტალის და მის აგენტების ხრიკების აღკვეთა ეს ამავე დროს არის ბრძოლა ჩვენი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების გაჯანსაღებისათვის, მათი აპარატების შემადგენლობის გადახალისებისათვის. მთელ ამ მუშაობაში ფართე ადგილი უნდა დაეთმოს მშრომელ მასსების აქტივობას, საბჭოთა საზოგადოებრივ კონტროლს.

რა აფერხებს საცალო ფასების შემცირებას
(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მაღალი ფასების პოლიტიკის სრული მიუღებლობა ჩვენთვის და თავიდან აცილება მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების ფასების შეუფარდებლობისა, რომელიც ძლიერდება საბითუმო და საცალო ფასების დაუშვებელი და არანორმალური განსხვავებით, შეგნებული არის მუშათა კლასის მიერ და საკმაო სისრულით და ნათლად არის გამოხატული პარტიის გადაწყვეტილებებში, მთავრობის დადგენილებებში და პრესის განუწყვეტელ კამპანიაში.

ჩვენ სავსებით ნათლად გვაქვს გათვალისწინებული ჩვენი შემდგომი განვითარების გზები ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ხაზით, რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს კავშირის განმტკიცება გლეხობასთან და წინსვლის სისწრაფე ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ჩვენთვის ცხადა, რომ ყველა პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების ძირითადი და გადამწყვეტი კვანძი ჩვენი განვითარების ეხლანდელ პერიოდში გახდა ფასების პრობლემა. ბრძოლა სამრეწველო საქონლის ფასების მაღალი დონის ძლევისათვის სისწორით იქნა დაწყებული იმ კამპანიის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს საცალო ფასების დაკლებას და აგრეთვე გასაცემ ფასებსა და საცალო ფასებს შორის არსებული დიდი განსხვავების შემცირებას.

მას შემდეგ გავიდა თითქმის ერთი წელიწადი, მაგრამ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. მიუხედავათ იმისა, რომ ერთგვარი ზეგავლენა მოვახდინეთ სახელმწიფო ვაჭრობაზე და კოოპერაციაზე, საცალო ფასების შემცირება საშუალოდ 1 პროც-ს არ აღემატება და ბევრად კიდევ ვერ მივაღწიეთ სადირექტივო პროცენტს.

ეხლა, როცა სამრეწველო კონიუნქტურა, რომელიც ხასიათდება პურზე ხელსაყრელი ფასების დამყარებით, პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარებით, სამრეწველო წარმოების ზრდით და ბაზრის უფრო წყნარი მდგომარეობით, კვლავ მთელი სიმწვავით აყენებს საცალო და საბითუმო ფასების განსხვავების პრობლემას; ცხადია, რომ ჩვენ არ უნდა შევსწყვიტოთ ზრუნვა საცალო ფასების შემცირებისათვის, და ამასთანავე ანალიზი უნდა გაუკეთოთ კამპანიის ნელი მიმდინარეობის მიზეზებს და რაც უმთავრესია, გადაჭრით და დაუღალავად უნდა ვიმოქმედოთ, სანამ არ განხორციელდება დასახული ამოცანა—ნორმალური შეფარდების დამყარება საბითუმო და საცალო ფასებს შორის.

უნდა ვაღიაროთ, რომ კამპანიის ასე ნაკლებ სანუგეშო შედეგების მიზეზი არის მთელი ჩვენი მდგომარეობა და ჩვენს ირგვლივ არსებული პირობები. ცხადია, რომ ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ საკითხის დასმით: ვინ რაშია დამნაშავე, თუმცა რასაკვირველია, პასუხი უნდა მოვსთხოვოთ ამა თუ იმ დამნაშავეს ამ საქმეში.

აუცილებელია გამორკვეულ იქნას საერთო პირობები, რომელნიც განსაზღვრავდენ ფასების შემცირების დამაბრკოლებელ მიზეზებს.

კამპანიის ნაკლთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ სადირექტივო ლონისძიებანი დაკავშირებული არ იყვენ ორგანიზაციასთან და არ არსებობდა ამ ლონისძიებათა შემოწმება. კამპანიის თან სდევდა აუარებელი რეზოლიუციები, დირექტივები, მაგრამ ისინი არ განხორციელდენ, არ არსებობდა ყურადღებით დაკვირვება და კონტროლი მათ შესრულებაზე. გასაკვირველი არაა, რომ აქედან ვერ მივიღეთ სათანადო შედეგები.

შემდეგი ნაკლი არის ის, რომ კამპანიის ინტერესები დაკავშირებული არ იყო თვით სავაჭრო აპარატების დაინტერესებასთან. სავაჭრო აპარატებისათვის საქონლის მიწოდების დროს ანგარიშს არ უწევდენ იმას, თუ რა მიღწევები იყო საცალო ფასების შემცირების დარგში. აუარებელი ფაქტები არსებობდა იმისა, რომ მეტად დიდ ზედნართო ფასებს ადებდენ საქონელს, მაგრამ არ ყოფილა საკმაოდ სწრაფი და გადამჭრელი ზეგავლენა იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გადაეყენებიათ და აელაგმათ დამნაშავენი. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ ფასების შემცირებისათვის ბრძოლაში ძალიან სუსტად იყო ჩაბმული თვით მომხმარებელი, მაშინ როდესაც მასსების ზეგავლენას და საზოგადოებრივ კონტროლს ეკუთვნის ერთი უდიდესი მნიშვნელობის ადგილთაგანი სავაჭრო პრაქტიკის ყველა მახინჯ მოვლენათა აღმოფხვრის საქმეში. დაბოლოს, კამპანიის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ საკმაო ყურადღება არ ექცეოდა სავაჭრო ორგანიზაციათა შემადგენლობის გაუმჯობესებას. სავაჭრო ორგანოებში გაიზარდენ პროლეტარული ფენები, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ გვყავს მნიშვნელოვანი ფენა ისეთ მუშაკთა, რომლებმაც ცუდად შეითვისეს ჩვენი მეურნეობის პრინციპები და რომელნიც სცდილობენ იმოქმედონ კაპიტალისტური მეთოდებით. ახალი გამოცდილი მუშაკების ჩაბმა სახელმწიფო ვაჭრობაში და კოოპერაციაში ჩვენი მუდმივი მუშაობის საგანი უნდა გახდეს.

ასეთია მთელი რიგი იმ ნაკლთა, რომელნიც აბრკოლებენ დადებითი შედეგების მიღწევას კამპანიის ჩატარებაში. ეხლანდელ პირობებში, როცა არსებობს ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე, შეიძლება შეიქნას წინასწარი პირობ[illegible] იმისა, რომ ეს ორგანიზაციები [illegible] მომხმარებელს, ანგარიში არ გაუწიონ მის მოთხოვნილებებს, გაიტაცონ მოგების თავშეუკავებელმა წყურვილმა და სახალხო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი სავაჭრო აპარატს მოხმარდეს. საქონლის გადამცემი აპარატი ისევ უზარმაზარია, მრავალი საფეხურებიანია. კვლავ არსებობს მაღალი სავაჭრო და ზედნართი ხარჯები, დაგროვების რაოდენობა მეტად დიდია. მაღალი რჩება საცალო ფასების დონეც, რომელმაც შეიძლება მეტად მძიმე შედეგები გამოიწვიოს მთელ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მთლიანად.

როცა ჩვენ გადაჭრით ვსვამთ საცალო ფასების საკითხს, ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმის იმედი, რომ სავაჭრო აპარატი შეიგნებს ჩვენი აღმშენებლობის ამოცანებს, თვითონ შეაბრუნებს საჭეს და თვითონ მოახდენს მუშაობის სისტემის შეცვლას. საცალო ფასების შემცირებას ჩვენ არ უნდა ველოდეთ მანამ, სანამ არ გაუმჯობესდება საქონლის გადამცემი აპარატი. პირველი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევამციროთ საცალო ფას[illegible] და ამის შედეგად მივიღოთ სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია. უნდა მ[illegible] რიგოთ ზედნართის რაოდენობა [illegible] 410.981 ნელზე, რომელიც ცდილობს 36.664 მა- უნდა გამორკვეულ იქნას [illegible] საწილი, რომელიც შეად[illegible] და ადმინისტრატიულ ხარჯებს, გარდა ფრახტისა, გადასახადისა და სხვ., და შევამციროთ იგი. ზედნართების შემცირება ნიშნავს სავაჭრო აპარატის საფეხურების რიცხვის შემოკლებას, აპარატის არანაყოფიერი მოხმარების შემცირებას და მოგების ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენებას. ამ დარგში წარმატების მიღწევას მხოლოდ მაშინ შევსძლებთ, თუ ნაკლთა გამოსწორების და ზედამხედველობის საქმეში ჩავაბამთ თვით მომხმარებელს. უნდა გავაძლიეროთ სადუქნო კომისიების როლი და საქმიანობა, [illegible] კავშირთა მძლავრი აპარატი უნ[illegible] გუოთ ვაჭრობაზე ზეგავლენა [illegible] ვაძლიეროთ სარევიზიო [illegible] ტად მნიშვნელოვანი ნა[illegible] მომწესრიგებელი [illegible] გაძლიერება. მომხ[illegible] ებმა უნდა აგრ[illegible] შევამციროთ თუ არა სახელმწიფო ვაჭრობა ბაზარზე. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის პარალელიზმში, რასაკვირველია, არის მრავალი მავნე მომენ[illegible]

[illegible]

[illegible]ბის გაცემა

[illegible] შეუდგა მეთამბაქოე [illegible] ნიზაციებს [illegible] გაცემას. მეთამბაქოეს დესეტინაზე 300 მანეთი ავანსათ.

დაფნის ფოთოლი

[illegible] კულის კავშირი" აწარმოებს დაფნის დამზადებას. მიმდინარე სეზონში გადაწყვეტილია დამზადებული იქნეს გურია-სამეგრელოში 10.000 ფუთი დაფნის ფოთოლი.

თამბაქო

წლევანდელი თამბაქოს დამზადებას საქართველოში აწარმოებს „სოფლის კავშირი". უკანასკნელს გადაწყვეტილი აქვს დამზადოს ამიერკავკასიის ბაზრისათვის 80.000 ფუთი თამბაქო. დამზადება იწარმოებს ლაგოდეხის რაიონში, სამეგრელოში და გურიაში.

[illegible] ცხადდა მთავარ [illegible] მთელ ბრიგადას და ავიცილოთ თუმცა არ მიიღეს ზომები კი არ ნიშნავს ასაცილებლად.

[illegible]ბა ეხლა [illegible] დარგის მე-9 უბნის უფროსს ია[illegible] მთელ ადგილობრივ კომისიას [illegible] იმისათვის, რომ მათ სისწორით [illegible] გამოიძიეს ეს საქმე ადგილზე.

ზარალი შემთხვევებისაგან

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა 13 საქმე. გამოირკვა, რომ ამ 13 შემთხვევას გზისათვის მიუყენებია 44.901 მანეთის ზარალი.

დამნაშავეები დასჯილი არიან ადმინისტრატიული წესით.

ზარალი ელევატორის წაქცევისაგან

ა. წ. 3 იანვარს გრიგალმა ფოთში წააქცია მარგანეცის დასატვირთი ელევატორი. წაქცევის დროს ელევატორმა დააზიანა რამოდენიმე ლიარონოდა.

როგორც გამოირკვა, ამ შემთხვევამ გზას მიაყენა 4.613 მანეთის ზარალი.

ახალი სადგური

15 თებერვალს აზერბეიჯანის გზაზე გაიხსნება სადგ. სარვანი.

გზის აგენტების ხელახალი შემოწმება

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ წინადადება მისცა საგზაო ჯანმრთელობის განყოფილებას მოახდინოს მოძრაობასთან დაკავშირებულ აგენტების ხელახალი შემოწმება.

სინათლის სიგნალები

დაარსებულია სპეციალური კომისია სურამის გვირაბში სინათლის სიგნალების დადგმის საკითხის დასამუშავებლად.

იმპერიალისტები და ჩინეთი

კანტონის მაგალითი

პეკინი, 7 თებერვალი. სააგენტო აზიატიკ ნიუსის ცნობით, შანხაის საგარეო საქმეთა კომისარმა, სუნ-ჩუან-ფანის ინსტრუქციის თანახმად, ფორმალური პროტესტი განუცხადა ინგლისის ელჩს ინგლისის ჯარების გადმოსხმის წინააღმდეგ შანხაიში.

„ინგლისის სამხედრო ძალების გადაჯგუფება,—ნათქვამია პროტესტში,—წარმოადგენს არამეგობრულ აქტს ჩინეთის ხელისუფლების მიმართ, რომელსაც, მიუხედავათ სამხედრო მდგომარეობისა, შეუძლია ინგლისელთა ქონების და სიცოცხლის უზრუნველყოფა".

იარაღი რეაქციონერებს

ბერლინი, 7 თებერვალი. გერმანიის კომპარტიის ორგანო „ჰამბურგერ ფოლკს ცეიტუნგი", რომელიც ჰამბურგში გამოდის, იუწყება, რომ გერმანიიდან გრძელდება იარაღის გზავნა ჩინეთის ჩრდილოელ მილიტარისტებისათვის.

27 იანვარს საზ-ბა „რიკმერსის" ერთერთ გემზე დატვირთეს 1.200 ყუთი იარაღი და ამუნიცია, რომელიც იგზავნება შანხაიში სუნ-ჩუან-ფანის სახელზე.

სიებში ტვირთი აღნიშნულია, როგორც „სასპორტო იარაღი". (ადს).

მიმართვა რაბინდრანატ თაგორისადმი

ბერლინი, 7 თებერვალი. ბერლინის ჩინელ სტუდენტების კრებამ დეპეშით გაუგზავნა თხოვნა განდის და რაბინდრანატ თაგორს, რომ ისინი წინააღუდგენ ინდოეთის ჯარების მონაწილეობას ინგლისის მიერ ჩინეთის ინტერვენციაში.

ინგლისის ჯარები ჰონკონგში

პეკინი, 6 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჰონკონგში ჩავიდა სუფოლკის პოლკი.

სააგენტოს სიტყვით, მოსული ნაწილები შანხაიში კი არ გაიგზავნებიან, არამედ დაბინავებული იქნებიან ჰონკონგის ყაზარმებში.

სააგენტო იუწყება, რომ 3 თებერვალს სინგაპურიდან შანხაისაკენ დაიძრა კრეისერთა ესკადრა და მსუბუქი ფეხოსანი ჯარის მეორე ბატალიონი. (ადს).

ლოიდ - ჯორჯი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

ლონდონი, 6 თებერვალი. მილდსბერიუში წარმოთქმულ სიტყვაში ლოიდ - ჯორჯმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ინგლისის ჯარების წინსვლამ შანხაისაკენ დროებით შესწყვიტა მოლაპარაკება, რომელიც შეიძლება სასურველად დამთავრებულიყო.

ლოიდ - ჯორჯმა გამოსთქვა იმედი, რომ მთავრობა ისარგებლებს წინადადებით იმის შესახებ, რომ შანხაიში გაგზავნილი ჯარები გადმოსხმულ იქნან ბრიტანეთის ტერიტორიაზე ჰონკონგში. (ადს).

ინგლისი განმარტოებულია

პეკინი, 7 თებერვალი. საბაჟოს ინსპექტორის ეგლენის დათხოვნის გამო პეკინის მთავრობისათვის სახელმწიფოთა საერთო პროტესტის წარდგენის საკითხი ჯერ კიდევ არ მოწესრიგებულა. ვინაიდან უთანხმოება არსებობს ინგლისსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, რომელთაც არ სურთ პროტესტის წარდგენა ამ ფაქტის გამო. (ადს).

ჯარების გაგზავნა შანხაიში

პეკინი, 7 თებერვალი. რეიტერის ცნობით, მანილიდან (ფილიპინებზე) შანხაიში გაიგზავნა ამერიკელების რაზმი 250 ფეხოსანი ჯარის კაცის შემადგენლობით. (ადს).

ვაშინგტონიდან მიღებული ინსტრუქციით

პეკინი, 6 თებერვალი. ამერიკის პეკინელმა ელჩმა მაკ-მურეიმ ვაშინგტონიდან მიიღო ინსტრუქცია, რომ წინადადება მისცეს ჩინეთის ხელისუფალთ შანხაის საერთაშორისო კვარტალის ნეიტრალიზაციის შესახებ. მან ინახულა ჩან-ძო-ლინი, რომელიც, ხმების მიხედვით, დადებითად ეკიდება ამ წინადადებას. გარდა ამისა, მაკ- მურეიმ დაავალა ამერიკის შანხაელ ელჩს ანალოგიური წინადადება მისცეს სუნ-ჩუან-ფანს და ჩან-კაი-შის. (ადს).

ლაქიების ერთგულება

ლონდონი, 7 თებერვალი. ბურჟუაზიულ გაზეთ „რეინოლდს ნიუს-პეიპერ"-ში მოთავსებულ წერილში, მაკდონალდის მთავრობის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სნოუდენი სწერს: „სწორედ საბჭოთა მთავრობის აგენტებმა გადააქციეს ჩინეთის ნაციონალისტების საერთო სიძულვილი ყველა უცხოელებისადმი სპეციალურ სიძულვილად, რომელიც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის წინააღმდეგ".

სნოუდენი აცხადებს: „როდესაც ჩინეთში შეიქმნება მტკიცე მთავრობა, მაშინ დახმარებისათვის ის არ მიმართავს საბჭოთა კავშირს, რომელსაც არ შეეძლება მისთვის ფინანსიური დახმარების გაწევა. მან დახმარებისათვის უნდა მიმართოს ინგლისს და შეერთებულ შტატებს, რაც მშვენივრად იციან ჩინეთის გონიერმა პოლიტიკოსებმა".

დასასრულ სნოუდენი მიესალმება ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის „მშვიდობიან პოლიტიკას". (ადს).

ბოლდუინი — ომი

ლონდონი, 7 თებერვალი. იხილავს რა ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას, მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანო „სენდეი უორკერი" სწერს:

„მუშებმა თავი არ უნდა მოიტყუონ ცნობით თავდაცვის კორპუსის გადაყვანის შესახებ შანხაიდან ჰონკონგში: კანტონიდან 75 მილის მანძილზე მდებარე ჰონკონგში მყოფი ინგლისური ძალები ისევე საშიშ საფრთხეს წარმოადგენენ ჩინეთის რევოლიუციისათვის, როგორც მაშინ, ისინი რომ შანხაიში ყოფილიყვენ. ბოლდუინი—ნიშნავს ომს. ბოლდუინი უნდა გავტეხოთ მუშების მასიური გამოსვლებით" (ადს).

რა აწუხებს ინგლისს

ლონდონი, 7 თებერვალი. „სენდეი ექსპრეს"-ი იუწყება ცნობებს იმის შესახებ, თუ რა აინტერესებს ინგლისს ჩინეთში: ჩინეთის საგარეო ვაჭრობის 20 პროც. მოდის ინგლისის წილად. ჩინეთში დაბანდებულ ინგლისის კაპიტალის საერთო ჯამი უდრის დაახლოვებით 250-300 მილიონ გირვანქა სტერლინგს. (ადს).

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ლონდონი, 7 თებერვალი. მთელს ინგლისში ჩატარდა 100-ზე მეტი მიტინგი შემდეგი ლოზუნგით: „ზავი ჩინეთთან". ალბერტხოლეში (ლონდონში) მიტინგზე, რომელიც მოაწყო მუშათა პარტიის და პროფკავშირების გაერთიანებულმა ნაციონალურმა საბჭომ, გამოვიდენ ხიკსი, მაკდონალდი, ლენსბერი, ტილეტი. აუდიტორია შესდგებოდა უმეტესად წვრილ ბურჟუებისაგან, რომლებმაც ტაში დაუკრეს მაკდონალდს, როცა მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ომს ჩინეთთანო. მაკდონალდმა მოიწონა ჩემბერლენის პოლიტიკა. მსმენელები ბევრჯერ აწყვეტინებდენ მაკდონალდს სიტყვას.

ლენსბერის გამოსვლას ოვაციით შეხვდა დამსწრეების უმრავლესობა. მქუხარე ტაში გამოიწვია ლენსბერის შემდეგმა სიტყვებმა: „მე კანტონის მხარეზე ვარ, ვინაიდან, ის სოციალისტურია და იბრძვის მუშებისათვის; ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ჩინეთის ხალხი დათმობაზე წავიდეს, პირიქით, მას უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურება ჩვენს მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის". ტაში გამოიწვია აგრეთვე ლენსბერის განცხადებამ, რომ ის ხმას მისცემს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. განსაკუთრებული ტაშის ცემით შეხვდა აუდიტორია მის განცხადებას, რომ საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული ომის ეს სერიოზული საფრთხე, რომელიც საბჭოთა კავშირს მოელისო. (ადს).

საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი

პარიზი, 7 თებერვალი. „კოტიდიენ"-მა გამოაქვეყნა თავისი ანგორული კორესპონდენტის საუბარი ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან ტევფიკ-რუშდი-ბეისთან საფრანგეთსა და ოსმალეთის მეგობრული ურთიერთობის საკითხის შესახებ.

ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულობანი,—სთქვა ტევფიკ-რუშდი-ბეიმ,—შეიცავენ ყველა აუცილებელ პირობებს მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. მხოლოდ უნდა განვავითაროთ არსებული შესაძლებლობანი.

ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე", უკეთებს რა კომენტარიებს ტევფიკ რუშდი-ბეის განცხადებას ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ, სხვათა შორის სწერს: „ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში სჭარბობს მისწრაფება საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთი-ერთობის დამყარებისათვის. ეს მეგობრობა, რომელიც დაიწყო ოსმალეთის ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირველ დღეებიდანვე, ეხლა აპოგეას აღწევს; იგი არ შეიძლება შესუსტდეს იმის გამო, რომ ამაში დაინტერესებულია ორთავე მხარე. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ამ მეგობრობაში სავსებით არ არსებობს იჭვიანობის ელემენტი. პირიქით, ორთავე მხარეს სურს, რომ ყოველმა მათგანმა მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს თავის მეზობლებთან. (ადს).

პილსუდსკის პოლონეთში

ვარშავა, 7 თებერვალი. გარდაიცვალა ერთი იმ ექვს გლეხთაგანი, რომელნიც დაიჭრნენ კოსოვში გლეხთა დემონსტრაციის შეტაკების დროს პოლიციასთან. ამნაირად პოლიციის მიერ მოკლულთა რიცხვი უდრის 5-ს.

დამტკიცებულია, რომ იმ დემონსტრანტების დახვრეტაში, რომელნიც მოითხოვდენ ბელორუს-დეპუტატების განთავისუფლებას, მონაწილეობა მიიღო აგრეთვე პილსუდსკის მომხრეთა ადგილობრივმა ორგანიზაციამ, რომელსაც პოლიციამ წინდაწინვე მიაწოდა იარაღი. (ადს).

პილსუდსკი სწმენდს არმიას

ვარშავა, 7 თებერვალი. გამოქვეყნებულია დეკრეტი პოლონეთის არმიიდან 500 ოფიცრის დათხოვნის შესახებ. დათხოვილი ოფიცრები ეკუთვნიან პილსუდსკის მიმართ ოპოზიციონურად განწყობილთა რიცხვს. (ადს.)

ჩინეთი და იმპერ

„ღუფლით მიღებული" ჯილდო

ვარშავა, 6 თებერვალი. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა გოლუვკო, პილსუდსკის ერთგული და იმპერიალისტური უკრაინის იდეის მემარცხენე მომხრე.

უკანასკნელ ხანებში გოლუვკო მუშაობდა ექსპერტთა კომიტეტში ნაციონალურ უმცირესობათა საქმეებზე. გოლუვკოს მოულოდნელმა დანიშვნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სეიმში, სადაც ამ დანიშვნასთან დაკავშირებით, დადიოდა ხმები პოლონეთის პოლიტიკის შეცვლის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ბალტიის მხარის სახელმწიფოების მიმართ. პეპეესოველთა წრეებში პრ..წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გოლუვკომ დანიშვნა მიიღო პარტიის თანხმობის გარეშე, და ამიტომ უკანასკნელი არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს ამ დანიშვნაზე. (ადს).

ვარშავა, 7 თებერვალი. იმ მიზნით, რომ ჩირქი მოსცხოს დამოუკიდებელი გლეხური პარტიის ლიდერს ვოევუდსკის, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს გლეხურ მასებში პილსუდსკის მომხრეთა ორგანო „გლოს პრავდი" აქვეყნებს ცნობებს იმის შესახებ, თითქოს ვოევუდსკის განსაზღვრულ საფასურში [illegible] მოხსენებები პოლონეთის ოხრანკისათვის. პრემიერის მოადგილე ბარტელმა სეიმის სხდომაზე დაადასტურა ეს „გამოაშკარავება".

ვოევუდსკის მოთხოვნით სეიმმა მოაწყო სამედიატორო სასამართლო. სასამართლოში შევიდნენ მხოლოდ და მხოლოდ ვოევუდსკის პოლიტიკური მტრები, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული ვოევუდსკისათვის სასამართლოს შემადგენლობის წინააღმდეგ უშედეგოდ დარჩა. სასამართლომ აგრეთვე უარჰყო ვოევუდსკის მოთხოვნილება საჯარო სასამართლოს მოწყობის შესახებ. (ადს).

ლიტველი ფაშისტები ახალ გადატრიალებას ამზადებენ

ლიტველი ფაშისტები ემზადებიან

რიგა, 7 თებერვალი. „სოც.-დემოკრატს"-ის ცნობით, ლატვიის ნაციონალურმა კლუბმა, რომლის ბელადების ნაწილიც დაპატიმრებულია, შეადგინა არალეგალური ფაშისტური პარტია, რომელიც ფაშისტურ გადატრიალებას ამზადებს. გადატრიალების დაჩქარების მიზნით, თვალის ასახვევად, ფაშისტები კომუნისტური ორგანიზაციების სახელით ავრცელებენ მათ მიერ შედგენილ პროვოკაციულ პროკლამაციებს. (ადს).

პონეს ბინის გაჩხრეკა

რიგა, 7 თებერვალი. ლატვიის სოციალ - დემოკრატიული ორგანოს ცნობით, ლატვიელ ფაშისტების ბელადის პონეს ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს მიწერ - მოწერა პოლონელ და ლიტველ ფაშისტებთან, იტალიის გამოჩენილ ფაშისტებთან და, აგრეთვე, კომუნისტური პროკლამაციები.

პონეს და სხვა დაპატიმრებულ ფაშისტებს წაყენებული აქვთ ბრალდება, რომელიც გულისხმობს შეთქმულების მოწყობას არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ. (ადს).

„მშვიდობიანობის" მოყვარულნი

ლონდონი, 7 თებერვალი. „დეილი მეილი" მოწინავეში აცხადებს, რომ მთავრობის ლოზუნგი უნდა იყოს: „დააბრუნეთ ბოლშევიკები სახლში. არც ინგლისში და არც შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არას დროს არ იქნება მტკიცე, სანამ განდევნილი არ იქნებიან მოსკოვის შხამიანი მავნებლები".

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" სწერს, რომ ადრე თუ გვიან კონსერვატორების პოლიტიკა გამოიწვევს კავშირის გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან. აზრთა სხვადასხვაობას მხოლოდ ის მომენტი იწვევს, რომელი ნაბიჯი იქნას არჩეული. „დადგა დრო,—სწერს გაზეთი,—მთავრობის გაფრთხილებისა, ვიდრე ის გადასდგამდეს ამ საბედისწერო ნაბიჯს".

გაზეთის სიტყვით, მთავრობა ფიქრობს შეინარჩუნოს ხელისუფლება ისეთი ხერხით, როგორიც არის, მაგალითად, „ზინოვიევის წერილი" (ადს).

დარაგონა უკან იხევს

პარიზი, 6 თებერვალი. იტალიის შრომის კონფედერაციის ლიდერმა დარაგონამ, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, გაზეთებში გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც უარყოფს სტეფანის სააგენ. ცნობას კონფედერაციის ლიდერების ფაშიზმთან შეერთების შესახებ.

— ჩვენ დავამტკიცეთ იმის განზრახვა,—აცხადებს დარაგონა,—რომ იტალიის პროფესიონალურ მოძრაობაში ტარდებოდეს ნამდვილი დემოკრატიული პრინციპი. განა ეს ფაშიზმთან გაერთიანებას ნიშნავს? მე იმ პრინციპების ერთგული ვრჩები, რომელსაც ვატარებდი 35 წლის განმავლობაში, როგორც იტალიის მუშათა ბრძოლის მონაწილე და ამიტომ შემიძლია დამშვიდებული სინდისით დავბრუნდე სამშობლოში. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

დასასვენებლად

ბერლინი, 6 თებერვ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, შტრეზემანი ავათმყოფობის მიზეზით მიდის ხანგრძლივ შვებულებაში.

შტრეზემანის არყოფნის ხანში, სამინისტროს უხელმძღვანელებს სტატს - მდივანი შუბერტი. (ადს).

ესტონია-ლატვიის ხელშეკრულება

რიგა, [illegible] თებერვ. ხელი მოაწერეს ესტონია-ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულებას. (ადს).

ყუმბარების დაშენა ოპორტოსათვის.

პარიზი, 7 თებერვალი. დღეს 12 საათზე პარიზში ლისაბონიდან მიღებულ იქნა ოფიციალური ცნობა, რომ, ვინაიდან აჯანყებულებმა უარი განაცხადეს დამორჩილებოდნენ მთავრობის წინადადებებს, განახლდა ქალაქ ოპორტოსათვის ყუმბარების დაშენა. მთავრობის განცხადებით, ოპორტოს მშვიდობიან მოსახლეობას წინადადება ეძლევა დასტოვოს ქალაქი.

ჰავასის სააგენტოს მიერ ლისაბონიდან მიღებული ცნობის თანახმად, ოპორტოში გაიგზავნა მთავრობის ახალი ძალები. ყუმბარებმა ქალაქში მრავალგან გააჩინეს ცეცხლი. ამასთან დაკავშირებით, ლისაბონში ნერვიული განწყობილებაა (ადს).

კატორღა სიკვდილის მაგიერ.

კოვნო, 7 თებერვალი. ლიტვის პრეზიდენტმა შეუცვალა სასჯელი სიკვდილმისჯილ ლიტველ კომუნისტებს—გლოვაცკის, ეგენს, შვარცბურგს და ადამოვსკის. პირველ სამს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა, ხოლო ადამოვსკის—15 წლის საკატორღო სამუშაო (ადს).

კრესტინსკის ჩამოსვლა.

მოსკოვი, 7 თებერვალი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. კრესტინსკი (ადს).

გაიყვანეთ ჯარი ჩინეთიდან.

ლონდონი, 7 თებერვალი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ნაციონალურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოთხოვნილია სამხედრო და საზღვაო ძალთა გაყვანა ჩინეთიდან. ნაციონალური საბჭო მოუწოდებს ადგილობრივ ორგანიზაციებს—გააძლიერონ ომის საწინააღმდეგო აგიტაცია და მასიურათ მოამზადონ მუშები, რომ უარი განაცხადონ სამხედრო მოწყობილობისა და იარაღის დასამზადებელ მუშაობაზე.

რეზოლიუციაში აღნიშნულია ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების საჭიროება (ადს).

საბჭოთა გადარჩევა.

მოსკოვი, 7 თებერვალი. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც სრულიად რუსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ტელეგრაფით, 7 თებერვლამდე 122 ქალაქის საბჭოში 869.000 ამომრჩეველიდან გადარჩევაზე გამოცხადდა 470.000 კაცი (ე. ი. 54 პროცენტი), შარშან კი გამოცხადდა, დაახლოვებით, 50 პრ. სულ არჩეულია 13,8 ათასი კაცი, აქედან 6,5 ათასი კომუნისტი და კომკავშირელი (ე. ი. თითქმის 50 პროცენტი, შარშან ამ ქალაქებში არჩეული კომუნისტები შეადგენდენ 44,6 პროცენტს). 4693 სასოფლო საბჭოში 82.297.000 ამომრჩეველიდან არჩევნებზე გამოცხადდა 1.660.000 კაცი (ე. ი. 47,3 პროცენტი). არჩეულია 69,4 ათასი კაცი, მათ შორის 15,7 პროცენტი კომუნისტი და კომკავშირელი.

კიდევ ერთი ბრიგადა ჩინეთისაკენ.

ლონდონი, 7 თებერვალი. გაზ. „დეილი ექსპრეს"-ის ცნობით, მზადდება და ამ დღეებში ჩინეთისაკენ გაგზავნიან ინდოეთ-ინგლისის ჯარის ერთ ბრიგადას (ადს)..

ვოევუცკის საქმე.

ვარშავა, 7 თებერვალი. ვოევუცკის საქმე, ბრალდებულთათვის ღებულობს არსასურველ მიმართულებას. ვოევუცკიმ წარუდგინა დეპუტატთა სასამართლოს „ვიზვოლენიე"-ს ხელწერილი ვოევუცკის საშუალებით 2 მილიონი მარკის მიღების შესახებ გენერალური შტაბის მეორე განყოფილებიდან. მოწმე კულვეცმა განაცხადა სასამართლოში, რომ ფული, რომელიც მიიღო ვოევუცკიმ, მიიღოდა „ვიზვოლენიე"-ს პარტიის მიერ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად და ეს იცოდა გენერალურმა საბჭომ. დეგალკომ და ხომინსკიმ დაადასტურეს, რომ ვოევუცკი ფულს აძლევდა „ვიზვოლენიე"-ს პარტიას და ამ უკანასკნელმა იცოდა ფულების გამცემ წყაროს შესახებ (ადს).

ოპორტოში ცეცხლი.

პარიზი, 7 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ოპორტოსათვის ყუმბარების დაშენის შემდეგ ქალაქში გაჩნდა ცეცხლი. ბლომათ არიან აგრეთვე მკვდრები და დაჭრილები (ადს).

„მეგობრების" სიხარული.

ლონდონი, 7 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი აღფრთოვანებით ესალმება იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებას ჩინეთში სამხედრო გემის გაგზავნის შესახებ.

ეხება რა შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ იდეას შანხაის ნეიტრალიზაციის შესახებ, კორესპონდენტი თანგრძნობით უყურებს ამ იდეას(ადს).

აჯანყება ოპორტოში

პარიზი, 7 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, სამხედრო აჯანყების მონაწილენი ოპორტოში (პორტუგალია) ძლიერი ბრძოლის შემდეგ დანებდენ მთავრობის ჯარებს ყოველგვარი პირობის გარეშე. მთავრობის ჯარები დაედევნენ აჯანყების მეთაურებს, რომელნიც სცდილობენ დაიმალონ. (ადს).

ოპორტოსთვის ყუმბარების დაშენის წინ

პარიზი, 7 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პორტუგალიის სამხედრო მინისტრმა წინადადება მისცა ოპორტის (პორტუგალია) სამოქალაქო მოსახლეობას დასცალოს ქალაქი, რადგან გარნიზონის ერთი ნაწილის აჯანყების გამო, მოსალოდნელია ამ ქალაქისათვის ყუმბარების დაშენა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა წინადადება მისცეს მთავრობის ჯარებს, რომ ისინი განსაზღვრულ პირობებში დანებებოდენ აჯანყებულთ, მაგრამ სამხედრო მინისტრმა ეს წინადადება უარჰყო. (ადს).

კამპანია მინისტრ-ფაშისტების წინააღმდეგ

ბერლინი, 7 თებერვალი. კამათის დროს გერმანიის რეიხსტაგში კომუნისტი დეპუტატი შტეკერი გამოვიდა შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის კეიდელის კავშირის გამომჟღავნებით ახლად დაშლილ ფაშისტურ ორგანიზაციასთან „ოლიმპიასთან". ამასთან ერთად სოციალ-დემოკრატები დეპუტატებს შორის ავრცელებდენ დოკუმენტალურ საბუთებს კეიდელის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოღვაწეობის შესახებ. მთავრობის დეკლარაციის გარშემო გამართულ კამათში თავი იჩინა მწვავე წინააღმდეგობამ მთავრობის კოალიციის შიგნით. მაგრამ, ცენტრის ფრაქციის ორაზროვანი პოზიცია საეჭვოს ხდის ბურჟუაზიული ბლოკის დაშლის პერსპექტივას ახლო მომავალში. (ადს).

მუშებმა გაიმარჯვეს

ვენა, 7 თებერვალი. ბოჰნის რკინის გზის ერთ-ერთ ხაზზე მუშა-მოსამსახურეების მიერ დაწყებული გაფიცვა, რომელიც რამდენიმე თვეს გრძელდებოდა, მუშების გამარჯვებით დასრულდა. (ადს).

გერმანიის სამთამადნო
მუშების მოთხოვნილება

ბერლინი, 6 თებერვ. გერმანიის სამთამადნო მუშათა კავშირის საერთო გერმანიის კონფერენციამ, რომელიც ბოხუმში გაიმართა, მიიღო სასტიკი საპროტესტო რეზოლიუცია შრომის დაცვის კანონის მთავრობის პროექტის წინააღმდეგ და მოითხოვა 8 საათის სამუშაო დღე მიწისზევით მომუშევეთა, ხოლო 7 საათის სამუშაო დღე მიწისქვეშ მომუშავეთათვის და, აგრეთვე, ზედმეტი მუშაობის აკრძალვა. (ადს).

ყვითელი ინტერნაციონალის
სესია

ბერლინი, 7 თებერვალი. 12 თებერვალს პარიზში ჰენდერსონის თავმჯდომარეობით იხსნება მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.

სესიის განხილვის საგანი იქნება უმთავრესად საერთაშორისო საკითხები, განსაკუთრებით ომის საფრთ[illegible]

[illegible] შაროვმა [illegible] გაუწია ჯიქიას. უკანასკნელი გაიქცა და შაროვის ბინაში დარჩა ქუდი.

ეჭვით დააპატიმრეს პეტრე ჯიქია, რომელიც ძლიერ გავდა თეოფანე ჯიქიას.

შემდეგში გამოირკვა, რომ ამ საქმეში ბრალი პეტრე ჯიქიას კი არ მიუძღვის, არამედ თეოფანე ჯიქიას.

თეოფანე ჯიქია გამოტყდა დანაშაულში და დაასახელა გრიგოლ და ვლადიმერ ჯიქიები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ შაროვის გაძარცვის ცდაში.

სასამართლომ თეოფანე, გრიგოლ და ვლადიმერ ჯიქიებს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს, მათი ნახევარი ქონების კონფისკაციით.

კაპანაძის და კარპენკოს საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა გრიგოლ კარპენკოს და კაპიტონ კაპანაძის საქმე.

კარპენკოს და კაპანაძეს ბრალდებოდათ ურთიერთ შეთანხმებით განცალკევებულ საჯარო გუნდის საწყობის გაქურდვა.

სასამართლომ კარპენკოს და კაპანაძეს მიუსაჯა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ზენია ხახხაზიანს ხულიგნობისათვის მიუსაჯა 3 კვირით გამსახლში მოთავსება.

50.000 მან. ზარალი
(ტერ-ავაკოვის და სხვათა საქმე)

10 თებერვალს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამხ. ს. მეგრელიშვილის თავმჯდომარეობით [illegible]

მუშების დევნა

ბერლინი, 7 თებერვ. უკანასკნელი ხნის განმავლობაში ძლიერ გახშირდა გერმანიის სოც. - დემოკრატიულ პარტიიდან იმ მუშების გამორიცხვა, რომლებიც ესწრებიან მშრომელთა კონგრესებს და აშკარავებენ პარტიის კურსისადმი ოპოზიციონურ დამოკიდებულებას. (ადს).

შიმშილობა დამასკში

ანგორა, 6 თებერვ. მოუსავლობისა და მიმოსვლის მოშლის გამო, რაც გამოიწვია უკანასკნელმა აჯანყებამ, დამასკში დაიწყო მწვავე შიმშილობა. ამოიწურა დამშეულთა დამხმარე ფონდი. პური იმდენად გაძვირდა, რომ მთავრობა ხორბლის რეკვიზიციით დაემუქრა სპეკულიანტებს. ლტოლვილთა ერთი ტალღა მიიმართება ზღვის სანაპირო მხარისკენ, ხოლო მეორე სამხრეთისკენ, პალესტინის საზღვრებისაკენ. თვით პალესტინაში შიმშილობა მძვინვარებს მთელ რაიონზე 60 ათას წვრილ მამულით. მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობს. (ადს).

გრიპი გერმანიაში

ბერლინი, [illegible] თებერვალი. გრიპის [illegible] დაწესებულებას [illegible]ში დაიხურა [illegible] 72 კაპ. ზარალი.

ტერ-ავაკოვი ხელს უწყობდა კაპიტალის აღორძინებას. ამ მიზნით სპირტის მოვაჭრეებს აძლევდა საქონელს ხანგრძლივი კრედიტით, თამასუქებისა და ყოველგვარი გარანტიის გარეშე. ამგვარი მოქმედებით დაწესებულებას მან მიაყენა 7.611 მან. 83 კაპ. ზარალი.

ტერ-ავაკოვის ინიციატივით, გაიხსნა სპირტის საბაზისო საწყობები ისეთ ადგილებში, სადაც სპირტის მოთხოვნილება არ იყო. ამის გამო დაწესებულებას მიაყენა 2.000 მანეთის ზარალი.

მან გახსნა თბილისში ოდეკალონის და დუხის დამამზადებელი ლაბორატორია, რითაც დაწესებულებას მიაყენა 2.009 მანეთის ზარალი.

შეიძინა მოსკოვიდან დაწესებულებისათვის ავტომობილი ცენტრალური სამმართველოს სანქციის გარეშე. შოფერი გამოიწერა მოსკოვიდან. ავტომობილის გადმოსაზიდად და შოფერის მგზავრობისათვის დაიხარჯა 658 მანეთი 15 კაპ.

მანქანაზე გადასაბეჭდად მოსკოვიდან მოიწვია ლ—ს ქალი, რომელსაც 447 მანეთი გზის ფული გამოუწერა დაწესებულების ანგარიშზე.

დადვა აგრეთვე დაწესებულებებთან საზიანო ხელშეკრულებები.

ტერ-ავაკოვმა თავის დაუდევრობით და ძალაუფლების გადამეტებით დაწესებულებას მიაყენა დაახლოებით 50.000 მანეთის ზარალი.

პოპოვს ბრალი ედება იმაში, რომ სამსახურებრივი დაუდევრობით დაწესებულებას მიაყენა 3.379 მან. ზარალი.

მეგრელიშვილს და სხყვარელიძეს (ვაჭრები) ბრალი ედებათ ხელშეკრულების შეუსრულებლობაში.

საქართველოს
ეროვნული

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალი დიდი ელექტროსადგური.

ლენინგრადი, 7 თებერვალი. დაიწყო სამზადისი მუშაობა სვირის ჰიდროსადგურის ასაგებად. მურმანსკის რკინისგზასთან შეთანხმებით, სადგურ იანგებიდან ჰიდროსადგურის ასაგებ ადგილამდე გაყვანილი იქნება რკინისგზის შტო 6 კილომეტრის მანძილზე. ამჟამად სწარმოებს დამუშავება და ტურბინების რამდენიმე პროექტის განხილვა. სვირზე ჰიდროსადგურის აგება დიდ ინტერესს იწვევს საზღვარგარეთ. შვეციის ტურბინების ცნობილმა ფირმამ „ნრისტემგეინ"-მა გამოაგზავნა ორი პროექტი. გერმანიის ფირმამ „კოიტ"-მა და აგრეთვე ლენინგრადში ჩამოსულმა ცნობილმა გერმანელმა ტეხნიკოსმა პროფ. ლიუტინმა მიმართეს „სვირსტროი"-ს თხოვნით გაეცნოთ მათთვის პროექტი. ინგლისის ფირმა „ვიკერს" ამჟამად ადგენს ხარჯთაღრიცხვას მაღალი ძაბვის ელექტრომოწყობილობის აგებისათვის. ლენინგრადის ლითონის ტრესტმა წარადგინა ოთხი 27.000 ცხენისძალიანი ტურბინის პროექტი (ადს).

27.000 საჩივარი.

მოსკოვი, 7 თებერვალი. 1926—27 წელში საჩივართა ცენტრალურ ბიუროში შემოვიდა 27 ათასი საჩივარი. მათგ. 12.000 ბიუროკრატობასა და საქმის გაჭიანურებაზე. საჩივართა რიცხვიდან 2.600 კოლექტიური განცხადებაა, უმთავრესად გლეხურ საზოგადოებების (ადს).

მეტეორი.

მოგილიოვ-პოდოლსკი, 7 თებერვალი. 6-დან 7 თებერვალს ღამით ქალაქზე გადაიფრინა დიდმა მეტეორმა. რამოდენიმე წამის განმავლობაში ქალაქი დღესავით განათდა.

მეტეორის დავარდნისას გაისმა ძლიერი ხმაური (ადს).

წარმოების გაძლიერება.

სტალინო, 7 თებერვალი. იანვრის განმავლობაში სტალინის მეტალურგიული ქარხნის წარმოებამ დიდ შედეგებს მიაღწია. მარტო ერთი ცეხის მიერ 2 მილიონ ფუთზე მეტი თუჯის ნაწარმოები დამზადდა. ეს გამომუშავება სარეკორდოა. ომამდე ქარხანა ამზადებდა თვიურად 1.570.000 ფუთ თუჯს (ადს).

ვოლხოვის ჰიდროსადგურის თავისუფალი მოწყობილობა სვირის ჰიდროსადგურისთვის

ლენინგრადი, 7 თებერვალი. ვოლხოვის ჰიდროელსადგურის აგების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი მასალა და მოწყობილობა (რელსები, ორთქლმავლები, კრანები) გადატანილია სვირის ელსადგურის აგების ადგილზე. (ადს).

სწავლულების „თავაზიანობა".

მინსკი, 7 თებერვალი. ბელორუსიის კულტურის ინსტიტუტმა შუამდგომლობით მიმართა ვარშავის მეცნიერთა საზოგადოებას დაეთმოთ ინსტიტუტისათვის პოლონელი ეთნოგრაფის ფედოროვსკის მასალები ბელორუსული სიტყვარის შესადგენად.

ვარშავის მეცნიერებმა შუამდგომლობაზე „თავაზიანი" უარით უპასუხეს (ადს).

ფასების დაკლება.

მოსკოვი, 7 თებერვალი. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა 1-ლი თებერვლიდან დაუკლოს საცალო და საბითუმო ფასები კამვოლური ტრესტის ყველა წარმოებებზე, საშუალოდ, 7 პროცენტით (ადს).

უდაბნო ყარაყუმის კულტურულ მიწად გადაქცევა

ლენინგრადი, 7 თებერვალი. სამეცნიერო აკადემიაში შესდგა სხდომა, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ზომები კასპიის იქით მხარის უდაბნო ყარაყუმის კულტურულ მიწად გადასაქცევად.

თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ზომები უდაბნოში ქვიშის მოძრაობის შესაჩერებლად. (ადს).

საჩივრის წიგნაკები სავაჭრო ორგანიზაციებში.

მოსკოვი, 7 თებერვალი. იმ მიზნით, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ და დაწესდეს მომხმარებელთა კონტროლი ვაჭრობაზე,—რ. ს. ფ. ს. რ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სავაჭრო წარმოებებს შემოიღონ ამა წლის 1-ლი აპრილიდან საჩივრის წიგნები (ადს).

კულაკების შურისძიება

სამარა, 7 თებერვ. სოფელ კამიშევკაში, მალიშევის მაზრაში, სასოფლო საბჭოს გადარჩევის შემდეგ, როცა ახალი საბჭო საქმეებს იბარებდა, ფანჯრიდან ვინტოვკის გასროლით მოჰკლეს საბჭოს მდივანი და დასჭრეს საბჭოს სამი ახალი წევრი. კამიშევკაში სასწრაფოდ გამგზავრენ პროკურორის თანაშემწე და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს წარმომადგენელი. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის კომპარ. (ბ) სააგიტ.-საპროპ. განყოფილების მუშაობის გეგმა

ბაქო, 7 თებერვალი. ბაქოს კომიტეტის საagit.-საპრ. განყოფილ. სამუშაო გეგმით, რომელიც დამტკიცდა აზერ. კომ. პარ. (ბ) ბაქოს კომიტეტმა, გათვალისწინებულია შემდეგი მუშაობის შესრულება: სათემოკო-საქარხნო, სადგურის იქითა მხარის, ბაილოვის და ქალაქის რაიკომების აგიტპროპ. განყოფილებათა მუშაობის გამოკვლევა; თვითეულ რაიონში 2—3 ტიპიური უჯრედის გამოკვლევა, რადიომოყვარულების კონფერენციის მოწვევა და „რადიოს მეგობართა საზოგადოების" მოწყობა, ყველა კინოორგანიზაციების გაერთიანება როგორც საექსპლოატაციო, ისე საწარმოო საქმიანობის მხრივ, მუშა-პროპაგანდისტების ჯგუფის გამოყოფა და ამ ჯგუფის დამატებით მომზადება თეორეტიულ სემინარების საშუალებით, 1927—28 სასწავლო წელში უმაღლეს სასწავლებლებსა, ტეხნიკუმებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მიღების ნორმის განსაზღვრა, ზომების შემუშავება კომუნისტური გაზეთის გასაძლიერებლად მეორე საფეხურის სკოლებში, თურქულ ენაზე (ახალი ანბანით) სასწავლო წიგნების გამოშვება პარტიულ და საკომკავშირო პოლიტგანათლების ქსელისთვის, რემდასის უჯრედთა ბიუროების გადარჩევის კამპანიის ჩატარება და რაიონულ არჩევნების მოწყობა რემდასის საერთო ბაქოს კონფერენციისათვის (ადს).

ოსმალოელი სტუმრები ბაქოში.

ბაქო, 7 თებერვალი. დღეს ბაქოში ზურნაბადიდან ჩამოვიდენ ოსმალეთის სავეტერინარო კომისიის წევრები—ალი რიზა-ბეი და შევკეტ-ბეი. მათთან ერთად ჩამოვიდა პროფ. პავლუშკოვი და აზერბაიჯანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო განყოფილების უფროსი—ბერენგოვი.

ოსმალეთის სავეტერინარო კომისიის წევრები დარჩებიან ბაქოში რამდენიმე დღე (ადს).

მზადება ბაქოს ბაზრობისათვის.

ბაქო, 7 თებერვალი. ბაქოს ბაზრობისათვის თანდათანობით ღებულობენ დიდძალ საქონელს. სულ ჩამოსულია 95 ვაგონი სხვადასხვა საქონლით. სპარსეთიდან ჩამოვიდა 15.000 ფუთი ხვარსული ბრინჯი.

ბელორუსიის სავაჭრო ორგანიზაციებმა შეატყობინეს ბაზრობის კომიტეტს, რომ ისინი ფიქრობენ გამოიტანონ ბელორუსიის მრეწველობის პროდუქციის საქონლით (ადს).

სომხეთი

ექ. ოვანესიანის 35 წლის საექიმო მოღვაწეობის აღნიშვნა.

ერივანი, 7 თებერვალი. გუშინ ერევნის სამკურნალო პერსონალმა ზეიმით აღნიშნა ერევნის გუბერნიაში პირველ ექიმ-დოსტაქრის, ოვანეს ოვანესიანის 35 წლის საექიმო მოღვაწეობა.

იუბილიარმა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და საზღვარგარეთიდან მიიღო მოსალოცი დეპეშები, რომელშიაც აღნიშნულია მისი დამსახურება ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე (ადს).

ექიმების ნაკლებობა.

კარაკლისი, 7 თებერვალი. მთელ მაზრაში საგრძნობია სამკურნალო ძალების ნაკლებობა. ამჟამად თავისუფალია 8 ექიმის, 3 ბებია-ქალის, 3 მოწყალების დის და 2 ფერშლის ადგილი. მაზრის მთელ რიგ საექიმო პუნქტებს არა ჰყავს გამგეები.

კრიზისის მალე დაძლევის მიზნით, სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა ჯამაგირი მიუმატოს საექიმო მუშაკთ (ადს).

აღმოსავლეთის ცხოვრება

გერმანიის ვაჭრობა შორეულ და ახლო აღმოსავლეთთან

თუ უკანასკნელ წლებში მსოფლიო ომამდე აზიის ქვეყნების ამ უდიდესთა ნაწილის— ეკონომიური განთავისუფლების პროცესი მხოლოდ ისახებოდა, ომმა არაჩვეულებრივად დააჩქარა იგი.

ეს აბრკოლებს გერმანიის ცდებს დაიბრუნოს უკან თავისი პოზიციები აზიის ბაზრებზე, რომლებიც მან დაკარგა უკანასკნელი ომის წყალობით. გარდა ამისა, თუ ომამდე გერმანიას აზიაში უნდა გაეწია მხოლოდ ერთად-ერთი სერიოზულ მეტოქესთვის—ინგლისისათვის, ამჟამად მას უხდება ბრძოლა გაცილებით უფრო მძლავრ და უფრო საშიშ მეტოქესთან—შეერთებულ შტატებთან.

მაგრამ მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებებისა, გერმანია მაინც თანდათანობით აფართოებს თავის ექსპორტს აზიაში და წარმატებით უწევს მეტოქეობას ინგლისს. ამას ნათლად ამტკიცებს სრულიად გერმანულ სტატისტიკურ კრებულში (1926 წლის) გამოქვეყნებული ცნობები საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ გერმანიისა და აზიის ქვეყნებს შორის, დაწყებული 1924 წლიდან.

რომ გერმანიის ვაჭრობა აზიის ქვეყნებთან შესამჩნევად გაუმჯობესდა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ვაჭრობის წილი გერმანიის საერთო საგარეო ვაჭრობაში საგრძნობათ გაიზარდა 1913 წ. შედარებით. სახელდობრ იმპორტი—9,8 პროცენტიდან (1913 წ.) გაიზარდა 11,9 პროცენტამდე (1925 წ.), ექსპორტი—5,4 პროცენტიდან 8,3 პროცენტამდი. მაშასადამე, საშუალოდ გერმანიის ვაჭრობის წილი აღმოსავლეთთან 1925 წ. შეადგენდა 10,1 პროც., 1913 წელს კი იგი უდრიდა მთელი საგარეო ვაჭრობის 7,6 პროც. გერმანიის ვაჭრობის ასეთი ზრდა აღმოსავლეთის ბაზრებზე ძლიერ აფიქრებს ინგლისს, შეერთებულ შტატებს და იაპონიას ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს გერმანიის ყოველ ნაბიჯს აღმოსავლეთში. ინდოეთის მთავრობამ ინგლისის ზეგავლენით შემოიღო შეღავათიანი ტარიფი ინგლისური საქონლისათვის, რომ უკანასკნელისათვის გაეადვილებინა გასაღება ადგილობრივ ბაზარზე. გარდა ამისა, ინგლისი, იაპონია და შეერთებული შტატები ებრძვის გერმანულ საქონელს. შეღავათიანი პირობების მინიჭებით მყიდველისათვის, საქონლის ნისიათ მიცემით და სხვ. გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობა კი რომელიც დიდ ფინანსიურ კრიზისს განიცდის, მოკლებულია გრძელვადიანი კრედიტების გაცემის საშუალებას ასეთ პირობებში, გერმანიის მიერ მიღწეული შედეგები, მეტად მნიშვნელოვანია.

თუ როგორ ვითარდება ვაჭრობა აღმოსავლეთის სახელ სჩანს ქვემოთ მო ოქროს მარკ

1913 წ.

3.169.7

1.1

მარკა მოდის რკინისგზის მასალაზე (რელსები, მანქანების ნაწილები და სხვ.), 34 მილიონი—რკინისა და სილენძის მასალაზე (დინები, მავთული და სხვ), 28 მილიონი—სალებავებზე და სხვა ქიმიურ საქონელზე, 20 მილიონი—საფეიქრო საქონელზე, ელექტრო-ტეხნიკურ ნაწარმებზე, 11 მილიონი სხვა მანქანებზე. მანქანებს შორის პირველი ადგილი უჭირავს სასოფლო სამეურნეო მანქანებს.

გერმანია წარმატებით უწევს მეტოქეობას თავის კონკურენტებს პალესტინაშიც. თუმცა ამ ქვეყნის ეკონომიური წონა მსოფლიო ვაჭრობაში მეტად უმნიშვნელოა, მაგრამ ეს ახალგაზრდა ქვეყანა უკვე ინგლისის, შეერთებული შტატების, გერმანიისა და საფრანგეთის სასტიკი მეტოქეობის ასპარეზს წარმოადგენს. 1924 წ. პალესტინაში შეტანილ საქონლიდან ინგლისის წილი შეადგენდა 18,5 პროც., სირიის (ფაქტიურად საფრანგეთის)—16 პროც., გერმანიის—10 პროც., შეერთებული შტატების—7,5 პროც. ამრიგად გერმანიას პალესტინის ვაჭრობაში უკვე უჭირავს მესამე ადგილი. პალესტინაშიც გერმანია უმთავრესად სამანქანო მრეწველობის პროდუქციას ასაღებს. პალესტინაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანაში სახელმწიფოთა შორის გერმანიას პირველი ადგილი უჭირავს; მეორე ადგილი უჭირავს—შეერთებულ შტატებს; მესამე—ინგლისს; მეოთხე—საფრანგეთს.

მძიმე ბრძოლის წარმოება უხდება გერმანიას ჩინეთის ბაზრებზე, სადაც თითეულ ნაბიჯზე ის აწყდება შეერთებული შტატების, ინგლისისა და იაპონიის მძლავრ კონკურენციას. თავის თავად ცხადია, რომ ბაზარს 400-500 მილიონი მცხოვრებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ეკონომიკისათვის. ბუნებრივია, რომ გერმანია აქაც ენერგიულად ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები. თუ ერთ დროს ინგლის-იაპონიის საქონლის ბოიკოტი საშუალებას აძლევდა გერმანიას საკმაოთ მომაგრებულიყო ჩინეთის ბაზარზე, ჩინეთის იმპორტის საერთო შემცირებას მნიშვნელოვნათ აბრკოლებდა გერმანიის ამ ზრახვების განხორციელებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ვაჭრობა უმთავრესად თავმოყრილია ჩინეთის ნავთსადგურებში, რომელთა კონტროლი ფაქტიურად ინგლის-იაპონიის ხელშია, აშკარა შეიქნება, თუ როგორ დაბრკოლებების გადალახვა მოუხდება გერმანიას, რომ ჩინეთში თავისი ძველი გავლენა აღადგინოს.

1924 წ. ჩინეთში შეტანილი იქნა 18.672 ათასი მექსიკური დოლარის მანქანები. ამ თანხიდან ინგლისზე მოდის—5.519.384; შეერთებულ შტატებზე—3.859.731; იაპონიაზე—3.520.910; 3.179.075 მექს. დოლარი. საფეიქ- 1924 წ. ჩინეთში შეტანილი



ლექსები; პროზა ლიტერატურის თეორია; პროლეტარული კულტურის და ყოფა-ცხოვრების საკითხები; პროლეტარული ხელოვნება; მხატვრული კრიტიკა; მიმოხილვები ქართულ, რუსულ და მსოფლიო ლიტერატურის; რეცენზიები ყველა ქართულ ახალ სამხატვრო გამოცემებზე; ანგარიშები პროლეტმწერალთა მუშაობის შესახებ; ლიტერატურული ქრონიკა.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია

თვიური ნომერი ჟურნალის შეიცავს საშუალო ფორმატის 150 გვერდს. ხელისმოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიებში, როგორც თბილისში ისე პროვინციაში:

თბილისში მიიღება ხელისმოწერა: 1) ცენტრალური მაღაზია, რუსთ. პრ. № 22.
მაღაზია № 2—პლეხანოვის № 98.
„ № 3—ავლაბრის მოედანი № 3.
„ № 4—თავისუფლების მოედანი № 3.
„ № 5—გოგოლისა და ვაგზლის კუთხე.

პროვინციაში სახელგამის მაღაზიებში: ბათომსა, ქუთაისა, ფოთსა, სოხუმსა, გორსა და კრებალოში.

ხელისმოწერის პირობები

ერთი წლით . . . . 7 მან. | სამი თვით . . . . . . 2 მან.
ექვსი თვით . . . . 3 მან. 75 კაპ. | ცალკე ნომერი ყველგან . 70 კაპ.

პირველი ნომერი გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიებსა და გაზეთების გამყიდველებთან.

ნ. 5962—1

ჰაეროსტატით ფრენის ახალი რეკორდი

ამხ. გარაყანიძის შესანიშნავი გაფრენა.

ორი თვის წინად მოსკოვის ერთ-ერთი უბნის მუშა-ფრენოსანთა წრემ ამხ. გარაყანიძის ხელმძღვანელობით ააგო ჰაეროსტატი, რომლის მოცულობა სამას კუბიკურ მეტრს უდრიდა.

22 იანვარს გორკაში საპლანერო სადგურის გახსნის დღეს,— ამხ. გარაყანიძემ განიზრახა თავის ჰაეროსტატით მოსკოვიდან გორკაში გაფრენა იმ მიზნით, რომ თავისი ნამუშევარი მიეძღვნა ავიაქიმის საკავშირო ყრილობისათვის. შუადღის 12 საათზე ფრენოსანთა წრის წევრებმა ჰაეროსტატი აავსეს გაზით, მოაბეს მას ფიცარი, და გარაყანიძე 1 საათზე და 20 წუთზე 17 გრადუს ყინვაში, ძლიერი ქარის ქროლის დროს, გაფრინდა გორკისაკენ. გორკაში ამაოდ ელოდნენ გარაყანიძის მოფრენას. ოთხი დღის განმავლობაში გარაყანიძეზე არაფერი არ ისმოდა, რადგან ჰაეროსტატი უკვალოდ გადაიკარგა, მხოლოდ 24 იანვარს ავიაქიმმა მიიღო ცნობა ამხ. გარაყანიძისაგან. ავიაქიმის ცნობით, თავისი გაფრენით გარაყანიძემ მიაღწია სახსპორტო ფრენოსნობის მსოფლიო რეკორდს: სამასი კუბიკური მეტრის მოცულობის ჰაეროსტატმა იფრინა ჰაერში 15 საათი და გაიარა 702 კილომეტრი მანძილი. ამ ციფრებმა გააბათილეს აქამდე მიღწეული ყველა მსოფლიო რეკორდები. ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება მიეწერება ამხ. გარაყანიძის გამბედაობას, შეუპოვრობას და გამძლეობას.



ამხ. გარაყანიძე

უცხოეთში

ხლესტაკოვი გერმანიაში

სკანდალი. რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიის ბურჟუაზიულ-მონარქისტულ წრეებში ამ რამდენიმე ხნის წინათ მთელი ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიული პრესის სალაპარაკო საგნათ გადაიქცა.

დაიწყო ეს ისტორია იმით, რომ ჰეიდელბერგის არისტოკრატ-სტუდენტთა კორპორაციის თავმჯდომარესთან გრაფ როტკრამ-ტრაუშთან მივიდა ვიღაც უცნობი, რომელიც გაეცნო გრაფს, როგორც პრინცი ლიგენი, რეიხსვერის მეოთხე ცხენოსანი პოლკის ლეიტენანტი პოტსდამში. ასეთი „წმინდა წყლის" არისტოკრატთან გაცნობით აღტაცებულმა გრაფმა ეს „სასიხარულო" ამბავი მთელი ჰეიდელბერგის ბრწყინვალე წოდებას მოსდო. დაიწყო დაუსრულებელი ქეიფი „ბ-ნ ლეიტენანტის გასართობათ". ჰეიდელბერგის მხოლოდ ერთმა მოქალაქემ ფონ-გერიცბერგმა შეიტანა იჭვი მის „პრინცობაში" და დაუწყო გამოკითხვა მეოთხე ცხენოსანი პოლკის ოფიცრების შესახებ. მაგრამ „პრინცი" არ დაიბნა და „მეფურის მედიდურობით" უპასუხა ჰირველ ფონ-გერიცბერგს:

— „თუ თქვენ გაინტერესებთ ზოგიერთი. ოფიცერები, კეთილ ინებეთ და გამოითხოვეთ მათი სამსახურის ნუსხები".

„პრინცის" ასეთმა მოსწრებულმა პასუხმა კიდევ უფრო გაზარდა მისი ავტორიტეტი რომანტიკოს სტუდენტებში, მაგრამ თვით. „პრინცს" შიშის ქარები უვლიდა ტანში: ვაი თუ ჩემი თაღლითობა გამოირკვევს და მან ამჯობინა ჰეიდელბერგის დატოვება და მიაშურა ერფურტს.

აქ მან შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ძლიერ ჰგავს პრინც ვილჰელმ ჰოგენცოლერნს, ყოფ. იმპერატორ ვილჰელმ მეორის შვილიშვილს. „პრინცმა ლიგენმა" გვარი გამოიცვალა და ბარონ კორფის სახელით დაიქირავა ბინა საუკეთესო სასტუმროში. ამავე დროს მან თავისი ნაცნობ-მეგობრების საშუალებით დაიწყო გავრცელება ხმების, რომ ერფურტში ბარონ კორფის გვარით ცხოვრობს „თვით" „სათაყვანებელი იმპერატორის" შვილის შვილი. ამ ხმებისათვის კიდევ მეტი სიმტკიცის მისაცემათ, „ბარონმა კორფმა" სასტ. მთელი კომედია გაითამაშა: ტელეფონით დაუკავშირდა „თავისი ძმის" სასახლის კომენდანტურას და ხმამაღლა ელაპარაკებოდა, რომ ყველას გაეგონა და ეჭვი არ შეჰპაროდათ მის ვინაობაში.

ამავე დროს „პრინცმა" კავშირი გააბა ერფურტის არისტოკრატიულ სახლებთან, სადაც მის საპატივცემოთ იმართებოდა წვეულებები და ამავე დროს არ ივიწყებდა ფულის „სესხებას".

ერფურტიდან „პრინცი ვილჰელმ ჰოგენცოლერნი" ავტომობილით გაემგზავრა გოტაში, სადაც მას საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. სასტუმროში, სადაც დაბინავდა „პრინცი" დღიან-ღამიან ტრიალებდენ ძველი დროის ყოფ. მინისტრები, ქალაქის თვითმართველობის წევრები და რეიხსვერის უფროსები. სადარბაზოთ მივიდა პრინცთან თვით გოტას „რესპუბლიკანური" ქალაქის თავი დოქტორი შეფლერი, მაგრამ „პრინცს" „არ ეცალა" და პატივცემულ დოქტორს მიღებაზე უარი უთხრა. მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი ქალაქის თავს სხვანაირად გამოეხატა თავის „უქვეშევრდომესი" გრძნობები. ქალაქის საკრებულო დარბაზში მან „საყვარელ პრინცს" (სამშობლოსა) და ჰოგენცოლერნების სამეფო სახლის ბედნიერებისათვის.

გოტის თეატრის დირექტორმა დიდის რიდითა და კრძალვით ჰკითხა: „ხომ არ ინებებს ბ-ნი პრინცი ინახულოს ჩვენი ღარიბი თეატრი". „პრინცმა" თავისი „მეფური" დასტური მისცა და გამართულ იქნა საზეიმო წარმოდგენა, რომელზეც სპეციალური ბარათებით მიიწვიეს გოტის რჩეული საზოგადოება. დადგმულ იქნა პიესა „ძველი დესაველი", რომელშიც გამოყვანილი იყო პრინცის „სახელოვანი" წინაპარი მეფე ფრიდრიხ მეორე.

მაგრამ „პრინცის" თავზე უკვე იყრიდენ თავს ნაირად მან გაიგო, რომ ჰოგენცოლერნების ყოფ. ლიც პირადათ ოჯახის არავე-

დაუკელ
სახელმწ. და კოოპ.
კერძო პირებს.
ბამბის თესლის ჩენჩო.

საბჭოთა არჩევნები

მტკიცეთ გავატაროთ ინსტრუქცია

მოჯამაგირის საკითხი ხშირად დიდ გაუგებრობას იწვევს ამომრჩეველთა სიების შედგენის დროს. არის შემთხვევები, როცა ცნება „სხვისი შრომის ექსპლოატაცია", იმდენად ფართოდ ესმით, რომ ხმის უფლებას ართმევენ ისეთებსაც, რომლებიც დროებით სარგებლობენ დაქირავებული შრომით ან ისეთებს, რომლებიც იძულებული არიან იყოლიონ მუდმივი დაქირავებული მუშა.

ხდება წინააღმდეგიც. არის შემთხვევები, როცა ხმის უფლებას აძლევენ ისეთებს, რომლებსაც ჰყავთ მუდმივი დაქირავებული მუშა და რომელსაც საარჩევნო ინსტრუქციის ძალით არ უნდა ეძლეოდეს ხმა.

ამ ნიადაგზე ბევრ მითქმა-მოთქმას აქვს ადგილი და ზოგჯერ სრულიად საფუძვლიან მითქმა-მოთქმასაც. რატომ ხდება ეს? გარდა იმისა, რომ აქ ადგილი აქვს მიკერძოებას და ნათლიმამობას, არის სხვა მიზეზებიც, რომლებიც იწვევს ამ არევ-დარევას. ესაა საარჩევნო ინსტრუქციის სათანადოთ არცოდნა. იქ საკმაოდ გარკვევითაა ეს მუხლი განმარტებული. აი, მაგალითად რას ვკითხულობთ ჩვენ აქ მოჯამაგირიან გლეხების შესახებ: „საარჩევნო უფლება არ წაერთმევათ შემდეგი კატეგორიის პირთ:

ა) მიწად-მოქმედს, რომელიც გამოიყენებს თავის მეურნეობაში ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას განსაკუთრებული გარემოების გამო, როგორიცაა: ავადმყოფობა, მობილიზაცია, არჩევა საზოგადოებრივ თანამდებობაზე, რომელიც მოითხოვს მეურნეობის ჩამოშორებას და სხვ., სანამ ასეთი მდგომარეობა იარსებებს;

ბ) მიწად-მომქმედს, რომელიც მოკლე ხნით დაიქირავებს მუშებს, რიცხვით არაუმეტეს 2 კაცისა, პურის მოსამკელად, სიმინდის გასათოხნად, ყურძნის მოსაკრეფად და სხვა ასეთი საჩქარო სამუშაოს შესასრულებლად;

გ) შინამრეწველსა და ხელოსანს, რომელიც აწარმოებს შრომის მეურნეობას დაქირავებული მუშა-ძალის გამოუყენებლად, ან რომელსაც წარმოების პირობების გამო ჰყავს ერთი მოზრდილი მუშა, ან ორი შეგირდი, უკეთუ მეურნეობის მეპატრონე თვით იღებს მონაწილეობას მუშაობაში".

ეს მუხლები იმდენად ნათელი და გარკვეულია, რომ მოჯამაგირის აყვანის საკითხში თითქმის აღარავითარი იჭვებისათვის ადგილი არ უნდა რჩებოდეს. ზოგჯერ კი ჩვენი საარჩევნო კომისიები მეტად ამლაშებენ საარჩევნო უფლების მქონეთა სიების შედგენის დროს, როცა ამ სიის გარეთ სტოვებენ ისეთებს, რომელთაც მოჯამაგირე ჰყავთ, და რომელთაც მიუხედავათ ამისა ინსტრუქცია ხმის უფლებას არ ართმევს.

ზემოთ მოყვანილ განმარტებებს, ჩვენი სოფლად მომუშავე საარჩევნო ორგანოები კარგათ უნდა ჩაუკვირდენ და უნდა ყოველნაირათ ეცადონ ხმის უფლება არ წაართვან ისეთს, რომელიც სავსებით ღირსია საბჭოთა სრულუფლებიან მოქალაქის საამაყო სახელი ატაროს.

დ. გ—ძე.

როგორ მიმდინარეობს არჩევნები

თბილისში

გუშინ არჩევნები ჩატარდა

განათლების მუშაკთა კლუბში

გუშინ განათლების მუშაკთა კლუბში შესდგა შინაგან საქმეთა სახ. კომისარ. სოციალუზრუნველყოფის, ა.-კ. და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ა.-კ. პროფსაბჭოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო საარჩევნო კრება.

კრებას დაესწრო 400-ზე მეტი ამრჩეველი.

საბჭოს დეპუტატებად კრებამ ერთხმად აირჩია მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან ამხ. ნ. **ლეჟავა**, და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან ამხ. **ჟამარაული**.

„ზარია ვოსტოკას" სტამბაში

დღის 3 საათზე სტამბასთან არსებულ კლუბში თავი მოიყარეს ადგილობრივმა მუშა - მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა. დარბაზი გაჭედილია ამრჩევლებით, რომლებიც მოუთმენლად მოელიან კრების გახსნას.

საბჭოს დეპუტატებად კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. **ბადალოვი** (კომუნისტი) და ამხ. **დადიაშვილი** (უპარტიო). დიასახლისებიდან არჩეულ იქნა ამხ. ბერზაკის ქალი.

პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიაში

დღის 3 საათზე ლიტოგრაფიის დიდ დარბაზში თავს იყრიან ადგილობრივი მუშა - მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები. კრება გახსნილად ცხადდება. კითხულობენ ნაკაზს.

ნაკაზის მიღებისა და მასში დამატებების შეტანის შემდეგ შესდგა არჩევნები. საბჭოს დეპუტატებად ხმის უმრავლესობით გავიდნენ: ამხ. **სან. საუვარელიძე** და **ფარადაშვილი**.

მუშათა ახალ კლუბში

მუშათა ახალი კლუბის სათეატრო დარბაზში თავი მოიყარეს განათლების სახალხო კომისარიატის, „ზაკკნიგას", ადსის, სახელგამის, გაზ. „ზარია ვოსტოკას" კანტორის მოსამსახურეებმა და ადგილკომებმა: № 81, 79, 78, 77; 76; 75 და 74 თანამშრომლებმა და მუშა - მოსამსახურეებმა.

ნაკაზის წაკითხვისა და მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შემდეგ კრება შეუდგა საბჭოს დეპუტატების არჩევნებს. არჩეულ იქნენ ამხ. **კარპი** (კომუნისტი), **ატარბეკოვა** (კომ.) და ამხ. **მელიქაძე** (უპარტიო).

„ბაღ-ბოსტან კავშირის" მუშებში

ორთაჭალის, შავსოფლის და ნავთლუღის რაიონში მდებარე ბაღების მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა მეტყევეთა კლუბში, საბჭოს დეპუტატებად არჩეულ იქნენ ამხ. **შ. ადიკაშვილი** (უპ. გლეხი) ამხ. **გაბიძაშვილი** (მებაღე მუშა) და **ა. არველაძე** (მუშა).

არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე „ბაღბოსტან კავშირის" მუშა - მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმაც.

თბილისის აღმასკომში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის დარბაზში თავი მოიყარეს აღმასკომის მუშა - მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა.

თუ როგორ აქტივობას და ინტერესს იჩენს მასა არჩევნებისადმი ჩანს იქიდანაც, რომ ოჯახებში თითქმის აღარავინ დარჩენილა: დიასახლისებს ოჯახის ყველა წევრები თან წამოუყვანიათ საბჭოს არჩევნებზე.

კრებაზე შეხვდებით მრავალ ამომრჩეველს ძუძუ - მწოვარა ბავშვებით.

კრებას ხსნის ამხ. **დალაქიშვილის** ქალი.

საბჭოს წარსული მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **მასო სიხარულიძე**.

იგი აღნიშნავს კომუნალური მეურნეობის მუშაობის დიდ მიღწევებს ტრამვაის, წყალსადენის, აბანოების, ჯანმრთელობის, სწავლა - განათლების, კეთილ მოწყობის და სხვა დარგებში.

მომხსენებელს დიასახლისები აძლევენ სხვადასხვა საქმიან შეკითხვებს.

კრებას დაესწრო ამომრჩევლების სამოცდაათი პროცენტი. არჩეულია დიდის უმრავლესობით ორი დეპუტატი ქალი 1) ამხ. **ჭაივა კირაკოსოვა** და 2) ამხ. **ბაიდაშვილისა**.

ნიკო მკერვალი.

რკინისგზელებში

გუშინ, საღამოს 6-ნახ. საათზე, კინო „პალასი"-ს შენობაში შესდგა რკინისგზის სამმართველოს მოსამსახურეების და ქალაქის სადგურის მუშა - მოსამსახურეთა საერთო საარჩევნო კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: ქალაქის საბჭოს დეპუტატების არჩევნები და არჩეულ დეპუტატთათვის სათანადო „ნაკაზი"-ს მიცემა. საერთო კრებამ ქალაქის საბჭოს დეპუტატებად აირჩია შემდეგი ამხანაგები: **ტურაშვილი** (უპარტიო), **ბალაევი** (პარტიული), **კონსტანტინე ივანოვი** (პარტიული), **გვანცაძე** (კომკავშირელი), **სააკოვი** (პარტიული), **ზოსიმე კალანდია** (პარტიული), **პარმენ საბაშვილი** (პარტიული), **გიორგი ჩხეიძე** (პარტიული). **მალიუკოვა** (დიასახლისი უპარტიო), **გვერდწითელი** (უპარტიო) და **დადიანიძე** (უპარტიო). კანდიდატებად: **ვასო მეგრელიშვილი** (პარტიული) და **ვიქტორ ლეინი** (პარტიული).

საბჭოს დეპუტატების არჩევის შემდეგ კრებამ განიხილა „ნაკაზი", რომელიც მიღებულ იქნა უცვლელად.

დეპუტატების არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუშა - მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმაც.

წითელარმიელებში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა რკინისგზის წითელდრო- ან მე-10-ე ათასეულის წითელარმიელთა კრება. ყველა წითელი არმიელები დაესწრნენ. ის უმრავლესობით აირჩია შემდეგი ოლოზ ნოვოსელსკი (პარ- ედ ტაკტაევი (პარტიული), ნევსკი (პარტიული) და ოვი (კომკავშირელი). ფედოროვი (უპარტიო) და

აღმასკომის პირველ სტამბაში

დღის სამი საათია. არჩევნები დანიშნულია სწორედ ამ დროისათვის. სტამბის კარებთან ხუზეზე ჯგუფ - ჯგუფად არიან თავმოყრილნი და მსჯელობენ სხვადასხვა საკითხებზე. ყველას ეტყობა საბჭოს არჩევნებისადმი ყურადღება. თანდათან თავს იყრიან აგრეთვე მუშა - მოსამსახურეების ოჯახის წევრები, რომლებმაც მუშებთან ერთად უნდა მიიღონ მონაწილეობა საბჭოს მომავალი დეპუტატების არჩევნებში.

იხსნება კრება და დამსწრეთ ამხ. კაიტაჯიანი უხსნის არჩევნების წესს და განმარტავს იმ ცვლილებებს, რომელიც წინანდელთან შედარებით ეხლანდელ არჩევნებშია შეტანილი.

კომუჯრედის მდივანი ამხ. დალაქიანი ქართულად და რუსულად კითხულობს „ნაკაზს", რომელშიაც შეტანილი იქნა ზოგიერთი პრაქტიკული წინადადებანი, წამოყენებული არჩევნებზე დამსწრეთა მიერ.

შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე. კომფრაქციის მიერ წამოყენებულ სიას დაემატა კიდევ რამდენიმე ადგილობრივი მუშები და მოსამსახურეები. დაიწყო კენჭის ყრა; ყველას პერსონალურად უყრიან კენჭს.

მე-6 თბილისის საბჭოს წევრებად კრებამ აირჩია აღმასკომის 1-ლ სტამბაში შემდეგი ამხანაგები: **უ. ჯაში** (პარტიული მუშა, ძველი საბჭოს წევრი), **ლუკა ზაიკა** (პარტიული მუშა) და **ვლადიმერ ურუშაძე** (უპარტიო).

არჩევნების შემდეგ კრება დაიხურა.

უ—ნი.

ტრამვაის მოძრავ შემადგენლობაში

6 თებერვალს, დილის 7 საათზე, ტრამვაის პარკის ეზოში თავი მოიყარა 600-მდე მუშა-მოსამსახურემ. კრება გახსნა ამხ. ფანცულაიამ. ინსტრუქციის წაკითხვის შემდეგ დაიწყო არჩევნები: არჩეულ იქნა 9 დეპუტატი და 3 კანდიდატი: 1) **სვანიძე ნიკოლოზ** (პარტიის წევრი, თბ. კომიტეტის მდივანი); 2) **ივანოვ - კავკასკი** (პარტ. წევრი მოსამსახ.); 3) **ანდაძე** (უპარტიო მუშა); 4) **გრიგორიევი ნიკოლოზ** (კომ. კავშირის წევრია მუშა); 5) **იტრიევი ვ.** (პარტ. წევრი, მუშა), 6) **ბულბაკოვი** (უპარტიო მუშა), 7) **პოლოტაშვილი გაბრიელ** (პარტ. წევრი, მუშა), 8) **ხუჭუა გიორგი** (უპარტიო მუშა), 9) **დონდუაშვილი არტემ** (პარტ. წევრი, მუშა), 10) **მირონოვი ივანე** (პარტ. წევრი, მუშა), 11) **შავერდოვი გიორგი** (უპარტიო მუშა), 12) **ჟურავლიოვი ალექსი** (პარტ. წევრი, მუშა).



ბულბაკოვი იბრაგიმ (უპარტიო)



გრიშკევიჩი ნიკო (კომკავშირელი)

დასასრულ, წაკითხულ ნაკაზს მუშებმა დაუმატეს: ა) ადგილობრივათ აბანოს მოწყობა ბ) საბავშვო ბაღის მოწყობა ტრამვაელთა ბავშვებისათვის და გ) ამბულატორიის მოწყობა ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთათვის.

ვაში

დღის 3 საათზე პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბის მუშათა კლუბში შესდგა, სტამბის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების საარჩევნო კრება; კრებას დაესწრო 130 კაცი, მათ შორის 35 დიასახლისი. საარჩევნო კომისიის სახელით კრება გახსნა ამხ. **არჩვაძემ**, რომელმაც კრებას გააცნო ნაკაზი. კრებამ ნაკაზს დაუმატა: 1) მიექცეს საბინაო საიჯარო ამხანაგობებს სერიოზული ყურადღება, რათა ისინი ხელ მისაწვდომი გახდეს მუშებისათვის; 2) სახლების აგება იქნეს დაუყონებლივ გეგმიან საფუძველზე, რითაც თავიდან აცილებულ იქნება სახლების ნგრევა ქუჩების გაფართოების დროს; 3) თბილისის მიდამოებში გაშენებულ იქნას ტყეები; 4) მუშათა კრედიტის მოგვარება და ამასთან ქუჩების მოკირწყვლა, განათლების საკითხის მოგვარება, ტრამვაიზე მუშებისათვის ტარიფის დაკლება და სხვა.

დეპუტატებათ არჩეულ იქნენ 1) **ალხაზაშვილი შალვა** (პარტ. წევრი, მუშა), 2) **კუჭიანიძე ვარვარა** (პარტ. მუშა) და 3) **გეონჯიანი ლევან** (პარტ. წევრი, მუშა).

პროფკავშირებში

საარჩევნო კრება ამხ. ლლონტის თავმჯდომარეობით გაიხსნა ა.-კ. საბჭოს მცირე დარბაზში.

ად არჩეულ იქნენ ამხ. **პერიძე** (პარტ. წევრი, მოსამსახური) და კან- ხავი და **ოურჯია ალექსანდრე** (პარტ. წევრი).

ქალაქის მე-2 რაიონის მტვირთავთა კლუბში

კლუბის დარბაზი სავსეა მუშებით და მათი ოჯახების წევრებით. წაკითხულ იქნა ნაკაზი რომელსაც დაუმატეს: 1) კოოპერაციის ქსელის გაფართოება; 2) სპეკულიაციასთან ბრძოლა; 3) ბავშვების აღზრდის საკითხის მოგვარება და სხვა. დეპუტატებათ არჩეულ იქნენ: 1) **ალი ტავი ზადე** (პარტ. წევრი, მუშა), 2) **არუთინოვი ააკ** (პარტ. წევრი, მუშა), 3) **სამოკიასიანი ვაჰან** (უპარტიო მუშა), 4) **ყაზატარიანი ტინო** (კ. კ. წევრი, მუშა). კანდიდატებათ ორი ქალი: **ბაბდასიანი შუშანა** (უპარტიო დიასახლისი) და **ქალაშიანი ხანუმ** (უპარტიო დიასახლისი).

საგენერატორო სადგურში

კრებას დაესწრო 80 მუშა - მოსამსახურე. ნაკაზი მიღებული იქნა უცვლელად. რის შემდეგაც აირჩიეს ამხ. **ჯაყელი მაკიდონ** (პარტ. წევრი, მუშა).

სალიანდაგო დარგის და რკ. გზ. სატყეო განყოფილება

გუშინ, ნაშუადღევს 2 საათზე, შესდგა რკინისგზის სალიანდაგო დარგის და სატყეო განყოფილების მუშა - მოსამსახურეთა საერთო - საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრნენ ყველა მუშა - მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები. დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: ქალაქის საბჭოს დეპუტატების არჩევა და არჩეულ დეპუტატთათვის სათანადო „ნაკაზი"-ს მიცემა. საერთო კრებამ ქალაქის საბჭოს დეპუტატად აირჩია ამხ. **ნიკოლოზ დეკანოიძე** (პარტიული), ხოლო კანდიდატად ამხ. **არუთ ესიტოვი**.

საბჭოს დეპუტატების არჩევის შემდეგ კრებამ განიხილა „ნაკაზი", რომელიც მიიღო უცვლელად.

შ. რ.

სად ჩატარდება დღეს არჩევნები

პირველი რაიონი

1. დილის 10 საათზე ამწყობთა საამქროში რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშები.
2. საღამოს 6 ს. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში რკინის გზის საავადმყოფოს, ჯანმრთელობის სამმართველოს, ა.-კ. დამზღვევი სალაროს და საგზაო კომიტეტის თანამშრომლები.
3. დილის 10 საათზე რკინის გზის მატერიალური საწყობის მუშები (მ. ო/2) ადგილობრივ შენობაში.
4. დილის 10 ს. სარონოდო ფარეხის აუდიტორიაში დეპოს მუშები.

მეორე რაიონი

1. დილის 11 საათზე კოლოტ- ქარხანა „ინტერნაციონალი"-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ადგილობრივ შენობაში.
2. ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე „ცეკავშირი"-ს თანამშრომელთა კრება. ადგილობრივ შენობაში.
3. ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე „ზაკსოიუზი" ადგილობრივ შენობაში.

მესამე რაიონში

1 ტყავტრესტში—დილის 3 საათზე.
2. რადიო-სადგურზე.
3. საქ. სახელმწიფო სათბობში—დილის 3 საათზე.

მეოთხე რაიონში

დღეს საარჩევნო კრებები ჩატარდება:

1) ლენინის სახელ. თამბაქოს ქარხანაში დღის ორ საათზე.
2) მეეზოვე მუშების პირველი და მეორე რაიადგილკომი—თავიანთ კლუბში, დილის 10 საათზე.
3) მკვებავთა კავშირის 1-ლი ადგილკომი—აღმასკომის დარბაზში, საღამოს 6 საათზე.
4) მშენებელთა მესამე ქარხკომი—ადგილობრივ, ოლღას ქუჩა, დღის 2 ნახევარ საათზე.
5) მეხანძრეთა ჯგუფი—დღის 2 საათზე.
6) საქართველოს გზათა სამმართველოს, საბინაო კავშირის, „სამშენი"-ს, ა.-კ. და საქ. წყალთა მეურნეობის, „ზაკომესის", საზღვაო სავაჭრო ფლოტის განყ. და ავეჯის ქარხნის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისათვის — პროფკავშირთა დიდ დარბაზში, დღის 2 ნახევარ საათზე.
7) მადანშრომის 1-ლი ჯგუფკომის, შახპარონიანის სახელობის სამკურნალოს, ცენტრ. ამბულატორიის, აფთიაქთა სამმართველოს, სავეტერინარო მუშაკების 1-ლი აფთიაქის, „ზემელის" აფთიაქის და კბილთა ქვე-სამკ. მუშა-მოსამსახურეებისათვის—ამხ. ცხაკაიას სახელობის კლუბში, დღის 2 ნახ. საათზე.
8) მილიციის თანამშრომელთა ოჯახის წევრთათვის—ამხ. ცხაკაიას სახელ. კლუბში, საღამოს 6 საათზე.

ადგილებზე

აფხაზეთი

სოხუმი, 7 თებერვალი. აფხაზეთის ყველა მაზრებში დაიწყო საბჭოთა არჩევნები.

ახალსენაკი

ახალსენაკი, 7 თებერვალი. მთელ მაზრაში დაიწყო საბჭოთა არჩევნები, რომელშიაც გლეხობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს.

თრიალეთის თემი

ბეშთაშენი, 5 თებერვალი. 5 თებერვალს თრიალეთის თემის სოფ. წინწყაროსა და ხაზნაში მოხდა საბჭოების გადარჩევა. სულ ამომრჩეველია 905 კაცი, მათგან 423 ქალი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 635 ამომრჩეველმა, ე. ი. ამომრჩეველთა 75 პროცენტმა. არჩევნებში გლეხებმა და გლეხ-ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ამომრჩევლები ყოველმხრივ იხილავდენ წამოყენებულ კანდიდატურებს და აღნიშნავდენ კანდიდატის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს, რის შემდეგაც ირჩევდენ არჩევნებს. აღნიშნულ სოფლებში არჩეულია 18 კაცი, მათგან 8 ქალი, კომუნისტი და კომპარტიის კანდიდატი 5 და კომკავშირელი 2. ამომრჩევლების მიერ დასახელებულია მიხა კახიანი, რომელიც მქუხარე ტაშით ერთხმად იქნა არჩეული. არჩევნების დროს გლეხების შეძლებული ნაწილი ცდილობდა საბჭოებში გაძრომას, მაგრამ უშედეგოთ. გლეხი ამომრჩევლები მომზადებულად შეხვდნენ მათ და გაიყვანეს ღარიბი გლეხობის აქტივის კრებებზე დასახელებული კანდიდატები. დიდი გაცხოველებით ტარდებოდა ღარიბი და საშუალო გლეხობის კრებები. აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამომრჩეველმა ქალებმა, რომლებიც ასახელებდენ თავის კანდიდატებს საბჭოში. 6 თებერვლისათვის არჩევნები დანიშნულია სოფ. ბეშთაშენში. სოფელი დაყოფილია 3 საარჩევნო პუნქტად. 8 თებერვალს განზრახულია თემსაბჭოების სხდომის მოწვევა.

არჩევნები დამთავრდა.

ბეშთაშენი, 6 თებერვალი. საბჭოს წევრების არჩევნები თრიალეთის თემში ყველა სოფლებში დამთავრდა. მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა არჩევნებში. საარჩევნო კრებებში მონაწილეობდენ ამომრჩეველთა 70—80 პროცენტამდე. გუშინ არჩევნები ჩატარდა უკანასკნელ სოფელში ბეშთაშენში. ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან—991 კაციდან კრებაზე გამოცხადდნენ: ქალები—176, მამაკაცები—237, ე. ი. ამომრჩეველთა 49 პროცენტი. კრებაზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა პროცენტის სიმცირე აიხსნება იმით, რომ 350-მდე კაცი წასული არიან სამუშაოებზე. ასე რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემონათქვამს, მაშინ საარჩევნო კრებაზე გამოცხადებულთა პროცენტი 78-მდე ადის. კრება მეტად გაცხოველებით ჩატარდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ამომრჩევლებმა წამოაყენეს 68 კანდიდატი, რომელთაგან დეპუტატებად საბჭოში არჩეულ იქნა 21 კაცი; ამათში ქალი—4, კომუნისტი და კანდიდატი—7 და კომკავშირელი—1. ხვალ, 8 თებერვალს, შესდგება საორგანიზაციო კრება. თემსაბჭოს ახლად არჩეული წევრები ამ კრებაზე მოახდენენ სათემო აღმასკომის წევრების არჩევნებს და აირჩევენ დეპუტატებს საბჭოთა სამაზრო ყრილობისათვის.

არჩევნები წიწამურში

სოფ. წიწამურში (მცხეთის თემი) საბჭოს არჩევნები ჩატარდა კვირას; საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა თითქმის ასი პროცენტი. კრებამ მოისმინა მოხსენება სათემო აღმასკომის მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც მოხდა არჩევნები; არჩეულ იქნა ერთი წევრი და ერთი კანდიდატი. ორივე უპარტიო გლეხებია.

მთავარი, რასაც შეეჩვიენ საბჭოები

(წერილი სენაკიდან)

1926 წლის ჩვენი სათემო და საქალაქო საბჭოები დიდათ განსხვავდებიან 1925 წლის საბჭოებისაგან. საანგარიშო პერიოდის საბჭოები განმტკიცებულნი, მომქმედნი და უფრო ჩამოყალიბებულნი არიან, ვინემ ეს წინეთ იყო.

მაგრამ მთავარი, რასაც შეეჩვიენ ჩვენი საბჭოები—ეს გახლავთ გეგმიანი, მუშაობის წარმოება, ეს გახლავთ, წინასწარ დაპირება და განსაზღვრა იმის თუ რა უნდა აკეთოს მომავალში.

სამაზრო აღმასკომმა დიდი დრო და ენერგია დახარჯა გეგმიანი მუშაობის დაწყებისათვის თემებში და მართლაც ამას მან მიაღწია.

თითეული თემაღმასკომი იმუშავებდა სამთვიურ სამუშაო გეგმას, ითვალისწინებდა გეგმაში საჭირო ამოცანებს, უდგენდა საბჭოს დასამტკიცებლად, რომლის შემდეგ მას იხილავდა, არჩევდა სამაზრო აღმასკომი ამტკიცებდა და ბოლოს უბრუნდებოდა თემსაბჭოს შესასრულებლად.

ამ მუშაობამ დიდი ნაყოფი მოგვიტანა.

ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამაზრო აღმასკომი ხშირად იწვევდა თავის სხდომაზე თემაღმასკომების მუშაობის ანგარიშს, უთითებდა დეფექტებზე, ავალებდა მათ ახალ ამოცანებს და ამით მჭიდრო კავშირი იყო გაბმული სამაზრო ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

სამწუხაროდ ვერ იდგა თემებში კარგათ საბჭოების მუშაობის აღრიცხვის საქმე.

ის რასაც აკეთებს საბჭო, თუნდაც წვრილმანიც, უნდა აღრიცხულ იქნას არა თუ წლიურად, არამედ ყოველთვიურად. აქ უფრო ნათელი იქნება, ვინემ ოდესმე, თუ რომელი თემში რა გაკეთდა, როგორ წაიწია წინ თემის ცხოვრება, რომელი თემი უფრო მომქმედი და მოქნილი გამოდგა და სხვა. მართალია ასეთი აღრიცხვა ხდებოდა, მაგრამ ის არ იყო ჩამოყალიბებული და შემოღებული, როგორც სისტემა.

მომავალ წელს ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ბ. უჩანიშვილი.

ქალების მონაწილეობა სუსტია

(მცხეთა, თბილ. მ.)

საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამტკიცებული იქნა საარჩევნო უფლება მოკლებულთა სია, რომელიც 15 იანვარს გამოკიდებულ იქნა თვალსაჩინო ალაგას. წელს საარჩევნო უფლება წართმეული აქვს 174 კაცს. მათ შორის დიდი ადგილი უჭირავს სასულიერო წოდების პირებს, მღვდლებს, მონაზნებს და აგრეთვე ვაჭრებს. საანგარიშო მოხსენებები საბჭოს ერთი წლის მუშაობის შესახებ, ყველგან დიდის გაცხოველებით ჩატარდა. კრებებზე გლეხობის დიდი ნაწილი დაესწრო, რომლებმაც დიდი აქტივობა გამოიჩინეს. უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი. სახელდობრ ის, რომ საანგარიშო კრებებზე ქალების რიცხვი მცირე იყო. ამ მოვლენას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა არჩევნების დროს ქალების მონაწილეობის პროცენტი გადიდებული იქნეს.

სათემო საბჭოს ერთი წლის მუშაობა ყველგან ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. ამრიგად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ჩვენთან სრულიად დამთავრებულია. საარჩევნო უბნები დაყოფილია და შემდეგ დაიწყება თვით არჩევნები. კრებების ვადა საარჩევნო კომისიამ შემდეგნაირად გაანაწილა:

6 თებერვალს დილის 12 საათზე მოწვეული იქნება საარჩევნო კრება სოფ. წიწამურში.

7 თებერვალს საღამოს 5 საათზე მოწვეული იქნება სადგურ მცხეთაში ნავთსადენის და სადგურ მცხეთის მოსამსახურეების კრება.

9 თებერვალს საღამოს 5 საათზე მოწვეული იქნება „ზაჰეს"-ის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება.

13 თებერვალს დილის 10 საათზე დაბა მცხეთაში მოწვეული იქნება საზოგადო საარჩევნო კრება.

13 თებერვალს საღ. 5 საათზე შესდგება საბჭოს პირველი სხდომა.

გ. გოგოლაშვილი.

კულაკებიც აფუცფუცდნენ

(ბორჩალო)

მთელ მაზრაში 25 თებერვლამდი დამთავრდა საანგარიშო მოხსენებების ჩატარება.

განსაკუთრებით დიდ ხალისს და ინტერესს იწვევდა გლეხობაში სამაზრო აღმასკომის ანგარიში. ყველა თემებში და დიდ სოფლებში ჩატარებული იქნა მაზრაღმასკომის ანგარიშები. საანგარიშო მოხსენებების შემდეგ შემოდიოდა გლეხობის მიერ შეკითხვები, შემდეგ კამათი. კამათი ყველგან იყო ცხოველი და საქმიანი.

ბორჩალოში კულაკებიც აფუცფუცდენ. გაიგეს, რომ არჩევნები იწყება და ამიტომ ქმნიან თავიანთ ჯგუფებს, რათა მომზადებული გამოვიდნენ არჩევნების დროს.

არის ადგილები, სადაც კულაკები ღარიბ გლეხობას თავზედ „ქონს" უსვამენ და ზოგიერთ შემთხვევაში აშკარადაც გამოდიან კომკავშირის უჯრედების წინააღმდეგ.

ამის საწინააღმდეგოთ ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეწყობა ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეების კრებები; ტარდება მოხსენებები მომავალი საბჭოს არჩევნების და ღარიბ გლეხობის მონაწილეობის შესახებ.

ტარდება დელეგატ ქალების კრებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსულმან ქალების მონაწილეობა ღარიბ გლეხთა კრებებზე და დელეგატ ქალების კრებებზე.

ბორჩალოს მაზრაში პირველი თებერვლიდან დაიწყება ახალი საბჭოების არჩევნები. ჯერ-ჯერობით ეწყობა ღარიბ გლეხობის კრებები.

მ. კაზარიანი.

მუშაობა მოიწონეს

(ს. ხორგა ზუგ. მაზრა)

აღმასკომს ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პირნათლად შეუსრულებია ყველა ის დავალებანი, რაც მიუღია მას ამომრჩევლებისაგან. მხოლოდ ერთი რამ დარჩენია განუხორციელებელი ჩვენს საბჭოს. ეს არის მდინარე ხობის წყალზე ჯაჭვის ხიდის გაუკეთებლობა. ესეც მთლიანად არ მიეწერება აღმასკომის უმოქმედებას, რადგანაც მას მაზრის წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა ჯაჭვით დახმარებისა, მაგრამ მაზრიდან არავითარი დახმარება არ მიუღია.

გარდა ამისა კარგათ მუშაობს აღმასკომის სხვადასხვა სექციები, მათ შორის საგზაო სექცია. არ არის დატოვებული ისეთი უმნიშვნელო გზებიც, რომელსაც კუთხური მნიშვნელობა აქვს. აღმასკომი თავის დროზე შეშით და სხვა რამეთი დახმარებას უწევს, სკოლას. ის ეხმარება აგრეთვე გლეხკომს და კოოპერატივს.

გარდა ამისა აღმასკომს შუამდგომლობა აღუძრავს საექიმო პუნქტის გახსნის შესახებაც. ეს მუშაობა აღმასკომისა იქნა მოსმენილი, როგორც ქ. პარტიის და ქ. კავშირის საერთო კრებაზე ისე, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის კრებაზე. კრებებმა მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

ა. მირცხულავა.

რას მოითხოვენ ბორჯომის თემის გლეხები

ბორჯომში არის დიდი ხანია საავათმყოფო, რომელიც საუცხოვოთაა მოწყობილი. მაგრამ გლეხებისთვის ეს საავათმყოფო გამოუსადეგია. საქმე შემდეგშია: ბორჯომის საავათმყოფო ემსახურება მარტოკა დაზღვეულ პირებს. ეს გარემოება ბორჯომის თემში მცხოვრებ გლეხებში უკმაყოფილებას იწვევს. კარგი იქნებოდა, თუ გლეხებს წამალს უფასოთ არ მივცემთ, ექიმს მაინც გავასინჯინოთ უფასოთ, რაც საავათმყოფოსთვის დიდ ხარჯს არ გამოიწვევდა, გლეხებისათვის კი ეს დიდი დახმარება იქნებოდა.

ყველამ კარგათ იცის, რომ დაზღვევის საქმე სოფლად ჯერ-ჯერობით ვერ არის კარგ ნიადაგზე დაყენებული, ვინაიდან გლეხთა უმრავლესობა დაუზღვეველია და თუ ჩვენმა საავათმყოფომ ღარიბ გლეხს გასინჯვაში 50 კაპიკი ახდევინა როგორც ეს ეხლა ხდება, და წამალში ავათმყოფ გლეხმა კიდევ სხვა იხადა, ეს შეუფერებელი იქნება.

ხშირი არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც გლეხს ვინმე გაუხდება მძიმე ავათ. ის მიმართავს ექიმს, მაგრამ თუ თავის საცხოვრებელი სულ არ გაყიდა, ექიმის ხარჯს ვერ აუვა. ჯერ ერთი უნდა გადიხადო გასასინჯი ერთი სამათ, შემდეგ, თუ ექიმს არ მიართვი ეტლი, ისე ფეხს არ გაადგამს.

ამდენი ხარჯების გადახდა გლეხს არ შეუძლია. ამის გამო ის იძულებული ხდება მიმართოს ისევ სოფლის ექიმბაშებს, რასაც შედეგათ მოსდევს ადამიანის მსხვერპლი. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ბორჯომის აღმასკომმა და ეს საქმე როგორმე მოაწესრიგოს.

ირ. რაზმაძე.

სახიფათო ხიდი

(ს. კაზრეთი,—ბორჩალოს მაზრა)

ამ სოფელს ახლო უვლის მდინარე მოშევანი. უწინ აქ იყო ქვიტკირის კარგი ხიდი, მაგრამ, უკვე რამდენიმე წელია, რაც წყალდიდობამ სავსებით დაანგრია ეს ხიდი და ორი სოფელი — კაზრეთი და ბალიჭი — მოწყვეტილი დარჩა მთავარ გზას (თბილის - ერევნის გზატკეცილი), რაც ამ ორი სოფლის გლეხობას მეტად ცუდ მდგომარეობაში აყენებს.

მდინარეზე გადებულია სამი თუ ორი ხის დამპალი ჯირკი, რომელზედაც გასვლა მეტად სახიფათო რამ არის, მით უმეტეს ზამთარში და ცუდი ამინდის დროს. არა ერთი შემთხვევა იყო, რომ მდინარეში ჩავარდა გამსვლელი.

ადგილობრივი აღმასკომი კი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ ფრიად საჭირო საქმეს. თემაღმასკომის მხრით საჭიროა ხელმძღვანელობა, რათა თუ ხიდი არა, რიგიანი ხის ბოძები მაინც იქნეს გადებული მდინარეზე, რომ თავისუფლად შეიძლებოდეს გასვლა.

ეონ.

აფერისტების მსხვერპლი

(ს. კაზრეთი, ბორჩ. მაზრა).

ს. კაზრეთს არა აქვს წყარო. წყარო დაშორებულია სოფლიდან ორი ვერსით, საიდანაც წყლის ზიდვა წელში სწყვეტს ქალებს. იყო ცდა ადგილობრივი სოფლის გლეხკომის მიერ წყლის მილით გადმოყვანის შესახებ.

ესენი გაურიგდენ ვიღაც აფერისტებს, რომლებმაც წინდაწინ წაიღეს საკმაო თანხა — ბეს სახით, იმუშავეს ვითომ რაღაც ერთი კვირა და გაქრნენ...

სოფელი კი დარჩა ხახამშრალი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დაიკარგა მიცემული ფულიც... საკვირველია, რატომ არ ხედავს თემაღმასკომი ასეთ რამეებს თემში და რატომ არ უწევს მას სათანადო ხელმძღვანელობას!?

ეონ.

რა გააკეთა აღმასკომმა

(ნოქალაქევი, სენაკის მაზრა)

არჩევნების წინ თითეულ უბანში მოხსენება იქნება აღმასკომის მუშაობის შესახებ. ძველი საბჭოს მეოხებით ბევრი გაკეთდა: კაპიტალურად შეკეთებულია 4 სკოლა. აშენებულია 4 წლედის შენობა, რემონტი აქვს გაკეთებული აბანოს შენობებს და აშენებულია 8 თვალიანი შენობა აბანოში, გაყვანილი ახალი გზები შეკეთებულია ხიდები.

თემში გვაქვს ქოხ-სამკითხველო, საექიმო პუნქტი, გვყავს ბებია ქალი. 7 წლედი, აფთიაქი და სახერხი ქარხანა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გასულ წელთან შედარებით ბევრი გაკეთდა. აღმასკომის ნაყოფიერი მუშაობის გამო გლეხობასაც აქტიურობა დაეტყო.

ან. კირცხალია.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ნეობის განყოფილება

ქიაურში მოაწყო ხე-ტყის საწყობ- ხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჩხის.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზალმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—1

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.

პარტიული ცხოვრება

პოლიტგანმანათლებელ მუშაობის შესახებ

(აგიტპროპგანყოფილებათა გამგეების თათბირის დადგენილებათა გამო)

ამ დღეებში დამთავრებულ სამაზრო და საოლქო კომიტეტების აგიტპროპგანყოფილებათა გამგეების თათბირზე მოსმენილ იქნა პოლიტგანათლების მთავარმმართველობის მოხსენება. მოხსენებამ მაზრამუშაკების სერიოზული ყურადღება მიიპყრო. ადგილობრივი ამხანაგები დაინტერესდნენ საკითხით და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ ღონისძიებათა გამომუშავებაში მომავალი საქმიანობის ნაყოფიერად წასაყვანად. თათბირის რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნის წარმოების და სასოფლო მეურნეობის აღორძინებასთან ერთად გაიზარდა მშრომელთა ფართო მასების კულტურული მოთხოვნილება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება მოითხოვს მუშურ-გლეხურ მასების ცოდნის და კულტურული დონის ამაღლებას, რაც პოლიტგანათლების მთავარმმართველობის წინაშე აყენებს რთულ ამოცანებს და მოითხოვს დაკვირვებულ გეგმიან მუშაობას. უმთავრეს ნაკლათ, რომელიც ამ ჟამად არსებობს თათბირმა აღიარა საპოლიტგანმანათლებლო მუშაობისადმი ნაკლები ყურადღება ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ, მუშაობაში სათანადო პოლიტიკური შინაარსის უქონლობა, სუსტი კავშირი პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანოებთან და მათი ნაკლები დაინტერესება ამ მუშაობით. თათბირმა საჭიროთ სცნო შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარება პოლიტგანმანათლებელ მუშაობის გაჯანსაღებისათვის. ჩატარებულ უნდა იქნას კამპანია პარტიისა, კომკავშირისა და პროფორგანოების მიერ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის მიზნებზე და ამოცანებზე. უნდა მოხდეს ქოხ-სამკითხველოების დათვალიერება. მათი მუშაობის ხასიათის გამოსარკვევათ უნდა მოხდეს საკლუბო მუშაობის შეთანხმება პროფორგანოებთან. უნდა ითქვას, რომ წინად პოლიტგანათლების ორგანოებისა და პროფკავშირების შორის არ იყო შეთანხმება ამ მუშაობაში, რაც ერთგვარ პარალელიზმს იწვევდა და აფერხებდა საქმეს.

უმთავრეს ხელშემშლელ პირობათ უნდა ჩაითვალოს, როგორც ადგილებზე, აგრეთვე ცენტრში საპოლიტგანმანათლებლო ორგანოების ბიუჯეტის სიმცირე. გასულ საბიუჯეტო წელს მაზრპოლიტგანების ბიუჯეტი შეადგენდა მაზრის განათლების განყოფილებათა ბიუჯეტისა 2 პროც. 12 პროცენტამდე. რუსეთში კი ამ მხრივ უკეთესი პირობებია. პროცენტული შეფარდება უდრის 12—15-მდე. თათბირმა საჭიროთ სცნო, რათა პროცენტული შეფარდება მაზრის განათლების განყოფილების ბიუჯეტთან პოლიტგანის ბიუჯეტი აყვანილი იქნას 15—17 პროცენტამდე.

თათბირმა აგრეთვე საჭიროთ სცნო მეტი ყურადღება მიექცეს წრეების მუშაობას საერთოდ და განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ წრეებს (მათი სათანადო ლიტერატურით და ხელმძღვანელობით უზრუნველყოფა).

საჭიროა დაწყებულ იქნას აგრეთვე თვითგანვითარების წრეების ჩამოყალიბება. თათბირმა საჭიროთ სცნო ჩვენი სოფლებისათვის ლიტერატურის მიწოდება მოძრავ ბიბლიოთეკების საშუალებით.

დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას. მომავალში ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს. თათბირმა აღნიშნა აგრეთვე, ერთი არანორმალური მოვლენა: მომჭირნეობის რეჟიმის არა სწორი გაგების გამო ზოგ მაზრებში მაზრპოლიტგანები შეუერთეს განათლების განყოფილებებს და ამავე დროს სპეციალური მუშაკი არ გამოუყვიათ ამ მუშაობისათვის. რასაკვირველია მომავალში არც ასეთ მოვლენებს უნდა ექნეს ადგილი.

აი უმთავრესი ის, რაც აგიტპროპ განყოფილებათა გამგეების თათბირმა აღნიშნა და რაც შესწავლილი უნდა იქნას ადგილობრივ მუშაკების მიერ მომავალ მუშაობაში გამოსაყენებლად.

გერ. ლომთათიძე.

დელეგატ ქალთა გადარჩევა

(ზუგდიდი)

1926-27 წ. დელეგატ-ქალთა ხელახალი გადარჩევის დროს სამზრკომის პრეზიდიუმის მიერ წინასწარ იქნა გათვალისწინებული ის პუნქტები, სადაც უნდა ჩატარებულიყო დელეგატთა ხელახალი არჩევნები და სადაც შესაძლებელი იყო სადელეგატო კრებებზე ხელმძღვანელობის გაწევა პარტორგანოების მიერ.

სადელეგატო პუნქტებად დასახელებულ იქნა 16 თემი: 1) დარჩელი; 2) ორულ-ერგეტა; 3) კოკი; 4) ცაიში; 5) ნიკოხია; 6) ზუგდიდი; 7) ხეთა; 8) ხობი; 9) პირველი ხორგა; 10) ლია; 11) ჯვარი; 12) ტყაია [illegible]; 13) ობუჯი; 14) მალენჯიხა; 15) მუხური და 16) ხაბუმე.

სამაზრკომის ქალთა განყოფილებამ სამზადისს კამპანიის ჩატარების დაწყებამდე შეუდგა — მან წინასწარ მოიწვია რაიორგანიზატორების თათბირი და გააცნო მათ, თუ როგორ უნდა ჩაეტარებიათ დელეგატ-ქალთა ხელახალი არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა და თვით არჩევნები.

განყოფილებამ დაუგზავნა ყველა კომუჯრედებს ცირკულიარული წერილი დელეგატთა გადარჩევის შესახებ, ინსტრუქცია და თეზისები ხელმძღვანელად. ყველა უჯრედებში ახკომკავშირთა გაერთიანებულ კრებებზე ჩატარდა მოხსენებები ამ საკითხებზე.

დელეგატთა ხალახალი გადარჩევა ჩატარდა თექვსმეტივე პუნქტებში, არჩეულია 482 დელეგატი; მათში წინა მოწვევის დელეგატები—41 ყველა ქართველებია; წ.-კ. მცოდნე—259; წ.-კ. უცოდინარი—223; გათხოვილი—315; ქალიშვილი 118, ქვრივი—49, გათვისებული—5; ა. ლ. კ. კ. წევრი—8; კომპარტიის კანდიდატი—3; უპარტიო—471; ღარიბი—285; საშუალო—197; დიასახლისი—470; მოსამსახურე—4; მუშა—8; არჩევნებში მონაწილეობა მიიღო—1911 ქალმა.

გადარჩევების დროს ძველი დელეგატები ანგარიშს არ აბარებდენ თავიანთამომრჩევლებს. არჩევნების ჩატარების დროს სწარმოებდა საშინდვრო მუშაობა რის გამოც ანუფილებას ზოგიერთ თემებში უხდებოდა კრებების მოწვევა სამჯერ ზოგან მეოთხეჯერაც. მიუხედავად ამ ხელის შემშლელი პირობებისა არჩევნები ყველგან [illegible] იქნა ჩატარებული. საერთო კრებებს ესწრებოდენ არა მარტო ქალები, არამედ მამაკაცებიც, რომლებიც საკმაო აქტივობას იჩენდენ კრებაზე სხვადასხვა ხასიათის შეკითხვების მიცემით, რაც უნდა მიეწეროს საბჭოთა ხელისუფლების სწორ მიდგომას უპარტიო მასისადმი.

დელეგატ-ქალთა რიცხვი წელს გაიზარდა. თუ შარშან იყო 260 დელეგატი-ქალი, წელს არის 482. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ სადელეგატო კრებების შარშანდელი შემადგენლობა არ იყო დამაკმაყოფილებელი, წელს ამ მხრივაც გაუმჯობესებულია მდგომარეობა. დელეგატ ქალთა მეტი ნაწილი არის უღარიბეს და საშუალო გლეხობიდან. მოსამსახურეა მხოლოდ 4, დანარჩენი კი დიასახლისებია.

თუ შარშან იყო სადელეგატო კრებები 12 ადგილას, წელს არის 16 ადგილას, ყველა სადელეგატო კრებებს ჰყავს უჯრედის მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელები.

დელეგატ-ქალები მიმაგრებულია პრაქტიკულ სამუშაოებზე სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში, როგორიცაა: თემსაბჭოები, სამომხმარებლო კოოპერატივები, სახ.-სამეურნეო საკრედ. ამხანაგობები, გლეხკომები და სხ.

მცოდნე.

მუშათა ცხოვრება

აპარატის გამუშურების შესახებ

ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის ერთ მთავარ საშუალებად მიჩნეულია სახელმწიფო აპარატის გამუშურება. სამეურნეო ორგანოებში, საბჭოთა დაწესებულებებში და სხვადასხვა ორგანიზაციებში, თანდათან უნდა წამოვაყენოთ მუშები. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ძველმა ჩინოვნიკებმა, რომელთაც ათეული წლობით უმუშავნიათ ნიკოლოზის დროინდელ დაწესებულებებში, ჩვენს დაწესებულებებში ძველი ბიუროკრატიული სული შემოიტანეს; მათი გავლენის ქვეშ ბევრი ახალი მომუშავეც მოხვდა.

რა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ ჩვენს დაწესებულებებში გაბატონებულ ბიუროკრატიზმს? ერთი მთავარი საშუალება, რომლითაც ჩვენ საფუძვლიანად აღმოფხვრით ბიუროკრატიზმს, არის აპარატის გამუშურება, მუშების წამოყენება სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილებზე. უმთავრესად მუშა იტანჯებოდა თვითმპყრობელობის დროს ბიუროკრატიზმისაგან და ამიტომ იგი თავიდანვე ზიზღით და სიძულვილით უყურებდა ბიუროკრატიულ დაწესებულებებს; ის ყველაზე უფრო თავისუფალია ბიუროკრატიზმისაგან. სწორედ ამიტომ აყენებს პარტია და ხელისუფლება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მთავარ საშუალებათ აპარატის გამუშურებას, მუშების წამოყენებას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

მუშა მუშურ სულს შეიტანს ჩვენს დაწესებულებებში; მუშა გაამარტივებს საქმეების წარმოებას, საჭირო არ იქნება უბრალო საქმისათვის მთელი თვეების დაკარგვა და სხვა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშების დაწინაურების საკითხს. მართალია ამდენი ხანიც ხდებოდა მუშების წამოყენება საპასუხისმგებლო ადგილებზე, მაგრამ მას ასეთი მნიშვნელობა არ ეძლეოდა. დღეს კი ბიუროკრატიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებით ამ საკითხს მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ.

განსაკუთრებული სიფხიზლე მართებთ დაბალ პროფესიონალურ ორგანიზაციებს. უნდა გაჩნდეს კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობა. მუშა, რომელიც იჩენს უნარს და ნიჭს, წამოყენებულ უნდა იქნეს მეტ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე; როდესაც აქ გამოიცდება შესწავლის მუშაობის ხასიათს შემდეგ შეიძლება მისი კიდევ უფრო საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნა და სხვ. დიდი ბელადის სიტყვები „მზარეულ ქალმაც უნდა იცოდეს სახელმწიფო მართვაო" — საქმედ უნდა ვაქციოთ. მუშათა რიგებიდან სულ ახალ ახალი კადრები უნდა წამოვაყენოთ და სახელმწიფო აპარატში ჩავაყენოთ. ეს იქნება სახელმწიფო აპარატის გამუშურება, ამით ჩაეცემა სასიკვდილო ლახვარი ბიუროკრატიზმს. მუშა მტერია ყოველგვარი ბიუროკრატიული გადახრის, და ამიტომ ის გაანთავისუფლებს ჩვენ სახ. აპარატს ბიუროკრატიზმისაგან.

რა არის ეს თუ არა დაუდევრობა?

თბილისის საყუდს ექვემდებარება ხაშურის, სანაინის, აქსტაფის და კახეთის საყუდები, რომლების მომუშავეთა რიცხვი უდრის არა ნაკლებ 2.145 კაცისა. ამ მომუშავეთა კვალიფიკაციაში შედიან სხვადასხვა დარგის მუშები, როგორც მაგალითად: მემანქანეები, მათი თანაშემწეები, ცეცხლფარეშები, მზეთავები და სხვ. ჯამაგირის გარდა ესენი ღებულობენ ჯილდოებს, როგორც არის საევრსტო, მაზუთის პრემია და სხვ. ყოველივე სახის ჯილდოზე მოთხოვნილების უწყებებს ადგენს, სამექანიკო სტატისტიკა, სადაც წარმოებს ყოველივე ზედმეტი მუშაობის და ჯილდოების აღრიცხვა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სანამ საყუდის კანტორაში მოვიდოდეს ფულის მოთხოვნილების უწყება, ის ებარება მოლარეს, რაც დაუშვებელია, რადგანაც ჯერ უნდა ჩაიწეროს მომუშავეს საანგარიშო წიგნაკში და შემდეგ კი მისი მიხედვით მოლარემ უნდა გასცეს ფული. ეს ეგრე არ ხდება. სტატისტიკა მთავარ სალაროში გზავნის უწყებებს, მოლარეს აძლევენ გასაცემი ფულის უწყებებს, საყუდის კანტორამ კი ამაზე არაფერი იცის, რადგანაც უწყება არა აქვს მიღებული. ამიტომ მუშებს ფულის მიღება უგვიანდებათ და ამ ნიადაგზე მუშებს და საყუდის კანტორის მოხელეებს დიდი უსიამოვნება აქვთ. საყუდის კანტორის მოხელეები ვერ აჯერებენ მუშებს, რომ არ არის მიღებული სტატისტიკიდან უწყება. გადის ორი სამი დღე და შემდეგ გვეგზავნიან მოთხოვნილებების სიას, მუშებს კი ჰგონიათ, თუ წიგნაკში არ უწერთ ჩვენი „კაპრიზი"-ს გამო. ეს თითქმის ყოველ თვე მეორდება.

ამ ერთი კვირის წინად საყუდის კანტორამ მიიღო სამექანიკო სტატისტიკიდან მოთხოვნილების უწყება № 1381. სადაც იყო მოთავსებული 13 კაცი, 244 მან. 28 კ. ჯამით, მაგრამ ამავე დროს უწყისზე არ არის აღნიშნული ვის ეკუთვნის ფული, ან რომელი გუნდისაა ან რისი ჯილდოა, ან არც დრო და რიცხვია აღნიშნული. კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხსენებული უწყება ეკუთვნის სანაინის მემანქანეთა გუნდს. რას ნიშნავს ყოველივე ეს თუ არა დაუდევრობას?

მუშკორი ძია—ლევან.

გაზ. „მუშა"-ს თბილისის კვანძის რკინის გზის მუშკორთა მეორე თათბირი

პირველი სხდომა

კვირას 6 თებერვალს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის სალექციო დარბაზში შესდგა გაზეთ „მუშა"-ს თბილისის კვანძის რკინისგზელ მუშკორთა მეორე თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. ივ. ნანუაშვილმა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ნ. ვაჭარაძე, ს. დოლიძე და გ. ნანუაშვილი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მუშკორ-გლეხკორთა მოძრაობა და მისი ამოცანები, 2) ა. კ. რკინის გზის გამგეობის მოხსენება. 3) კედლის გაზეთების ირგვლივ, 4) რედაქციის მოხსენება და 5) მოხსენებები ადგილებიდან.

მუშა-გლეხკორთა მოძრაობის და მათ ამოცანების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ნოვოლეტავმ. ის შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, დაახასიათა შინაური მდგომარეობა და ამასთან დაკავშირებით შეეხო მუშკორების ამოცანას დღევანდელ მომენტში.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშკორთა დევნის საკითხს და ამბობს, რომ საკონტროლო ორგანოები და მ. გ. ინსპექცია, სასტიკ პასუხს სთხოვს მუშკორების მდევნელებს. მუშ-გლეხკორთა დევნისთვის რუსეთში უკვე მიღებულ იყო უმაღლესი ზომა დახვრეტაც კი, თუ საჭირო იქნება აქაც მივმართავთ ასეთ საშუალებებს.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა. მათ აღნიშნეს მუშკორთა დევნა ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა მოხერხებული საშუალებებით და სხვა.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის გზათა უფროსის თანაშემწის ამხ. ბერიძეს მოხსენება. ის თათბირს აცნობს რკინის გზის ტრანსპორტის მდგომარეობას. აღნიშნავს, რომ რკინის გზას არ აქვს საკმარისი ვაგონები, რაც გამოწვეულია იმით, რომ რკინის გზის მთავარი სახელოსნო ვერ ასწრებს ყველა ვაგონების შეკეთებას და ვერ აკმაყოფილებს რკინის გზას ვაგონების მიწოდებას. ამის გამო ბრკოლდება მატარებლების სრული სისწრაფით მიმოსვლა და სხვა...

შემდეგ ამხ. ბერიძე შეეხო შპალების უქონლობის და მის უვარგისობის საკითხს. და სთქვა: შპალების ახალი გაჟღენთის მეთოდმა მოგვცა უარყოფითი შედეგი, რის გამო გორის შპალსაჟღენთი ქარხანა დაიხურა. გზათა გამგეობას განზრახული აქვს შემოიღოს ახალი სისტემის მიხედვით შპალების გაჟღენთვა. გასულ წელს დამთავრდა ფოილის, შორაპნის და ძირულის ხიდების აგება ამჟამად სწარმოებს საჯევახოს და ველასის ხიდის აგება, რომელიც მომავალ[illegible]ლისათვის დამთავრდება.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო, თუ რამდენად სინამდვილეს შეესაბამება მუშკორების მიერ მოთავსებული წერილები გაზეთებში და იწვევენ თუ არა ისინი მიზანს. ამხ. ბერიძის სიტყვით გაზეთებში მოთავსებულ წერილების 50 პროც. სინამდვილეს შეეფერება, რაზედაც მიღებულია სათანადო ზომები. ამ საქმის მოსაგვარებლად გამოყოფილია სპეციალურად რკ. გზ. სამმართველოს ადმინისტრატიული განყოფილება. მომხსენებელმა თათბირს მოუწოდა, რომ მუშკორებს მეტი მზრუნველობა აღმოუჩინოს რკინის გზის ტრანსპორტის გაჯანსაღებისათვის.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები. ღამით ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე დაიხურა მეორე თათბირის პირველი სხდომა. კამათი გადაიდო მეორე დღისთვის.

შრომის ნაყოფიერება იზრდება

როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში უკანასკნელ ხანებში შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ჩვენს ქარხანაში აიწია შრომის ნაყოფიერებამ:

ოქტომბრის თვეში ქარხანაში დამზადდა 47 მილ. 504.000 ცალი პაპიროსი ნოემბერში—46 მილ. 599.000 ცალი პაპიროსი, ხოლო დეკემბერში 50 მილ. 666.000 ცალი სხვადასხვა პაპიროსი. ამრიგად დეკემბრის თვეში დაახლოვებით 25 პროცენტით აიწია წარმოებამ პაპიროსების დამზადების საქმეში. ამავე ხნის განმავლობაში თუთუნის დამზადების საკითხიც მოგვარდა ქარხანაში. ოქტომბრის თვის განმავლობაში დამზადდა 1.722 კილო თუთუნი, ნოემბერში 1.436 კილო, ხოლო დეკემბერში კი 3.600 კილო თუთუნი.

აქ მოყვანილი ციფრები იმას მოწმობს, რომ შრომის დისციპლინა განმტკიცდა და შრომის ნაყოფიერება ქარხანაში თანდათან იზრდება.

ადმინისტრაცია და მუშები შეთანხმებით მუშაობენ. ერთმანეთის ენა ესმით.

კ. ჩ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ღარიბი გლეხობის ჩაბმა კოოპერაციაში

ქუთაისი, 7 თებერვალი. ქუთაისის მუშათა კოოპერატივმა თავის სამოქმედო რაიონში შეადგინა კოოპერატივის წევრად ჩაწერის მსურველ გლეხთა სიები. სიაში 500 ღარიბი გლეხი აღიწერა. ყველა ისინი მიღებული არიან კოოპერატივის წევრად. საპაიო და საწევრო გადასახადი გადაიხადა თვით კოოპერატივმა თავის წმინდა მოგებიდან. (ადს).

ქუთაისის კოლოფების ფაბრიკა

ქუთაისი, 7 თებერვალი. კოოპერატიულ საზოგადოება „დახმარებას" კოლოფების ფაბრიკაში გაფართოვებულია კოლოფების წარმოება. ქუთაისს გარდა ფაბრიკა თავის ნაწარმოებს აწვდის ბათომს, სოხუმს და სხ. ქალაქებს. მუშების რიცხვი 25 გაიზარდა 35-დე. უკანასკნელ თვეში წარმოება 40 პროც. გაიზარდა. გაუმჯობესებულია პროდუქციის ხარისხი.

გლეხის სახლი

ქუთაისი, 7 თებერვალი. გლეხის სახლში გამოყოფილია სპეციალური თანამშრომელი, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ და სამეურნეო თემებზე ესაუბრება ჩამოსულ გლეხებს. მოწვეულია იურისტი, რომელიც აღმოუჩენს უფასო იურიდიულ დახმარებას. 3 თვის განმავლობაში გლეხის სახლი გაიარა 1.667 გლეხმა; ამბულატორიული დახმარებით ისარგებლა 28 გლეხმა, 41 გლეხი მოთავსებული იქნა საავადმყოფოში. (ადს).

აფხაზეთი

სოხუმის კეთილმოწყობა

სოხუმი, 7 თებერვალი. სოხუმის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას მიმდინარე წლისათვის განზრახული აქვს ქალაქის კეთილმოსაწყობად დახარჯოს 396 ათასი მანეთი. აქედან 155 ათასი მანეთი მოხმარდება მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების შეკეთებას, 70 ათასი მანეთი ქუჩების კეთილმოწყობას, ახალ წყალსადენის გაყვანას 160 ათასი მან., ხოლო ძველი წყალსადენის შეკეთებას ხუთი ათასი მანეთი.

სამხრეთ-ოსეთი

ოსეთის ისტორია

ცხინვალი, 7 თებერვალი. სამხრეთ-ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატი ჩრდილო-ოსეთის სამეცნიერო გამოკვლევ ინსტიტუტთან ერთად თბილისში გზავნის ერთს თავის წარმომადგენელს არქივებიდან იმ მასალების ამოსარჩევად და შესასწავლად, რომელნიც ჩრდილო და სამხრეთ-ოსეთის წარსულ ცხოვრებას შეეხება. ოსეთის მხარეთ მცოდნეობის ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ოსეთის ხალხი წარსულის შესწავლას, უმთავრესად გლეხთა მოძრაობის ისტორიას მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში.

წერილები

ბოროტმოქმედნი და უსჯელად დაიარებიან

(სვირი, ქუთ. მაზრა)

სოფელ სვირში ერთმა ღარიბმა გლეხმა ვლადიმერ ბოჭორიშვილმა 1922 წელს, სიმინდის სიძვირის დროს, გაყიდა მთელი თავისი საცხოვრებელი, სახლ-კარი და მიწა, რათა გამოეკვება ცოლ-შვილი. დანარჩენი ფულით გადასახლდა ქალაქ ბათომში, სადაც თავისი დღიური შრომით ირჩენდა თავს. ადგილი იყიდეს შეძლებულმა გლეხებმა ძმებმა. არქიპო, მიხეილ და ათანასე ბოჭორიშვილებმა. ადგილის გაყიდვის დროს გამყიდველის ვლადიმერ ბოჭორიშვილის ძმა მიშა ბოჭორიშვილი იმყოფებოდა გამასწორებელ სახლში. როდესაც ის განთავისუფლდა. შეუდგა სამსახურს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ხოლო დღეს ის სასამართლოს წესით მოითხოვს მყიდველისგან მიწას.

საქმე ჯერ არ გარჩეულა, 10 იანვარს 1927 წ. მიშა ბოჭორიშვილი ჩამოვიდა სვირში თავისი ადგილის მდგომარეობის გამოსარკვევად და მყიდველებთან მოსალაპარაკებლათ. მაგრამ მყიდველები მას ვერ შეურიგდენ და გაიგეს კიდეც, რომ მიშა ბოჭორიშვილი კანონიერად მოითხოვდა თავის მიწას, რომ მყიდველები საქმეს სასამართლოში წააგებდენ. ამიტომ განიზრახეს მ. ბოჭორიშვილის სიკვდილი. რომ კარგად შეესრულებინათ განზრახვა, დაპატიჟეს ის და აქეიფეს. ქეიფის შემდეგ მ. ბოჭორიშვილი სახლიდან გამოვიდა და თავის ბინაზე წავიდა დასაწოლათ. როდესაც სადაო ადგილში გადავიდა, მას მიადახეს და მოტყუებით შეაჩერეს. შემდეგ დაკრეს თავში ნაჯახი და სასიკვდილოთ დაჭრილი სტუმარი მთლათ უნდა მოეკლათ, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა და თავს უშველა, თავის ბინაზე მივიდა, ხოლო არქიპო მიხეილ და ათანასე ბოჭორიშვილებმა ასტეხეს ყვირილი ვითომდა მიშა ბოჭორიშვილი მათ დაეცა და ყაჩაღურათ ფულს ართმევდა. მილიციამ ჯერ-ჯერობით არავითარი ზომები არ მიიღო. ბოროტმოქმედნი სახლში თავისუფლათ არიან. ამის მოწმე გლეხები გაკვირვებას არიან, ნუ თუ ასე უბრალოთ უნდა შერჩეს მათ კაცის მოკვლის ცდა?

ციმორი.

სწორი ნაბიჯი

(წერილი სენაკიდან)

სენაკის საკრედიტო ამხანაგობაში თურმე წევრებათ მიღებულნი ყოფილან ისეთი პირები, რომელთაც წესდების ძალით უფლება არ ქონდათ ყოფილიყვნენ საკრ. ამხ. წევრათ: ვაჭრები. მღვდლები და მოსამსახურენი.

ასეთი მდგომარეობა ძლიერი უკმაყოფილების იწვევდა გლეხებში. რადგანაც ვაჭრები და აგრეთვე მოსამსახურენი ყოველთვის ახერხებდენ ფულის მიღებას, ხოლო მშრომელი გლეხობა რჩებოდა დახმარების გარეშე.

ეს გარემოება იქნა მიღებული მხედველობაში და გამოიყო კომისია საკრედიტო ამხანაგობის წევრთა გასაცხრილავად. რა მივიღეთ შედეგათ?

საკრედიტო ამხანაგობიდან გამორიცხა 10 ვაჭარი და მღვდელი, როგორც არა კანონიერათ ჩარიცხული. 65 მოსამსახურის მოესპო ნაღდი ფულით სარგებლობის უფლება, რადგანაც ისინი მეურნეობას არ ეწეოდნენ და ამიტომ არც საჭიროებდნენ სასოფლო საკრედიტო ამხანაგობის დახმარებას.

გამოირიცხენ აგრეთვე ის წევრები, რომელნიც არა კეთილსინდისიერად ასრულებდნენ ვალდებულებას საკრ. ამხანაგობის წინაშე.

ამნაირად, ამ წმენდამ გლეხობაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია და საკრედიტო ამხანაგობის ავტორიტეტი ასწია.

სასოფლო - საკრედიტო ამხანაგობა გლეხობისათვის არის დაარსებული და მით მხოლოდ მეურნენი უნდა სარგებლობდენ.

ეს ხაზი ყველგან და ყოველთვის მტკიცედ უნდა ტარდებოდეს.

სასურველია ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობის ნაბიჯს მიბაძონ მაზრის სხვა საკრედიტო ამხანაგობებმა. სადაც, როგორც ცნობილია, ბევრი ვაჭარი და არა მეურნეებია მოკალათებული.

ბ. უჩანეიშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **ტელეფონი.** დვალიშვილების თემში (ქუთ. მაზრა) გაყავთ ტელეფონის ხაზი.

— **დაზღვევა.** ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა სახელმწიფო დაზღვევის სასარგებლო კამპანიის ჩატარებას.

— **კომისიები.** შორაპნის აღმასკომი ხსნის მოკლევადიან კურსებს მილიციელთა მოსამზადებლად.

— **ტყე.** ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა გაზაფხულიდან შეუდგეს სატყეო სანერგეს გაფართოებას.

— **აფთიაქი.** ხორშის თემში (სენაკის მაზრა) გაიხსნა აფთიაქი.

— **სკოლების საჭიროებისათვის** სიღნაღის აღმასკომმა კიწის თემს გადასცა 11.000 კუბ. ფუტი ხე-ტყე.

— **მიურატის მამული.** სენაკის აღმასკომმა სახალხო მამულების ტრესტს გადასცა სოფ. სალხინოში ყოფ. მიურატის მამული, სივრცით 70 დესეტინა.

— **ზუგდიდის მაზრაში,** ცაიშ-კახათის თემში იხსნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ორი სკოლა.

— **ქარხანა.** სენაკის აღმასკომი იძენს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოდამ თხილის საწმენდ ქარხანას.

წითელ ჯარში

წვევამდე სამხედრო მზადებისათვის.

მიმდინარე წლის 17 იანვრიდან მე-2-ე ქართულ მსროლელ დივიზიების ერთეულები აწარმოებენ 1905 წელში დაბადებულ მოქალაქეთა წვევამდე მზადებას.

27 თებერვლიდან აღნიშნულ მომზადებას გაივლიან 1906 წელში დაბადებულები.

თანახმად კანონისა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ, წვევამდე მომზადებისათვის გაყვანის დროს მოქალაქეებს არ ეძლევათ არავითარი შეღავათი ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით.

წვევამდე მზადებისაგან თავისუფალნი არიან: სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომლები, ამიერ-კავკასიის რკინისგზის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც გადიან წვევამდე მზადებას საგანგებო წესით და უმაღლეს სასწავლებლების პირველი და მეორე კურსის მსმენელები.

სხვა დანარჩენი მოქალაქენი, რომელთაც ეხებათ სამხედრო წვევამდე მზადება, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ დაუგვიანებლად სათანადო სამოსწავლო წერტზე.

დივიზიის სამმართველოში მოდის მრავალი შუამდგომლობა როგორც კერძო პირებიდან, აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებებიდან წვევამდე მომზადებისაგან განთავისუფლების შესახებ.

დივიზიის სამმართველო განმარტავს, რომ სამხედრო წვევამდე მზადებისაგან არავინ არ იქნება განთავისუფლებული არავითარ შემთხვევაში და ამის გამო შუამდგომლობები განთავისუფლების შესახებ დივიზიის სარდლობის მიერ არ იქნება განხილული.

ის მოქალაქენი, რომელნიც მოერიდებიან თავის დროზე გამოცხადებას, ან რომელნიც ხელს შეუწყობენ მორიდებულთა დაფარვას, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით და, გარდა ამისა, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის დროს ჰკარგავენ ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამო შეღავათით სარგებლობის უფლებას.

ი. ზ.

შეკრებათა შორისო მუშაობა და კომკავშირი

ტერიტორიალური სისტემის დროს შეკრებათა შორის მუშაობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ცვალებად წითელარმიელთა მომზადების საქმეში.

ტერიტორიალურ შეკრების დამთავრების შემდეგ ცვალებადი წითელი არმიელი ბრუნდება სახლში, სადაც უნდა დაჰყოს თერთმეტი თვე მორიგ შეკრებამდე. საჭიროა, რომ ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდეს მეცადინეობა მათთან, რომ არ დაავიწყდეთ შეკრების დროს მიღებული ცოდნა. საჭიროა აგრეთვე, რომ ცვალებადმა თერთმეტი თვის განმავლობაში შეიძინოს კიდეც ახალი ცოდნა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

ცვალებად წითელ არმიელებს შეკრებათა შორის პერიოდში უნდა გაეწიოს ყოველმხრივი დახმარება, რომ მორიგ შეკრებაზე იგი გამოცხადდეს მომზადებული.

ადგილობრივ კომკავშირის ორგანიზაციებს ამ მხრივ შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ ცვალებადებს.

გასული წლების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ კომკავშირი არ იყო სავსებით ჩაბმული შეკრებათა შორისო მუშაობაში. ბევრ ადგილას კომკავშირის ორგანიზაცია არ იყო გაცნობილი ტერიტორიალურ სისტემის და კერძოდ შეკრებათა შორისო მუშაობის მიზნებსა და ამოცანებთან. არ არსებობდა კავშირი ჯარის ნაწილის პოლიტაპარატს და კომკავშირის შორის. ბევრ ადგილას კიდევ კომკავშირი არ იღებდა მონაწილეობას სამხედრო კუთხეების მუშაობაში.

ეს მდგომარეობა, უეჭველია, უნდა გამოსწორებულ იქნეს ახლო ხანში.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ჩვენი კომკავშირის ორგანიზაციები გაეცნონ ახლო ტერიტორიალურ სისტემას და მის დამახასიათებელ მხარეებს. საჭიროა, რომ კომკავშირის ორგანიზაციებმა დაიჭირონ მჭიდრო კავშირი ჯარის ნაწილის როგორც პოლიტაპარატთან, აგრეთვე მეთაურთა შემადგენლობასთან. შემდეგ, კომკავშირმა უნდა მიიღოს ცხოველი მონაწილეობა სამხედრო კუთხეების მუშაობაში და გაუწიოს ხელმძღვანელობა კუთხის სხვა დასხვა დარგების მუშაობას.

ამით კომკავშირი შეუწყობს ხელს შეკრებათა შორისო მუშაობას და ცვალებად წითელარმიელთა მომზადების საქმეს.

ხ.

ქალაქის საბჭოების გამოკვლევა

ახალი გეგმის თანახმად, ა. კ. მუშ. და გლეხ. ინსპექცია, რესპუბლიკანურ მუშურ-გლეხურ ინსპექციასთან ერთად შეუდგება თბილისის, ბაქოს და ერევნის ქალაქის საბჭოების გამოკვლევას. გამოკვლევის მიზანია გამორკვევა იმის, თუ რატომ არ არის გატარებული ცხოვრებაში ახალი დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ და რა ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი ქალაქის საბჭოების ორგანიზაციასა და მათ ფუნქციებში.

გამოკვლევის პროცესში, სხვა საკითხებთან ერთად, გამორკვეული იქნება, თუ როგორ და რა ფორმებში ახორციელებენ ქალაქის საბჭოები მათ ფუნქციებს—მართლმსაჯულების წარმოების, ფინანსების, გადასახადების, მეურნეობის, მრეწველობის, შრომის და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და კულტურულ დარგში. გარდა ამისა ყურადღება მიექცევა სექციების მუშაობას იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ახორციელებენ ისინი დებულებით გათვალისწინებულ ახალ ამოცანებს. ამასთან ერთად გამორკვეული იქნება საბჭოს ცალკე წევრთა ინიციატივის განვითარება საბჭოს და საზოგადოებრივ მუშაობაში და მათ მიერ დებულების ფორმების განხორციელება და ანგარიშის ჩაბარება ამომრჩევლებისათვის.

ყველა ეს საკითხები გამოკვლეული იქნება, როგორც დოკუმენტალური ცნობების მიხედვით, ისე განსაკუთრებით საუბრებით და თათბირით საბჭოს სექციებთან და წევრებთან.

ნათესების მდგომარეობა

აღმოსავლეთ საქართველოში გვალვების გამო ძალიან შეგვიანდა შემოდგომის პურეულის თესვა, პურეულის პირველი ჯეჯილი ამოვიდა 6—15 დღის შემდეგ. პირველ იანვრამდე შემოდგომის ხორბალი ცუდ მდგომარეობაში იყო (5 ბალიანი სისტემის მიხედვით—უდრის 1). ამის მიზეზია გვალვა და ნაწილობრივ მინდვრის თაგვების გაჩენა. შემოდგომის ქერი საშუალოზე ნაკლებ მდგომარეობაშია (1.8), შვრია—ცოტა უკეთეს მდგომარეობაში (2,6), მაზრების მიხედვით შემოდგომის ნათესები საშუალო მდგომარეობაშია მხოლოდ ბორჩალოს მაზრაში, დანარჩენში კი—ცუდი.

მინდვრის თაგვების მოსასპობად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სას.-სამ. აგროდახმარების განყოფილებამ მიიღო სათანადო ზომები.

დასავლეთ საქ. შემოდგომის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია (3,5) ლეჩხუმის მაზრაში კარგი (5), რაჭისა და შორაპნის მაზრაში საშუალო (3), ქუთაისის და შორაპნის მაზრაშიც შეგვიანდა აგრეთვე შემოდგომის ნათესების ამოსვლა, ხოლო არა გვალვების მიზნით, არამედ ხშირი წვიმის გამო, განსაკუთრებით დაბლობ ადგილებში.

ახალი სახლები

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების ცნობით აღმასკომის მიერ უკანასკნელ დრომდე აგებულია 25 ახალი სახლი, რომელიც შეიცავს 263 ოთახს, აღმასკომის მიერ შეკეთებულია და მოწყობილი 150 დარაბა, აღდგენილია 5 სახლი 142 ოთახით. კომუნალური განყოფილება აგებს აგრეთვე პლეხანოვისა და მუშტაიდის ქუჩების კუთხეში ტრამვაელ მუშებისათვის დიდ სახლს, რომელიც 560 ოთახს შეიცავს. სახლი დამთავრდება მიმდინარე წლის ზაფხულისათვის.

საბინაო სამშენებლო კოოპერაციამ ამავე ხნის განმავლობაში ააშენა 53 ახალი სახლი 66 ბინით ანუ 144 ოთახით. აგებულ შენობათა ღირებულება უდრის 263.803 მანეთს. ამავე კოოპერატიულ ორგანიზაციის მიერ შენდება 2ა სახლი 79 ბინით ანუ 181 ოთახით. ჯერ-ჯერობით ამ დაუმთავრებელ შენობებზე დახარჯულია 212.600 მანეთი.

კომუნალური ბანკის მიერ ახალი სახლების ასაგებათ და ძველი სახლების შესაკეთებლად სახელმწიფო დაწესებულებებისა და კოოპერატიული ამხანაგობის მიერ გატანილია 410.981 მანეთი, კერძო მშენებლების მიერ 336.664 მანეთი.

საგზაო დაზღ. სალაროს პლენუმი

მეორე სხდომა

მეორე სხდომა გაიხსნა კამათით ექიმ. მარქარიანის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო ათმა ამხანაგმა. ორატორები აღნიშნავდენ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი აქვს ა.-კ. რკ. გზებზე მკურნალობის საქმეში.

კამათის დასრულების შემდეგ ა.-კ. რკ გზებზე სანიტარულ-პროფილაქტიურ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საგზაო ჯან. გან. სანიტ-ეპიდემიური ნაწილის უფროსმა ექ. ზედგინიძემ.

მოხსენებიდან სჩანს, რომ სანიტარული მდგომარეობის მხრივ გზები აქამდე ცუდ მდგომარეობაში იყო. ეხლა უკვე მიღებულია ზომები მის გამოსასწორებლად.—ყველა მთავარ სადგურებზე განზრახულია აბანოების, სამრეცხველოების და კონდუქტორთათვის დასასვენებელ ოთახების მოწყობა. განყოფილებას უკვე მოუწყვია 8 ახალი სანიტარული ვაგონი, რომელთაც აყოლებენ ღამხმარე მატარებლებს. ამასთანავე განყოფილებას განზრახული აქვს სანიტ.-ჰიგიენური ლაბორატორიის მოწყობა ერევანში.

ცალკე სოციალურ-ეპიდემიურ ავადმყოფობათა დახასიათებიდან ირკვევა, რომ მალარია ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა აზერბეიჯანის გზებზე, შემდეგ საქართველოს და სომხეთის გზებზე. სენთან ბრძოლა სწარმოებს სპეციალური სამალარიო სადგურების საშუალებით, რომელთა ქსელი ფართოვდება.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე მოხსენებით გამოდის სალაროს რწმ. ექიმი კილურაძე, რომელიც არკვევს საკითხებს დროებით შრომის უნარ მოკლებულ მუშაკების განთავისუფლებისა, საექიმო კონტროლისა და სიმულიაციასთან და ტრავმატიზმთან ბრძოლის შესახებ.

მეოთხე სხდომაზე დაიწყო კამათი ექ. ზედგინიძის და კილურაძის მოხსენების გარშემო, რის შემდეგაც საბოლოო სიტყვით გამოვიდენ მომხსენებლები.

ვეტერინართა ყრილობა

გუშინ დაიხურა სამხედრო ექიმ ვეტერინართა ყრილობა, რომელმაც იმუშავა ერთი კვირის განმავლობაში.

ყრილობას დაესწრენ კავკასიის წითელ დროშოვან არმიაში შემავალი ყველა დივიზიების უფროსი ექიმი ვეტერინარები.

ყრილობის გახსნას დაესწრო ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ყრილობამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან, რითაც გამორკვეულ იქნა სავეტერინარო საქმის მდგომარეობა არმიაში. მომხსენებლები შეეხენ ცხენების შემადგენლობას, მათ მდგომარეობას, კვების და ვეტლაზარეთების და არმიის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის მუშაობას.

ყრილობამ აღნიშნა, რომ სავეტერინარო საქმე არმიაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული და ამ დარგში არის შესამჩნევი მიღწევები. სავეტერინარო საქმეს მიქცეული აქვს სათანადო ყურადღება და ნაწილები უზრუნველყოფილი არიან საჭირო მასალით და მედიკამენტებით.

ყრილობამ საჭიროთ სცნო, სავეტერინარო ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე. ამასთანავე ყოველ წლიურად გაგზავნილ იქნება სამხედრო უწყების ხარჯზე სამი კაცი ყაზანის ინსტიტუტთან არსებულ სავეტერინარო განყოფილებაზე სავეტერინარო ცოდნის მისაღებათ.

ყრილობამ დაადგინა, რომ ჯარის ყველა ნაწილებში სავეტერინარო საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, მოეწყოს სამაგალითო ვეტკაბინეტები, სადაც თავმოყრილ იქნება სავეტერინარო საქმის დამახასიათებელი მასალები.

გ.

სას. სამ. გადასახადი

1-ლ თებერვლისათვის აკრეფილია 1.398.956 მანეთი

1-ლ თებერვალს გათავდა სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეტანის უკანასკნელი ვადა. ამ დროისათვის საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, აკრეფილი უნდა ყოფილიყო 1.828.777 მანეთი. ნამდვილად კი შემოვიდა 1.398.956 მანეთი, ე. ი. მთელი გადასახადის 76,5 პროც.

შემოსული გადასახადი ცალკე მაზრებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

ახალქალაქი—103.821 მანეთი (გაწერილი გადასახადის 81,9 პროცენტი), ახალციხე—48.732 მანეთი (82,4 პროც.), ბორჩალო—157.733 მან. 72.2 პროც.), გორი—107.142 მან. (71,6 პროცენტი.), დუშეთი—30.129 მან. (60,4 პროც.), სიღნაღი—251.466 მან. (78,6 პროც.), თელავი—122.408 მან. (69,1 პროც.), თბილისი—206.325 მან. (79,2 პროც.), სამხრეთ-ოსეთი—12.497 (89,6 პროცენტი), ზუგდიდი—45.342 მან. (100 პროც.), ქუთაისი—50.637 მან. (78,2 პროცენტი), ლეჩხუმი—6.603 მან. (87.4 პროცენტი), ოზურგეთი—25.810 მან. (100 პროც.), რაჭა—15.832 მან. (90,1 პროც.), სენაკი—33645 მან. (91.2 პროც.) შორაპანი—19.744 მან. (74,5 პროც.), აჭარისტანი—26.121 მან. (96,6 პროც.), აფხაზეთი—129.280 მან. (67,5 პროც.), სახ. მამ. ტრესტი—5.686 მან. (63 პროც.); სულ კი 1.398.956 მანეთი (76,5 პროც.).

დარჩენილი თანხა გადადის ხარჯებში და ერიცხება საურავი 0.2 კაპ. რაოდენობით თვითეულ მანეთზე დღეში.

სამალარიო მუშაკთა თათბირი

გუშინ დაიხურა საქართველოს სამალარიო სადგურების მუშაკთა და ტროპიკულ სნეულებებთან მებრძოლ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირს დაესწრენ უმთავრესად ა.-კ. მეორე სამალარიო ყრილობაზე საქართველოდან გაგზავნილი დელეგატები.

თათბირი გაიხსნა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში 6 თებერვალს. მოსმენილ იქნა 8 მოხსენება ადგილებიდან, **ექ. მარუაშვილის** მოხსენება—სამალარიო სადგურების მომავალი სამუშაო გეგმის შესახებ, **ვ. ლორთქიფანიძის**—მალარიის გავრცელებაზე საქართველოში და **ნაზარეტიანის**—ა.-კ. სამალარიო ყრილობის შედეგებზე.

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ექ. ვარაზაშვილის მოხსენება, რომელმაც საჭიროთ სცნო, რათა ყოველწლიურად ორჯერ იქნას მოწვეული სამალარიო მოღვაწეთა სარესპუბლიკო კონფერენციები.

მომგებიანი სესხი

სახელმწიფო მომგებიანი სესხების ობლიგაციების მოსახლეობაში ფართოდ გავრცელების მიზნით ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეუთანხმდა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, რომლის ძალითაც ყველა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები იღებენ თავის თავზე ვალდებულებას პირველი მოთხოვნილებისთანავე გასცენ მომგებ ობლიგაციებზე აღნიშნული თანხები. ამგვარად ყველა გლეხს და მოქალაქეს, სადაც არ უნდა იყოს იგი შეუძლია მიიღოს მოგება თუ იგი მას ხვდა გათამაშების დროს ყველა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

გარდა ამისა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი მოვალენი არიან გამოაკრან თავიანთ დაწესებულებებში სატირაჟო ტაბულები და სააგიტაციო ლიტერატურა.

„ლიტერატურული ფონდი"

კვირას, 6 თებერვალს, დღის 12 საათზე, საოპერო თეატრში შესდგა დრამატურგ-კომპოზიტორთა და მწერალთა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა ეროვნების მწერალთა წარმომადგენლები. თათბირზე მოხსენება გააკეთა უკრაინის დრამატურგ-კომპოზიტორთა საზოგადოების პასუხისმგებელმა მდივანმა პროფ. ტურკელტაუბმა, რომელმაც აღნიშნა, საავტორო უფლების საკითხი საბჭოთა კავშირში და დაახასიათა მწერალთა მდგომარეობა.

მომხსენებელმა მიუთითა რომ ამჟამათ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს და დაამუშაოს საავტორო უფლების გაფართოვების საკითხი და აგრეთვე განიხილოს ეგრეთ წოდებულ „სალიტერატურო ფონდის" საკითხი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დრამატურგთა და კომპოზიტორთა საზოგადოებები უკვე არსებობს მოსკოვში და ლენინგრადში, უკრაინაში და ბელორუსიაში.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, გამოითქვა აზრი, რომ ჩვენშიაც აუცილებლად უნდა დაარსდეს დრამატურგ-კომპოზიტორთა ამიერკავკასიის საზოგადოება და უნდა დაარსდეს „ლიტერატურული ფონდი". ამ ფონდისათვის საკავშირო მთავრობამ უკვე გადასდო თანხა. შემდეგ მას დაემატება გარდაცვალებულ ავტორების გონორარი (მაგალითად, გარდაცვალებულ კომპოზიტორის ოპერის დადგმის გამო აღებული გონორარი, წიგნების ხელახალი გამოცემა და სხვ.) და აგრეთვე ავტორობის უფლებას მოკლებულთა ნაწარმოების გონორარი.

თათბირმა აირჩია საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მოიწვევს მომავალ საზოგადოების დამფუძნებელ კრებას.

შრ. სახ. კომ სარიატის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა შრომის სახალხო კომისარიატის აპარატის და ანგარიშწარმოების გამოკვლევა, გამოირკვა, რომ კომისარიატის, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ აპარატის შესანახავად 1925—26 საბიუჯეტო წელში ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევი იყო 146.471 მანეთი. მაგრამ ხარჯების გადამეტება გამოიხატა 2.251 მანეთში.

აღნიშნული იქნა მივლინებები, ზედმეტი სამუშაოები და თანამშრომლებისათვის დამატებითი გასამრჯელოს მიცემა. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ავანსების გაცემას; პირველი ოქტომბრისათვის დაუფარავი ავანსების რაოდენობა უდრიდა 4.207 მანეთს, რაც აიხსნება ადმინისტრაციის დაუდევრობით. 13 თანამშრომელზე დღემდე ითვლება 1923—24—25 წლებში გაცემული ავანსები.

აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გამოიხატება შემდეგში: შრომის სახალხო კომისარიატს დაევალა გასწიოს მხოლოდ ისეთი ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვაში, სასწრაფოდ გაატაროს შრომის ხელფასის უნიფიკაცია, შეამციროს თანამშრომლებისათვის ბინებზე დადგმულ ტელეფონების რიცხვი და სხვა.

ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა ბათომში

წინასწარი მუშაობა ნავთის გადასამუშავებელი ქარხნის ასაგებათ ბათომში უკვე დაიწყო. ერთი კვირის წინად ბათომში ჩავიდა საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქარხნის ასაგები ადგილის გამოძებნა. კომისია შეჩერდა ორ ვარიანტზე. საკითხი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი რჩება. ადგილის ამორჩევისათვის პირველ რიგში დაიწყება მუშაობა იმ ანგარიშით, რომ ოცი თვის განმავლობაში აგებულ იქნეს ქარხანა, რომელიც წლიურად დაამუშავებს 50—60 მილიონ ფუთს ლიტროინის, კეროსინის და გაზოლინის ნარევს, რომელიც ამჟამად არსებულ მილსადენით გადმოქაჩული იქნება ბაქოდან ბათომში. მილსადენი წინასწარ გადაკეთებული იქნება. ვარაუდით ბათომის ნავთის ქარხნის მოსაწყობათ საჭირო იქნება 22 მილიონი მანეთი. ამ თანხაში შედის დიდ ნავთსაზიდ გემებში ნავთის გადასხმის სამექანიზაციოდ საჭირო ხარჯები. სულ ნავთსადენის ღირებულება უდრის 225 მილიონ მანეთს.

წინასწარი სამუშაოებისათვის გადადებულია ორი მილიონი მანეთი. პირველ რიგში აშენდება ლესტილატის დასამზადებელი, რომლის წლიური ნაყოფიერება იქნება 150 მილიონი ფუთი.

მიმდინარე წელსვე აშენებული იქნება მუშათა საცხოვრებელი უბანი.

მოწყობილობა ქარხნის ასაგებად უკვე შეკვეთილი აქვს საბჭოთა კავშირის ქარხნებს.

მეაბრეშუმეობა

ყვითელი პარკი

საქართველოს მეაბრეშუმეობის ცენტრალურ სადგურს მოსკოვის საბრეშუმო სადგურიდან მოუვიდა წინადადება საქართველოს მეაბრეშუმეობისათვის შეიძინოს 6000 მისხალი ყვითელი აბრეშუმის თესლი, რომელსაც ამზადებს ასტრახანის საბრეშუმო სადგური. მისხალი თესლი ღირება 65 კაპეიკი, 6-მისხლიანი კოლოფი—3 მანეთი 90 კაპ.

საქართველოს მეაბრეშუმეობის სადგურმა ეს საკითხი განსახილველად გადასცა საქციო საზოგადოება „საქართველოს აბრეშუმს", რომელსაც აბარია. აბრეშუმის თესლის დარიგების საქმე საქართველოში. ასტრახანის საბრეშუმო სადგურის მიერ დამზადებული ყვითელი პარკის თესლი საქართველოში შემოდიოდა ომამდე მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის აზრით, ამ თესლის შემოტანა ასტრახანიდან ფრიად მიზანშეწონილია, მით უმეტეს, რომ წელს საზღვარგარეთიდან არ იქნება შემოტანილი ასეთი თესლი.

წყალსადენი

თუ რამდენად გაიზარდა წყლის მოხმარება ქალაქში და ამასთან დაკავშირებით წყალსადენის მიერ მიწოდებული წყლის რაოდენობა, მოწმობს შემდეგი ციფრები: კომუნალური მეურნეობის განყოფილების ცნობებით, 1926 წლის განმავლობაში წყალსადენს ქალაქისათვის მიუწოდებია სულ 408.463.443 ვიდრო. აქედან კერძო აბონენტების მიერ დახარჯულია 288.659.816 ვიდრო. საშუალოდ თვითეულ სულზე მთელი წლის განმავლობაში წყალსადენის საერთო შემოსავალი ამავე ხანში უდრიდა 1.383.504 მანეთს, ხოლო გასავალი—1.057.132 მანეთს. გასავალში შედის წყალსადენის აღდგენისა და შეკეთებაზე გაწეული ხარჯები. ამგვარად გასულ წელს წყალსადენს წმინდა შემოსავალი ჰქონია 326,371 მანეთი.

რკინისგზიდან

როგორ დაიმტვრა მატარებელი განჯა-ზაზალის ხაზზე

შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ გამოიძია საქმე 1926 წ. 1 დეკემბერს განჯა-ზაზალის შუა მატ. № 294-ს გაწყვეტისა და ერთმანეთზე დაჯახების შესახებ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მატარებლის გაწყვეტაში დამნაშავე არიან მემანქანეები შევჩენკო და ლიტვინოვსკი. შევჩენკო გადაყენებულია მემანქანის თანაშემწის თანამდებობიდან 6 თვით. მემანქანე ლიტვინოვსკის გამოეცხადა საყვედური. ამასთანავე საყვედური გამოეცხადა მთავარ კონდუქტორს ალი შარიფოვს, მთელ ბრიგადას და მზეთავებს, რომლებმაც არ მიიღეს ზომები დაჯახების თავიდან ასაცილებლად.

სალიანდაგო დარგის მე-9 უბნის უფროსს იანუშევსკის და მთელ ადგილობრივ კომისიას შენიშვნა მიეცა იმისათვის, რომ მათ სისწორით ვერ გამოიძიეს ეს საქმე ადგილზე.

ზარალი შემთხვევებისაგან

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა 13 საქმე. გამოირკვა, რომ ამ 13 შემთხვევას გზისათვის მიუყენებია 44.901 მანეთის ზარალი.

დამნაშავეები დასჯილი არიან ადმინისტრაციული წესით.

ზარალი ელევატორის წაქცევისაგან

ა. წ. 3 იანვარს გრიგალმა ფოთში წააქცია მარგანეცის დასატვირთი ელევატორი. წაქცევის დროს ელევატორმა დააზიანა რამოდენიმე ღია ვაგონი.

როგორც გამოირკვა, ამ შემთხვევამ გზას მიაყენა 4.613 მანეთის ზარალი.

ახალი სადგური

15 თებერვალს აზერბეიჯანის გზაზე გაიხსნება სადგ. სარვანი.

გზის აგენტების ხელახალი შემოწმება

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ წინადადება მისცა საგზაო ჯანმრთელობის განყოფილებას მოახდინოს მოძრაობასთან დაკავშირებულ აგენტების ხელახალი შემოწმება.

სინათლის სიგნალები

დაარსებულია სპეციალური კომისია სურამის გვირაბში სინათლის სიგნალების დადგმის საკითხის დასამუშავებლად.

გრიპთან ბრძოლა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა ნავთ-სადგურების სანიტარულ ზედამხედველობის ორგანოებს მოახდინონ საზღვარგარეთიდან გემებით მოსულ მგზავრების და გემის პერსონალის სავალდებულო შემოწმება, გრიპით ან სხვა გადამდები სნეულებით დაავადების გამორკვევის მიზნით.

საქართველოში მდებარე ყველა ნავთსადგურებიდან ჯანსახკომმა მიიღო ცნობა, რომ უკვე დაწესებულია სპეციალური კარანტინი და მისი გაუტარებლად რესპუბლიკის საზღვრებში არ იქნება შემოშვებული უცხოეთიდან შემოსული არც ერთი მოქალაქე.

გარდა ამისა საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებს შორის ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა გრიპის გავრცელებისა და [illegible] შესახებ.

„სოფლის კავშირი"

ავანსების გაცემა

„სოფლის კავშირი" შეუდგა მეთამბაქოეებისათვის ავანსების გაცემას. მეთამბაქოეს დესეტინაზე ეძლევა 300 მანეთი ავანსათ.

დაფნის ფოთოლი

„სოფლის კავშირი" აწარმოებს დაფნის დამზადებას. მიმდინარე სეზონში გადაწყვეტილია დამზადებული იქნეს გურია-სამეგრელოში 10.000 ფუთი დაფნის ფოთოლი.

თამბაქო

წლევანდელი თამბაქოს დამზადებას საქართველოში აწარმოებს „სოფლის კავშირი". უკანასკნელს გადაწყვეტილი აქვს დაამზადოს ამიერ-კავკასიის მაზრისათვის 80.000 ფუთი თამბაქო. დამზადება იწარმოებს ლაგოდეხის რაიონში. სამეგრელოში და გურიაში.

ნავთსადგურების გამოკვლევა

(საუბარი საზღვაო-სატრანსპორტო ცენტრ. სამმ. თავმჯდ. ამხ. სპალვინგთან)

გუშინ თბილისში დაბრუნდა საზღვაო-სატრანსპორტო ცენტრალური სამმართველოს კომისია; კომისიაში შედის საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის მთავარი ინსპექტორი, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველოს წარმომადგენელნი.

კომისიამ დაათვალიერა ამიერ-კავკასიის ყველა ნავთსადგურები: ბათომი, ფოთი, სოხუმი—სანაპირო რეიდებით: ოჩემჩირე, გუდაუთი, გაგრა, ახალი ათონი და სხვ.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სახკომატის მთავარმა ინსპექტორმა ამხ. **სპალვინგმა** განაცხადა შემდეგი:

— ნავთსადგურების დათვალიერებით გამოირკვა, რომ ყველა ნავთსადგურები ამჟამად გაცილებით უკეთ არიან მოწყობილი, ვინემ ეს გასულ წელს იყო.

ამიერკავკასიის ნავთსადგურები ეხლა მოღონიერებული არიან ეკონომიურად და სწარმოებს ენერგიული მუშაობა მათი ტექნიკურად გასაუმჯობესებლად.

საკმაოდ იზრდება ნავთსადგურების საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციები და ეს გარემოება ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს ნავთსადგურების გაფართოების შესახებ.

ახლო ხანში ნავთსადგურების სამმართველო შეუდგება ნავთსადგომის აგებას სოხუმში.

ამჟამად დადებითად არის გადაწყვეტილი საკითხი არხანგელსკიდან 2 მძლავრი ბუქსირის შესაძენად ერთი ფოთისა და მეორე ბათომის ნავთსადგურისათვის.

როგორც ვიცით, იანვარში ქარიშხალმა დიდად დააზიანა ფოთის ნავთსადგური. ნავთსადგური ამჟამად შეკეთებულია.

დღეს კომისია მოხსენებას გააკეთებს გზათა მიმოსვლის რწმუნებულის სამმართველოში ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

ქრონიკა

ამხ. მ. ა. სტეფანოვის დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს პროკურორად დაინიშნა მიხეილ არქიპის ძე სტეფანოვი, რომლის კამერა მოთავსებულია იუსტიც. სახ. კომისარიატის შენობაში.

ცეცხლისმქრობ მანქანების გამოცდა

დღეს, 8 თებერვალს, დღის 3 საათზე, მეხანძრეთა რაზმის პირველი ნაწილის ეზოში, ელიავას (ყოფ. უკოვსკის) ქ. № 4 მოხდება „მომენტ"-ის სისტემის ცეცხლისმქრობ მანქანების გამოცდა.

შაბიამანი

„ზაკსელმაშ"-მა ინგლისის სავაჭრო ფირმას „კორონა"-ს შეუკვეთა 1.200 ტონა შაბიამანი. შაბიამანის პირველი პარტია მიღებული იქნება თებერვლის ბოლო რიცხვებში.

„ზაკსელმაში"-ს მიერ მიღებულია ზომები შაბიამანის გასანაწილებლად ა.-კ. რესპუბლიკებსა და მაზრებს შორის.

ბამბის დამზადება

ა.-კ. საბამბო კომიტეტის ცნობით, 1926 წლის განმავლობაში დამზადებული და გადამუშავებული იყო 17.573 ტონა ბამბა. მათ შორის აზერბეიჯანში დამზადებულია 14.550 ტონა, სომხეთში—2.567 ტონა, და საქართველოში—456 ტონა ბამბა.

ბამბის დამზადება და გადამუშავება წარმატებით სწარმოებს მთელს ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წელშიც.

გამომცემლობა „იუსტგამი"

იუსტსახკომთან დაარსდა გამომცემლობა „იუსტგამი", რომელიც გამოსცემს ს. ს. ს. რ. კანონთა და განკარგულებათა კრებულს და კოდექსს და იურიდიულ ლიტერატურას.

გუთნები

„ზაკსელმაშ"-მა გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მანქანების სავაჭრო ფირმას შეუკვეთა 500 ცალი გუთანი. გუთნები უკვე დამზადებულია და ახლო ხანში გადმოგზავნილი იქნება გემით ბათომში. გუთნები განაწილდება ა.-კავკასიის სოფლებს შორის.

მისალმება საქართველოს ცაკს

„კასპიის თემის საბჭოთა მეხუთე ყრილობა ესალმება საქართველოს ცაკს და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის იყო და იქნება მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი—ყრილობის თავმჯდომარე კიკნაძე".

ცეკავშირში.

ცეკავშირში მოხდა ფუნქციების განაწილება ახალი გამგეობის წევრებს შორის. საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისრა გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. **მ. ტორონშელიძეს**, სავაჭრო განყოფილების—ამხ. **გ. ნაფეტვარიძეს**, საორგანიზაციო განყოფილების—ამხ. **იარალოვს** და დამამზადებელ განყოფილების—ამხ. **ი. ცაგარელს**.

ეკონომიური ცხოვრება

◆ ა.-კ. საბ.-სამშენებლო ამხ-ბას წელს ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან მიეცემა სესხად 300.000 მანეთი.

◆ **სახელმწიფო ვაჭრობის** სამმართველოს ცნობით, გასულ სეზონში დამზადებული თამბაქო უმთავრესად გაიტანება საზღვარ-გარეთ. სულ დამზადებულია 1.600 ტონა თამბაქო.

◆ **ხელშეკრულება ბორჯომის კომბინატთან.** შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება 10 თებერვალს ბორჯომის კომბინატთან დასდებს ხელშეკრულებას კომბინატის წარმოებებში შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ

◆ **შრომის მუზეუმში** ეწყობა საწარმოო და პროფ-მავნებლობის განყოფილება.

◆ **სახელმწიფო დაზღვევის** სამმართველომ გამოსცა 5.000 მანეთის წიგნაკები, პლაკატები, და ფურცლები სახელმწიფო დაზღვევის იდეის გასავრცელებლად.

◆ **გზატკეცილების სამმართველო** გაზაფხულზე შეუდგება ახალი გზის გაყვანის სამზადისს თბილის-ახალქალაქის შორის.

◆ **სამხრეთ-ოსეთის გრეხილ-ავეჯის** ქარხანას საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასცა ერთი ლოკომობილი და რამოდენიმე დაზგა.

◆ **გორსა და ცხინვალს შორის.** საქციო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგი" აწყობს საავტომობილო მიმოსვლას.

სხვადასხვა

— **ივ. გაჩეჩილაძის შრომები.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა თბ. სახ. უნივერსიტეტის ლექტორის ივ. გაჩეჩილაძის ნაშრომები: „სეტყვა და მასთან ბრძოლა" და „ინსტრუქციები სეტყვიან ქარიშხალზე დაკვირვებისათვის".

◆ **ბეწვეული.** სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გამოიმუშავა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გასაღების გეგმა.

◆ **საწარმოო თათბირები.** შრომის კომისარიატმა სანიტარულ ინსპექციას დაავალა უახლოესი მონაწილეობა მიიღოს წარმოებებში მოწყობილ საწარმოო თათბირებში.

◆ **სოც. დაზღვევის დავალიანება.** დღეს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში შესდგება თათბირი სოც. დაზღვევის ანარიცხების დავალიანების გამოსარკვევად.

◆ **ეთნოგრაფიული რუქა.** საქართველოს რაიონებად დანმანაწილებელმა კომისიამ შეადგინა საქართველოს 10-ვერსიანი ეთნოგრაფიული რუქა.

— **ჩაუბარებელი დეპეშები:** კიკნაძეს—ბათომიდან, ლეონტიევს—სურამიდან. ზერეკიძეს—ცხინვალიდან, პუშკინის ქ. 36—ხარკოვიდან. შანანაშვილს—კრასნოე ლუჩიდან, პოლიკოვებს—მოსკოვიდან, შაბულაშვილს—აბასთუმანიდან, კუსტარ ფილმას—სოხუმიდან, სარკოვს—სოხუმიდან, მანუკოვს—ზაქათალიდან, ავეტისიანს—სტეპანაკერტიდან.

შემთხვევები

ბოროტმოქმედება ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოში

1925 წლის 14 იანვარს, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ იქნა აღნიშნულ უწყების ბუღალტერიის რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა მრავალი დეფექტები, რომელთა გამოსასწორებლად თანამშრომლებს მიეცათ სათანადო დარიგება.

1925 წ. 8 ივნისს, მოხდა აღნიშნულ უწყების განმეორებითი რევიზია და აღმოჩენილი იქნა მრავალი ბოროტმოქმედება: გაფლანგვა, ყოველდღიური ოპერაციების არასწორი წარმოება, შინაურულად ავანსების მიღება და სხვა.

ამის გამო პასუხისგებაში მისცეს: მთავარი მოლარე **სამსონ ბაქრაძე**, მთავარი ბუღალტერი **ნიკოლოზ ქავთარაძე**, ბუღალტერის თანაშემწე **ილია გრიშაშვილი** და მატერიალური ნაწილის გამგე **გიორგი მელიავა**.

გასულ წლის მარტის თვეში ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა საქმე ირჩეოდა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, მაგრამ გადაიდო დამატებითი გამოძიების მოსახდენად.

გუშინ იუსტიციის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა ამხ. აფშაროვმა დაასრულა წინასწარი გამოძიება ამ საქმეზე.

ამჟამად პასუხისგებაში არიან მიცემული: მთავარი ბუღალტერი **ნიკოლოზ ქავთარაძე**, ბუღალტერის თანაშემწე **ილია გრიშაშვილი**, მთავარი მოლარე **სამსონ ბაქრაძე** და მატერიალური ნაწილის გამგე **გიორგი მელიავა**.

ბაქრაძეს ბრალდება—12.155 მანეთის 67 კაპ. მითვისება და გაფლანგვა.

მელიავას ბრალდება—7.095 მან. 84 კაპ. გაფლანგვა.

ქავთარაძეს—175 მან. 42 კაპ. მითვისება და გაფლანგვა და სალაროდან გამგის ნებადაურთველად ავანსის სახით 2.035 მანეთის მიღება.

გრიშაშვილს ბრალდება 854 მან. გაფლანგვა და სალაროდან უნებართვოდ ავანსის სახით 583 მან. მიღება.

აფერისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აფერისტები: **მაცაკან ალავერდოვი** და **აბრამ გოლდინი**.

გამოირკვა, რომ ალავერდოვი და გოლდინი „მუშაობდენ" თბილისის ბანკებში. ისინი დახელოვნებული იყვნენ პორტფელიდან ფულების ამოცლაში.

ალავერდოვმა და გოლდინმა ტყავ-ტრესტის მოლარეს მილიანცს და საზ-ბა „საქართველოს ჩაის" მოლარეს ჩალმანოვს სახელმწიფო ბანკში პორტფელიდან ამოაცალეს 1000 მანეთი თვითეულს.

დაზარალებულებმა დამნაშავენი გამოიცნეს.

◆ **თავის მოწამვლა.** 6 თებ., საბჭოთა ქ., № 181, თავი მოიწამლა ლიუდმილა ცოცხალაშვილმა, რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს.

◆ **შეპყრობა.** 5 თებ., შეიპყრეს თიანეთის აფთიაქის დარაჯი ალექსი ფიცხელაური, რომელმაც გაქურდა თიანეთის აფთიაქი.

◆ **აფერისტობა.** 5 თებ., ფ.-ტელეგრაფის სამმართველოდან ყალბი მოწმობების წარდგენით წაიღეს 200 მანეთი.

◆ **დაჭრა.** 6 თებ., სიონის ქუჩაზე უცნობმა დანით მძიმედ დაჭრა ესვეევი აიზერგი.

◆ **კოოპერატივის გამქურდველები.** 6 თებ., შეიპყრეს თ. და დ. აბრამიშვილები, რომელთაც ბრალდება თიანეთის კოოპერატივის გაქურდვა.

სასამართლო

სესიის გამგზავრება

13 თებერვალს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით მიემგზავრება ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში. სესიას გასარჩევად მიაქვს 40 საქმე.

გაფლანგველი გოლუბევი

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით, გაირჩა ილია გოლუბევის საქმე.

გოლუბევს ბრალდებოდა 1330 მან. მითვისება საქართველოს ცაკთან არსებულ ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კომიტეტის აგენტათ ყოფნის დროს.

სასამართლომ გოლუბევი დამნაშავედ სცნო 1330 მანეთის გაფლანგვაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

თავდამსხმელები

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ალაძის და ალხაზიშვილის და პროკურორ ლ. ჯანჯღავას მონაწილეობით გაირჩა თეოფანე, ვლადიმერ და გრიგოლ ჯიქიების საქმე.

1925 წ. 11 დეკემბერს, საღამოს დაახლოვებით, 9—10 საათზე, ბრალდებულები მივიდნენ ორთაჭალაში მცხოვრებ მებაღე გიორგი შაროვის სახლში და მოინდომეს მისი გაძარცვა.

ძმები: ვლადიმერ და გრიგოლ ჯიქიები გაჩერდენ სახლის ეზოში, ხოლო თეოფანე ჯიქია შევიდა შაროვის ბინაში. სიკვდილის მუქარით მან მოინდომა შაროვის ოჯახობის გაძარცვა. შაროვმა ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია ჯიქიას. უკანასკნელი გაიქცა და შაროვის ბინაში დარჩა ქუდი.

ეჭვით დააპატიმრეს პეტრე ჯიქია, რომელიც ძლიერ გავდა თეოფანე ჯიქიას.

შემდეგში გამოირკვა, რომ ამ საქმეში ბრალი პეტრე ჯიქიას კი არ მიუძღვის, არამედ თეოფანე ჯიქიის.

თეოფანე ჯიქია გამოტყდა დანაშაულში და დაასახელა გრიგოლ და ვლადიმერ ჯიქიები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ შაროვის გაძარცვის ცდაში.

სასამართლომ თეოფანე, გრიგოლ და ვლადიმერ ჯიქიებს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს, მათი ნახევარი ქონების კონფისკაციით.

კაპანაძის და კარპენკოს საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა გრიგოლ კარპენკოს და კაპიტონ კაპანაძის საქმე.

კარპენკოს და კაპანაძეს ბრალდებოდათ ურთიერთ შეთანხმებით განცალკევებულ საჯარისო გუნდის საწყობის გაქურდვა.

სასამართლომ კარპენკოს და კაპანაძეს მიუსაჯა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ზენია ხასხაზიანს ხულიგნობისათვის მიუსაჯა 3 კვირით გამასახლში მოთავსება.

50.000 მან. ზარალი

(ტერ-ავაკოვის და სხვათა საქმე)

10 თებერვალს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამხ. ს. მეგრელიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყება სახელმწიფო სპირტის ყოფილ რწმუნებულის ამიერ-კავკასიაში ალექსანდრე ტერ-ავაკოვის, ამავე სამმართველოს კანცელარიის ყოფილ უფროსის გრიგოლ პოპოვის, ვლასა მეგრელიშვილის და სოლომონ საყვარელიძის საქმის გარჩევა.

ალექსანდრე ტერ-ავაკოვი 1923 წ. 16 იანვრიდან 1924 წ. პირველ ივლისამდე ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის ფილიალებში პურის სპირტის რეალიზაციის საქმეს.

ავაკოვმა სახელმწიფო სპირტის სამმართველოს სახელით დასდო წერილობითი ხელშეკრულება თბილისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობასთან. ხელშეკრულების ძალით, საკრედიტო ამხანაგობას მიენიჭა სპირტის რეალიზაციის მონოპოლიური უფლება. მიუხედავად, სახელმწიფო სპირტის ცენტრალური სამმართველოს დაჟინებით მოთხოვნისა, ავაკოვმა არ გააუქმა საკრედიტო ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულება, რითაც დაწესებულებას მიაყენა—3.439 მან. 20 კაპ. ზარალი.

ავაკოვი სპირტის გაყიდვას აწარმოებდა არა დაწესებულ, არამედ მის მიერ გამომუშავებულ ფასებში.

ავაკოვი მსხვილ სავაჭრო ფირმებთან: („რექტიფიკაცია", „ორიოლ" და „ანანოვი") სდებდა განსაკუთრებულ ხელშეკრულებებს, რომლის ძალით, სპირტს მათ აძლევდა დაწესებულ ფასებში ნაკლებად. ამგვარი მოქმედებით ტერ-ავაკოვმა დაწესებულებას მიაყენა—15.347 მან. 92 კაპ. ზარალი.

ტერ-ავაკოვი ხელს უწყობდა კერძო კაპიტალის აღორძინებას. ამ მიზნით სპირტის ბითუმად მოვაჭრეებს აძლევდა საქონელს ხანგრძლივი კრედიტით, თამასუქებისა და ყოველგვარი გარანტიის გარეშე. ამგვარი მოქმედებით დაწესებულებას მან მიაყენა 7.611 მან. 83 კაპ. ზარალი.

ტერ-ავაკოვის ინიციატივით, გაიხსნა სპირტის საბაზისო საწყობები ისეთ ადგილებში, სადაც სპირტის მოთხოვნილება არ იყო. ამის გამო დაწესებულებას მიაყენა 2.000 მანეთის ზარალი.

მან გახსნა თბილისში ოდეკალონის და დუხის დამამზადებელი ლაბორატორია, რითაც დაწესებულებას მიაყენა 2.009 მანეთის ზარალი.

შეიძინა მოსკოვიდან დაწესებულებისათვის ავტომობილი ცენტრალური სამმართველოს სანქციის გარეშე. შოფერი გამოიწერა მოსკოვიდან. ავტომობილის გადმოსაზიდად და შოფერის მგზავრობისათვის დაიხარჯა 658 მანეთი 15 კაპ.

მანქანაზე გადასაბეჭდად მოსკოვიდან მოიწვია —ს ქალი, რომელსაც 447 მანეთი გზის ფული გამოუწერა დაწესებულების ანგარიშზე.

დასდო აგრეთვე დაწესებულებებთან საზიანო ხელშეკრულებები.

ტერ-ავაკოვმა თავის დაუდევრობით და ძალაუფლების გადამეტებით დაწესებულებას მიაყენა დაახლოვებით 50.000 მანეთის ზარალი.

პოპოვს ბრალი ედება იმაში, რომ სამსახურისადმი დაუდევრობით დაწესებულებას მიაყენა 3.379 მან. ზარალი.

მეგრელიშვილს და საყვარელიძეს (ვაჭრები) ბრალი ედებათ ხელშეკრულების შეუსრულებლობაში.

ხელოვნება

მუშათა თეატრი

„პუშკინი და დანტესი“

დრამა 4 მოქ. ვ. კამენსკის დადგმა ტატიშჩევის—მხ. პელეშვინი.

ვ. კამენსკის პიესა „პუშკინი და დანტესი“ წარმოადგენს საკმაოდ სუსტ ინსცენიროვკას პუშკინის ბიოგრაფიისას, გაუმართლებელს როგორც იდეოლოგიურის, ისე მხატვრულის თვალსაზრისით. პიესა სხვადასხვა, ერთმანეთთან სუსტად შეკავშირებულ ნაკუწებისაგან შესდგება და ის მოითხოვს ასეთსავე პარცელიარულ განხილვას.

პირველად ყოვლისა პუშკინი და დეკაბრისტები მოცემულია პოეტის და პუშჩინის ფიგურაში პირველ ორ მოქმედებაში. პუშკინის ცხოვრების და პერიოდის გაშუქებისას დრამატურგი მისდევს ჩვეულებრივ „რევოლიუციონურ“, გერცენიდან მომდინარე ტრადიციას ამ მოძრაობის გადმოცემისა. გერცენის ტრადიცია არა თუ ჩქმალავდა მოძრაობის კლასობრივ ბუნებას (რაც ამ „რევოლიუციონურ ლეგენდის“ ავტორს, როგორც არა მარქსისტს არც ესაყვედურება) ის იძლეოდა დეკაბრისტების პერსონალურ იდეალიზაციას, ის სახავდა მათ ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებათ და პიესაშიც, პუშკინის დეკლარაციაში პუშჩინის მიმართ ისმის ეს სიტყვები: „ხალხი“, თავისუფლება, რევოლიუცია, რესპუბლიკა“. აქ უსათუოდ არის იდეალიზაცია და მოდერნიზაცია მოძრაობის სულისკვეთების. ხალხი, სახალხო რევოლიუცია სრულებით არ შედიოდა წმინდა „სახელმწიფო“ გადატრიალებისთვის მებრძოლ დეკაბრისტების გეგმაში და მასების ამოძრავების შიში იყო მიზეზი მათი გაუბედავი მოქმედების და შეიძლება დამარცხებისაც. ეს საქმის არსებითი მხარეა.

არ არის ეს მომენტი გამართლებული არც მხატვრულად. ის რაც მოთხრობაში, ბიოგრაფიაში ერთგვარ შთაბეჭდილებას სტოვებს სავსებით მკრთალი და უფერულია სცენიურ გაშუქებაში პუშკინის არა უშუალო მონაწილეობა მოძრაობაში, მისი დეკლარაცია, სიმპატიების გამოცხადება გადატრიალებისთვის, ყველაფერი ეს თუნდაც პირადულ ცხოვრებრივ გარემოდან სცენაზე გადმოტანილი და თეატრალური რამპის ხელოვნური სინათლით გაშუქებული ვერ სტოვებს დიდ შთაბეჭდილებას მარტო იმიტომ, რომ ეს პუშკინს შეეხება. აქ არ არის საკმაო „დოზა“ მოქმედებაში გადასულ გმირობის და თავდადების, რაც ასე მიუცილებელია სცენისათვის. ნიკოლოზ პირველის და პუშკინის შეხვედრის სცენაში მიუხედავად ისტორიულ გამართლებისა, ტენდენცია, იძალება მოსჩანს ყველა სიტყვაში. აქ პუშკინის თავდაჭერა მყვირალა, მეტიჩრულ შთაბეჭდილებას სტოვებს. სუსტია მესამე აქტიც. აქ დრამატურგი სცდილობს ერთი მოქმედების გასწვრივ მოახდინოს კონდენსაცია პუშკინის ცხოვრების უკანასკნელ, მშფოთვარე და მოუსვენარ წლების. აქ მოცემულია პუშკინის დევნა „მაღალი“ საზოგადოების მიერ, მისი უნაყოფო წვა ამ მოშხამულ ატმოსფერაში, გატაცება კარტით, იქვე ცოლისადმი, მორალური ჩიხი, რომელშიდაც ის მოექცა—მაგრამ ყველაფერი ეს მკრთალად უფერულად. განსაკუთრებით სუსტია აქ პუშკინის გაჯიბრება დანტესის გავლენასთან თავისი ლექსების დეკლამაციით. ასევე ხელოვნურია შემდგომი ისტორიულ-კრიტიკულ კვლევა-ძიებათ ენით ალაპარაკება მოქმედ პირების. ასე მაგ. პუშკინის ცოლის განცხადება ბალზე: „მე მინდა ვიმეფო, ვიყო პირველი ქალთა შორის“, ან პუშკინის განცხადება: „დანტესის სახით მე ვიწვევ მთელ ამ „მაღალ“ საზოგადოებას“ ან დასასრულ სცენაში დუელის წინ: „მე მაწამეს, ჩიხში ჩამაგდეს“. ამ აზრებს ამავე ფორმულიროვკით ნახავთ ყველ ისტორიულ კრიტიკულ მიმოხილვებში პუშკინის შესახებ. ასევე უმადლო ამოცანაა უკანასკნელ მოქმედებაში პუშკინის ცოლის „რეაბილიტაციის“ ცდა.

პიესის გარეგნულ სცენიური სახე სადა დაპრიმიტიულია. ასე მაგ. 1 აქტში ქარბუქის ზუზუნს დამარხვის მარში გამოხატავს, რომელშიდაც აშკარად გამოისმის ფლეიტის ხმა, მესამე აქტში მოაჯირი თითქმის დარბაზის შუაგულშია გამართული, თოვლით დაფარული ხეები ზე-დადაისტურია თავისი პრიმიტივობით. აქ დათოვილ ხეებს გამოხატავს ბოძზე ჩამოცმული დახვრეტილი თეთრი ოთხკუთხედი ქაღალდები.

შესრულებაში საშინლად სუსტია მესამე აქტი—ბალი თავად ობოლენსკის სალონში. ეს უფრო პროვინციალურ „ვეჩერინკას“ წააგავს, ვიდრე ამ „ბრწყინვალე“ საზოგადოების საღამოებს. დანტესი (ზინოვიევი) აქ ომის დროინდელ პოდპრაპორჩიკს უფრო ჰგავს, ვიდრე ბრწყინვალე სალონების ლომს. ასევე სუსტია ნატაშა. (მაქსიმოვა). მეტად პრიმიტიულად შესრულებული დანტესის არშიყობა პუშკინის ცოლთან—კოცნა ქმრის და მთელი საზოგადოების წინაშე. შედარებით კარგია პირველი მოქმედება; აქ ლიუბიმოვის შესრულებაში თითქოს მოცემულია პუშკინის სანგვინიური ტემპერამენტი, ლიცეიური სიგიჟმაჟე, ზანგის სისხლი, მაგრამ თამაში ზოგან იმდენად გადამლაშებულია, რომ „მკვდარი სულების“ ნოზდრევის ტიპს უახლოვდება. დანარჩენ მოქმედებაში მკრთალ, უფერულ სახეს იძლევა დიდი პოეტის. უტრიროვკა ეტყობა ნიკოლოზ პირველის ტიპსაც (მატოვ). დამახასიათებელია მხოლოდ ბორინი (ბერი). ლიტვინოვა ვერ იძლევა არინა როდიონოვნას პოეტურ სახეს.

მხეში.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა შორის

კვირას, 6 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ქართულ მუშფაკში პროლეტარულ მწერლებმა გამართეს ლიტერატურული საღამო. მოხსენებით გამოვიდენ პროლეტარული მწერალი ამხ. ბ. ბუაჩიძე, პ. ქიქოძე და ლ. ესაკია, რომლებიც თავიანთ მოკლე სიტყვებში შეეხენ თანამედროვე ლიტერატურის ზოგიერთ მიმდინარეობას. მომხსენებელი მოკლედ აცნობენ მუშფაკელებს პროლეტარულ მწერლობის პერსპექტივებს და აღნიშნავენ აგრეთვე მთელ რიგ. მიღწევებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროლეტარულ პოეზიის არსებობის ამ მოკლე ხნის განმავლობაში.

დასასრულ ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ალ. მაშაშვილმა, კ. კალაძემ, შ. ნავთლუღელმა, ს. ეულმა და სხ. საღამოს მრავალი მუშფაკელი დაესწრო.

დამსწრე.

— სახელმწიფო დრამაში მიწვეულია მხატვარი პელიონკინი, რომელიც შეუდგა „მეფე ლირის“ მაკეტების დამზადებას. პიესა წავა ალ. ახმეტელის დადგმით.

— „კარმენსიტა“. სახელმწიფო დრამა შეუდგა მზადებას პიესა „კარმენსიტა“-ს (მერიმეს რომანიდან გადმოკეთებული შ. აფხაიძის მიერ) დასადგმელად. სპეციალურ დეკორაციებს ამზადებს მხატვარი გ. იაკულოვი. მუსიკა ი. ტუსკიასი. კარმენის როლში პირველად გამოვა წინო ვ. ალექსი-მესხიშვილი. დადგმა ალ. ახმეტელის.

— თეატრალური საქმის გასაცნობად სახელმწიფო დრამის მიერ მოსკოვში იგზავნება მხატვარი. გამრეკელი და რეჟ. დ. ანთაძე.

— „ჯანყი გურიაში“. 10 თებერვალს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში თბილისის მუშათა თეატრის ძალებით დაიდგმება ჭ. გელეიშვილის პიესა „ჯანყი გურიაში“.

— ლიტერატურული საღამო. ხუთშაბათს, 17 თებერვალს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, ხელოვნების და მწერლობის საუკეთესო ძალების მონაწილეობით გაიმართება ლიტერატურული საღამო. პროგრამაში შედის: კონცერტი, ბალეტი, იუმორი. საღამო იმართება მე-12 შრომის სკოლის სასარგებლოდ.

ფეხბურთი

„დინამო“—„დურუჯი“

კვირას, 6 თებერვალს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „დინამო“-ს და „დურუჯი“-ს კალენდარული შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე.

პირველი ტაიმი დაიწყო დინამოელთა სწრაფი და მარჯვე შეტევით, რომელიც გრძელდებოდა თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში. დურუჯელები იძულებული იყვნენ თავდაცვა ეწარმოებიათ, რადგან ბურთი სულ მათ ნახევარში ტრიალებდა.

შუა ტაიმში დინამოელებმა შესძლეს ერთი ბურთის გატარება „დურუჯი“-ს კარებში და თამაშის პირველი განყოფილება თავის სასარგებლოდ დაამთავრეს.

მეორე ტაიმში თამაში უფრო თანაბრად მიმდინარეობდა. შეტევაზე გადადიოდა, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. ტაიმის ბოლოს დურუჯელებმა ერთი ბურთი მოაქციეს „დინამო“-ს ბადეში და შეჯიბრი გათავდა 1:1.

„არსრაიონი“—„წ. ა. ფ. ს.“

იმავე დღეს იქვე გაიმართა „არსრაიონის“ და „წ. ა. ფ. ს.“ კალენდარული შეჯიბრი.

შეჯიბრი გათავდა 4:0 „არსრაიონის“ სასარგებლოდ.

ამრიგად, 1926 წლის შემოდგომის სეზონის გათამაშების შედეგები ასეთია: ქალაქის პირველობა აიღო „დინამომ“, რომელმაც მოაგროვა 13 ერთეული, მეორე ადგილზე გამოვიდა „დურუჯი“—12 ერთეული და მესამე ადგილი დარჩა „არსრაიონს“—11 ერთეული.

ჭადრაკი

31 იანვარს ა.-კ. ფინსახკომში დასრულდა საჭადრაკო წრის წევრთა თანამშრომელთა შეჯიბრი პირველობაზე. პირველი ჯილდო ერგო ამხ. აგამალოვს, მეორე კარახანიანს, მესამე კაცელმახერს, შემდეგ ხოფერიას, კადვარს, ირიტინოვს და პოპოვს.

კონკურსის გარეშე ჯილდო მიიღო კორსუნსკიმ.

ნარევი

რომის ეპოქის ხა

შედლინგში (ავსტრია) მიწის სამუშაოების დროს იპოვეს ქვისბური ნაშენობა, რომელსაც სპეციალისტების აზრით დიდი არქეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ხელჩართული ბრძოლა ვეშაპთან

ავსტრალიის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა თავისებური ხელჩართული ბრძოლის შესახებ ადამიანსა და ვეშაპს შორის, რომელიც დასრულდა უკანასკნელის სამარცხვინო გაქცევით.

ეს ამბავი მოხდა სიდნეის (ავსტრალია) ახლოს. ამ ქალაქის წყლებში მოულოდნელად გაჩნდა ვეშაპი, რომელიც ეცა ერთ-ერთ მობანავეს. კრიტიკულ მომენტში ვილაც გიბსი გადახტა წყალში, რომ მიშველებოდა თავის ამხანაგს. გიბსსა და ვეშაპს შორის გაიმართა უთანასწორო ხელჩართული ბრძოლა. გიბსი უიარაღო იყო. გიბსის გულადობამ და მოქნილობამ, როგორც სჩანს, იმოქმედა ვეშაპზე, რადგან უკანასკნელმა საჭიროდ დასტოვა „ბრძოლის ველი“.

ამასთან დაკავშირებით, გაზეთები აღნიშნავენ შემთხვევებს, საიდანაც ამტკიცებენ, რომ თითქოს ვეშაპი ძალიან მფრთხალი ცხოველია. მარგალიტის მაძიებელნი ხშირად ხვდებიან ვეშაპს. მათი სიტყვით, საკმარისია ერთი ღონიერი დარტყმა ვეშაპის ლაყუჩებში, რომ ის მოერიდოს ბრძოლას. მაგრამ, მარგალიტის მაძიებელთა სიტყვით, ვეშაპთან ბრძოლის დროს საუკეთესო ხერხს წარმოადგენს—თვალებში ხელის წავლება. მათი სიტყვით ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ვეშაპს უკვე პირში ჰქონია კაცის თავი, მაგრამ ამის გამო, რომ კაცს უტაცნია ხელი ვეშაპის თვალებისთვის, ის გადარჩენილა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 9

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მიწის კოდექსის 23, 25, 27, 28, 30, 31, 34, 36 და 118 მუხ. შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მიწის კოდექსის 23 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„სასოფლო სამეურნეო შენობისა და ნაგებობის არა იმ პირობით ყიდვა და გასხვისება, რომ ეს შენობა თუ ნაგებობა ადგილიდან იქნეს აღებული და სხვაგან გადატანილი, შეიძლება მხოლოდ იმ პირზე, ვისაც სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა მიერ, არსებული წესისამებრ, გადაეცემა ის მიწა, რაზედაც აღნიშნული ნაგებობა და შენობაა. ამ პირობებში ნასყიდობისა და გასხვისების გარიგებისათვის საჭირო არ არის სანოტარო დამოწმება, ხოლო, ბეჟილობის რიგით. სავალდებულოა რეგისტრაცია ადგილობრივი თემის აღმასკომში. ასეთი სასოფლო-სამეურნეო შენობისა და ნაგებობის დაგირავება ან ანდერძით გადაცემა, რაც მიწას არ ეცილება. აკრძალულია და გამოიწვევს მიწის კოდ. 25 მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

ხოლო, უკეთუ შენობა ან ნაგებობა იმ პირობით იყიდება, რომ იგი ადგილიდან იქნეს აღებული და სხვაგან გადატანილი, იმ შემთხვევაში ნასყიდობის გარიგებისათვის, არავითარი რეგისტრაცია საჭირო არ არის.

მუხ 25 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 25. მიწის ყიდვა, გაყიდვა, ანდერძით გადაცემა, გირავნობა, დაგირავება და საერთოდ მიწის გასხვისება (მიწის სარგებლობის უფლება) აკრძალულია; იმ პირს, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილი იქნება დამნაშავედ ზემოხსენებული გარიგების დადებაში, გარდა იმისა, რომ მას წინააღმდეგ მიღებულ იქნება სოციალური დაცვის სათანადო ღონისძიება (სისხლის სამართლის კოდექსის 192 მუხ.) ჩამოერთმევა მიწა (გარიგების ობიექტი); ჩამორთმეული მიწა გადაირიცხება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ფონდში, ხოლო მიწაში აღებული საფასური გადახდევინებულ უნდა იქნეს სათანადო თემის აღმასკომის სასარგებლოდ.

შენიშვნა: უკეთუ აკრძალული გარიგების ობიექტი ისეთი მიწაა, რაც ხელშეკრულების დამდებს სარგებლობის უფლებით არ ეკუთვნის (მეურნეობაში მიღებულ პირთა მიწა და სხვა ასეთნი), მიწა კანონიერ მოსარგებლეს უნდა დაუბრუნდეს.

მუხ. 27 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 27. საშრომო იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) სახნავ-სათესად გაცემული მიწისათვის—სამ წელს; განსაკუთრებულ შემთხვევაში (როცა, მაგალითად, მიწას იჯარით გასცემს ქვრივი დედაკაცი, ობოლი ან წვრილი ობლებიანი), მაზრის სასოფლო-სამეურნეო ორგანოს შეუძლიან განაგრძოს იჯარის ვადა ექვს წლამდე;

ბ) ნარინჯოვანი (ციტრუსოვანი) და დაბალტანოვანი ნარგავის გასაშენებლად—ათ წელს;

გ) ვენახისა და ხილის ბაღის გასაშენებლად—თორმეტ წელს.

შენიშვნა: იჯარის ვადა ისეთი მიწის გაცემისათვის, რაზედაც უკვე გაშენებულია ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული ნარგავი, სრულმოწიფული ან არა სრულმოწიფული არ უნდა აღემატებოდეს ექვს წელს.

მუხლი 28 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 28. მიწის იჯარით აღება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მოიჯარადრე მას დაამუშავებს თავისი სამეურნეო ძალებით და დაქირავებულ შრომას გამოიყენებს ამა კოდექსის 37 და 38 მუხ. საფუძველზე.

მუხლი 30 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 30. საიჯარო ხელშეკრულება და ყველა მისი დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ხელშეკრულებას და შეთანხმებას დაამტკიცებს მაზრის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, რომელმაც ყოველ ცალკე შემთხვევაში წინასწარ უნდა გამოარკვიოს—არის თუ არა შესრულებული ყველა ის პირობა, რაც კი საჭიროა იჯარის ნების დასართავად. მაზრის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მიერ დამტკიცებული ხელშეკრულება უნდა გაეგზავნოს სათანადო თემის აღმასრულებელ კომიტეტს რეგისტრაციისათვის.

შენიშვნა: რეგისტრაცია უფასოა.

მუხლი 31 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 31. უკეთუ ამა კოდექსის 27 მუხლში მოხსენებული საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ მიწის იჯარით გამცემი ვერ შესძლებს თითონ დაამუშაოს ის მიწა, რომელიც იჯარით იყო გაცემული, ეს მიწა მას ჩამოერთმევა და სათადარიგო ფონდში გადაირიცხება.

მუხლი 34 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 34. საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მიწის იჯარით გამცემისა ან სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მოთხოვნით იჯარის ვადის გასვლამდე. უკეთუ მოიჯარადრემ დაარღვია წინა მუხლში აღნიშნული პირობები, ან არ შეასრულა საიჯარო ხელშეკრულების პირობები; ხელშეკრულების მოშლა და აქედან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის შედეგების გამოსარკვევად იჯარით გამცემისა და მოიჯარადრისათვის და აგრეთვე განხილვა იჯარით გამოწვეულ ყოველგვარი დავისა მოხდება სასოფლო-სამეურნეო დავის გადაწყვეტის წესით (მიწ. კოდ. 161-166 მუხლები).

მუხლი 36 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 36. საიჯარო პირობების სისწორით შესრულებას უშუალოდ თვალყურს ადევნებს სათანადო თემის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც საიჯარო ხელშეკრულებას რეგისტრაცია გაუკეთა.

118 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

შენიშვნა 1. მიწის გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მხოლოდ მიწათმოწყობისას, კომლის გაყრისა და ძირითადი რეგისტრაციის დროს.

შენიშვნა 2. უკეთუ მიწების გაცვლა-გამოცვლის დროს კარგი ღირსების მიწა იცვლება უფრო მდარე მიწაზე, ეს მდარე მიწა მიიცემა შესაფერისად მეტი რაოდენობით, ხოლო კანონიერი ნორმის ფარგლებში.

შენიშვნა 3. მიწის გაცვლა-გამოცვლის დროს იმ შენობებისა, ნაგებობებისა და ნარგავის ანაზღაურება, რაც მიწას არ ეცილება, მოხდება სასოფლო-სამეურნეო ორგანოების კონტროლით და მას შემდეგ, როდესაც მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს მისაცემი საზღაურის რაოდენობას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წლ. თებერვლის 1.
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

— თბილისის კომიტეტის სამდივნოს ბიურო თბილისის კომიტეტის ყველა წევრებს და კანდიდატებს სთხოვს სამი დღის განმავლობაში შემოიარონ თბილისის კომიტეტში (ოთახი № 31) მანდატების მისაღებათ.

— ს. კ. პ. (ბ) ცეკას საორ. განმანაწ. ქ. განყ. წინადადებას აძლევს ამხანაგ იაკობ აბობაძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცეკას საორ. განმანაწ. ქ. განყ. ამხანაგ ლილიენთალთან.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია ამხ. ალექსანდრე ზარიძეს, ლევან ლენიაშვილს, სარქის კარაპეტიანს (კომერციული ტრანსპორტის [illegible] ყოფ. თანამშრომელი), ლევან მანჯგალაძეს, შალვა გალაქტიონისძე ქვინიკაძეს და მოსე მეგრელიშვილს სთხოვს გამოცხადდნენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის გამზ. 24. მესამე სართული).

— სამშაბათს, 8 თებერვალს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომში შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სხდომა.

სავალდებულოა რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 8 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გლეხის ცენტრალურ სახლში შესდგება სადელეგატო კრებების მეორე ჯგუფის (რუსული) მორიგი სხდომა.

სავალდებულოა ყველა იმ დელეგატ ქალების დასწრება, რომლებიც ზემოდ აღნიშნულ სექციაში მუშაობენ.

— საქართველოს კომკავშირის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 8 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება [illegible], შრომის სკოლების, ტექნიკუმების, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, გზატკეცილების სამმართველოს ამიერკავკასიის სახელ. პოლიტიკურ სამმართველოს, ქალაქის მილიციის, საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეების, სამხატვრო აკადემიის სტუდიის, სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის, ქალთა პროფკავშირის და საბურთალოს უჯრედის ყველა მდივნების და აგიტპროპების თათბირი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა გადადებულია 10 თებერ. დილის 9 საათისათვის. სხდომა შესდგება თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. [illegible] კაბინეტში.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ა. წ. 9 თებერვალს (ოთხშაბათს) დილის 10 საათზე უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში მოწვეულია: კომპარტიის და კომკავშირის ცალკე უჯრედთა ბიუროები, ბიურო კოლექტივები, უფ. გამგეობის, ადგილკომის და სტუდენტთა აღმასრულებელი ფრაქციების გაერთიანებული თათბირი. დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 8 თებერვალს პოლიგრაფტრესტის შენობაში შესდგება ა. ლ. კ. კ. მბეჭდავთა მეოთხე უჯრედის კრება. დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

გულმოკლული მშობლები: რაფიელი და ფედოსია, ძმები: დათიკო და გიორგი, დები: გოგუცა, ბაბილინა, მარუსია და თხუპუნია, ბიძები: პეტიკო და ჯაბა, სიძენი: შალიკო ყიფიანი და ვალიკო ჩაჩანიძე, დიდი ოლღა არაბიძისა ქმრით, ბიძაშვილები: [illegible] და ვალოდია, აპოლონ ცინცაძე ცოლით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებთ მე-4-ზე კურსის სტუდენტის

შამშე რაფიელის-ძის
მექმარიაშვილის

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის (ყ. მიხეილის) მთავარ საავადმყოფოდან, 8 თებერვალს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა სოფელ ქვიტირში. 1578

უღრმესი მწუხარების განცდით მოცულნი ამხანაგები: ქ. ზაალიშვილი, შ. თევდორაძე, დ. ფხაკაძე, მ. თევზაძე, ს. მიხაილოვი, გ. გეგეჭკორი, ვ. ჩხეიძე, შ. შერცხულავა, პ. გვიტაძე, ნ. სანთელაძე, გ. წაქაძე, ა. ბოქორიშვილი, კ. ნანეიშვილი, ლ. ბესელია, შ. ჩხაიძე და ბ. შუბლაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს, საღამოს 7 საათზე, რესპუბლიკის საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი ამხანაგი თბ. სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკ. ფაკ. მე-4 კურსის სტუდენტი

შამშე (ვასილი) რაფიელის ძე
მექმარიაშვილი

რომლის გამოსვენება საავადმყოფოდან დანიშნულია 8 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, მიცვალებული წასვენებული იქნება ქ. ქუთაისში.

ავიორის კლუბის № 2 თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს მათი ძვირფასი ამხანაგის მე-4-ე კურსის სტუდენტის

შამშე რაფიელის-ძე
მექმარიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან 8 თებერვალს, ნაშუადღევს 3 საათზე. მიცვალებული წასვენებული იქნება სოფელ ქვიტირში. 1575

ღრმათ დამწუხრებული შვილები: ნიკოლოზ, დავითი (ბაკა), ვიქტორი, კოტე და ვალიკო, რძლები ლიდა, ნინა და მარო აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და ტკბილი დედა

ლიდა აბდუშელიშვილისა

დაკრძალვა ოთხშაბათს, 9 თებერვალს, ს. ბიჩნევში. 1577

უღრმესად დამწუხრებული მეუღლე ესმა; შვილები: სიკო, ლიდა, ლოლა, ნინა, ელიზა, მერი, რძალი მარო მგალობლიშვილები, ძმა ვლადიმერი, რძლები, მაკრინე და ვასასი; სიძეები: აქსენტი ჩემინავა, მიტროფანე კუპრაშვილი, გალაქტიონ აბაშიძე, ბიძაშვილები: ალექსანდრე და კოლია მგალობლიშვილები; ძმისშვილები: თამარა, ალექსანდრე, მერი, შალვა და სილოვანი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

დიმიტრი ივლიანეს-ძე
მგალობლიშვილი

რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 8 თებერვალს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე, ანდრიევის ქუჩა № 55. 1582

სახელმწიფო დრამა

სამშაბათს, 8 თებერვალს ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის.

ხუთშაბათს 10 თებერ. ფრიდრიხ შილლერის **ვილჰელმ ტელ**
დრამა 10 სურ. თარ. ს. შანშიაშვილის
დადგმა: დოდო ანთაძის მუსიკა: ჯიაკომო როსსინის
მხატვარი: ირ. გამრეკელი.

შაბათს, 12 თებერვალს **ლამარა** გრ. რობაქიძის
პიესა 4 კამარათ. მუსიკა: იონა ტუსკიასი
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
5—1 ნ. 610

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 8 თებერვალს, მეორეჯერ პრემიერა **სამსონ და დალილა**
ა. ეიხენვალდის დადგმით
მონაწილეობენ: დამსახ. მსახ. სკიბიცკაია, ვიტინგი, გორელოვი, მესხიაევი, და სხვ.
დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი

ხვალ, 9 თებერვალს კონსერვატორიის პროფესურის **საღამო**
1) ჯამბაზები, 2) სოფლის პატიოსნება
3) სცენა ოპერა „ევგენი ონეგინი“-დან.

ხუთშაბათს, 10 თებერვალს, მე-3 აბონემენტის მე-7 წარმოდგენა **ბოკაჩიო**
ნ. 606

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. 17—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03
0—7 ნ. 597

პირველად თბილისის ეკრანზე საუკეთესო სურათი
გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა
ტურგენევის რომანის მიხედვით
ნ. კოვანკოს, ნ. კოლინის, ჟ. ანჟელოს და სხვ. მონაწ.
მხატვრული შედევრი, ამერიკული ნაწარმოები
„მეორე ახალგაზრდობა“ (საშიში ჰასაკი)
დიდი ინტერესი მოსკოვსა და ლენინგრადში
მსოფლიო საუკეთესო კინო-სურათი
„ჩვენი სტუმართმოყვარეობა“
ბასტერ კიტონის მონაწილეობით,
სეზონის საუკეთესო სურათი სიკვდილის ადგილი

ცირკი
ძმ. ტანტების
1—1 ნ. 605
ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 8 თებერვალს, იშვიათი სანახაობა, სამხატვრო ნაწილის გამგის, საქ. რესპუბლიკის დამსახ. მსახ.
ლეო ტანტის **საღამო**
პროგრამა 4 განყოფილებით და 30 №№-ით. სასაწყისი სრულ 8 ს.
პირველად! ლეო ტანტის ახალი სკეტჩი
შეთქმულება დედოფლის შეთქმულებაზე
მონაწილეობს 20 კაცი. რასპუტინის როლს ასრულებს ლ. ტანტი
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!! ადმინ. ხელმძღ. მ. ი. ტადე.

გამოვიდა ამხ. „ქართული წიგნის“ გამოცემანი:

შ. დადიანის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ 490 გვ. ფასი 2 მ. 50 კ.

შექსპირის 5 მოქმ. ტრაღედია „ჰამლეტ“ თარგმ: ივ. მაჩაბლისა ფ. 1 მ. 40 კ.

ამხანაგობის წევრებს (პაიშჩიკებს) წიგნები დაეთმობათ
30 პროც. დაკლებით
წიგნების მიღება შეიძლება ამხანაგობის კანტორაში დილის 9 საათ. ნაშუადღევის 4 საათ. დაკვეთები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
თბილისი, ჯორჯაძის ქუჩა № 1 (ქვაშვეთის პირდაპირ)
ამხ.-ბა „ქართულ წიგნ“-ს

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ
ჭიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.
მხურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.
პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ჭიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით
სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.
1502 15—1

რაჭის მაზრის ამბროლაურის და ჭრებალოს უბნების სახ. სასამართლოების აღმასრ. გ. ავალიანი

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 15 თებერვალს, დღის 12 საათზე, სოფ. ხვანჭკარაში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნიკო ექვთიმეს-ძე ტყეშელაშვილის მოძრავ ქონებას, სახელდობრ თორმეტ [illegible] ღვინოს შეფასებულს 84 მ., ალთი ტყეშელაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლათ, თანახმად ჭრებალოს უბ. სახალხო სასამართლოსგან 1926 წ. 2 ოქტომბერს № 1284 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1374

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ.-მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

მალე
ლერმონტოვი ეკრანზე
საქართველოს კინომრეწველობამ დაასრულა ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“-ს სურათების ციკლის დადგმა
ახლო ხანში
ბელა
დადგმა ვ. ბარსკის
ოპერატორები. ა. პოლიკევიჩი. ფ. გეგელი
მთავარ როლებში:
თინა მაჭავარიანი,
ნ. პროზოროვსკი,
ა. თაყაიშვილი,
ვ. ობოლენსკი.
ნ. 611.

საქართველოს ფინსახკომი

ამით აცხადებს სათანაბრო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ აღნიშნულ გადასახადის 1926 | 27 საბიუჯეტო წლის განაკვეთების გამოანგარიშება და გადამხდელთათვის უწყებების დაგზავნა დამთავრებულია ა. წ. 5 თებერვალს.

მოქალაქეებმა, რომელთაც არ მიუღიათ უწყებები, უნდა მიმართონ დაბეგვრის რაოდენობის შესახებ ცნობის მისაღებად პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიებში.

საჩივრები მიიღება სამაზრო საგადასახადო კომისიაში, სათანადო გადასახადთა ინსპექტორის საშუალებით, ა. წ. 5 მარტამდე.

საჩივრის შეტანა არ აჩერებს გადასახადის გადახდას და დაწესებულ ვადების შემდეგ საურავის დარიცხვას.

გადასახადის თანაბარი ნაწილებით შეტანის ვადები შემდეგია:

1. განაკვეთის პირველი მეოთხედის 20 თებერვალი.
2. „ მეორე „ 15 აპრილი.
3. „ მესამე „ 1 ივლისი.
4. „ მეოთხე „ 1 სექტემბერი.

იმ გადამხდელთა მიმართ, რომლებიც თავის დროზე არ გადაიხდიან გადასახადს, მიღებული იქნება ყოველგვარი, კანონით დაშვებული იძულებითი ზომები, ვიდრე ქონების აღწერა-გაყიდვამდე.

საქ. ფინანსთა სახ. კომისარი მგალობლიშვილი.
გადასახადთა განყოფილების
ნ. 609. მმართველი ბეზრიანიშვილი.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირიტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბონ-მონტი“).
კერძო საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]. იონო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ. 852 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 348 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „ხამმედ-ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ევროპაში ცნობილი გეოდეზის [illegible] ნის პროფესორის D-r Eduard Dolezal'ის ყოფილი მოწაფე გეომეტრი-მარკშეიდერი
ვ. ს. ასათიანი
კისრულობს ქალაქებისა და სამეურნეობის ზუსტი ტრიანგულიაციების შედგენა-შემოწმებას.
მოლაპარაკება წერილობით: თბილისი, ლ. დუმბაძის ქ. № 20. 13—3

ქუთაისი
ექიმი ა. მ. ასათიანი
დაბრუნდა ლენინგრადის კლინიკებიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად — სამშობიარო დახმარება და ქალთა სნეულება. 13—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის ყოფ. (ელისაბედის) ქ. № 69 25—

დაიკარგა წითელარმიელობის პირადი წიგნაკი № 99, გაცემული მე-6 ქართული ტერიტორიალური ათასეულის შტაბის მიერ ანდრო ფერიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1579

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 5378, სააღრიცხვო ბარათი № 2958, საგადასახადო ერთდროული ქვითარი № 2571 გაცემული თბილისის კომ. მეურნეობის მიერ ალექსანდრე კენჭაძის სახელზე, ჩ. გ. 1581

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4—ირადიონ ჰკენიაძის სახელზე, ჩ. გ. 1572

დაიკარგა პარტბილეთი № 492017, გაცემული შორ. სამხედრო კომიტეტის მიერ, ნიკიფორე სარდიონის-ძე თაბაგარის სახელზე, ჩ. გ. 1567

დაიკარგა პარტბილეთი და პირადობის მოწმობა ნიკო აკობარდიას სახელზე, ჩ. გ. 1571

დაიკარგა სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მატრიკული № 1156 კონსტანტინე ჩიქვანის სახელზე, ჩ. გ. 1583

დაიკარგა მე-2 რაი-მილიციიდან აღებული პასპორტი თამარა კვანტრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1573

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული სამტრედიის აღმასკომის მიერ პლატონ დავითისძე აბობაძეს სახელზე, ჩ. გ. 1570

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 293, რკინის გზის სასურსათო ბილეთი № 0744105 და კავშირის წიგნაკი 3612 ანტონ ხაბეიშვილის სახელზე ჩ. გ. 1580

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსია 1925 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა, ადმინისტრატიული განყოფილების მმართ ბიურო აცხადებს, რომ მოქ. დიმნა ანდრიას ასულმა გვარშეცვლის შემოიტანა განცხადება მისი გვარის პუგაჩოვზე შესაცვლელად.

საერთო-საად. ქ. განყ. უფროსი კიღურაძე
მმართ. ბიუროს გამგე შარაძენიძე
საქმის მწარმოებელი ქუხტალიანი

ს.ს. ს.რ.
სახელმწიფო გამომცემლობა

სრულიად საქართ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი
„პროლეტარული მწერლობა“

N1
პროლეტარული მწერლობა
სახელგამი
1927

ჟურნალის შინაარსი:
ლექსები; პროზა ლიტერატურის თეორია; პროლეტარული კულტურის და ყოფა-ცხოვრების საკითხები; პროლეტარული ხელოვნება; მხატვრული კრიტიკა; მიმოხილვები ქართულ, რუსულ და მსოფლიო ლიტერატურის; რეცენზიები ყველა ქართულ ახალ სამხატვრო გამოცემებზე; ანგარიშები პროლეტმწერალთა მუშაობის შესახებ; ლიტერატურული ქრონიკა.
რედაქტორი სარედაქციო კოლეგია
თვიური ნომერი ჟურნალის შეიცავს საშუალო ფორმატის 150 გვერდს. ხელისმოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიებში, როგორც თბილისში ისე პროვინციაში:

თბილისში მიიღება ხელისმოწერა:
1) ცენტრალური მაღაზია, რუსთ. პრ. № 22.
მაღაზია № 2—პლეხანოვის № 98.
„ № 3—ველაბრის მოედანი № 3.
„ № 4—თავისუფლების მოედანი № 3.
„ № 5—გოგოლისა და ვაგზლის კუთხე.

პროვინციაში სახელგამის მაღაზიებში:
ბათომსა, ქუთაისსა, ფოთსა, სოხუმსა, გორსა და ჭრებალოში.

ხელისმოწერის პირობები
ერთი წლით . . . . . 7 მან.
ექვსი თვით . . . . . 3 მან. 75 კაპ.
სამი თვით . . . . 2 მან.
ცალკე ნომერი ყველგან . 70 კაპ.
პირველი ნომერი გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიებსა და გაზეთების გამყიდველებთან.
ნ. 5962—1

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 63.